

არნოლდ ჩიქობავას

საკითხავები

XXVIII

2017

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXVIII

2017 წლის 25-28 აპრილი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2017

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (პ. ინგოროყვას ქუჩა №8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

რედაქტორი — **ვ. შენგელია**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

25 აპრილი, 11 საათი

- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას პოზიცია ივანე ჯავახიშვილის „სამსჯავროზე“ 1930 წელს
- გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, მელანქოლიის სემიოტიკა ბარათაშვილთან („გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს“)
- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, კოდორული სვანური მეტყველების კვალიფიკაციისათვის
- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, ინფერენციული პერფექტული და არა-პერფექტული ზმნების ნიუანსობრივი ურთიერთმიმართებისათვის
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, კვლავ შესიტყვებათა გამოყოფის საკითხის თაობაზე
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, ღვინის გემოს აღმნიშვნელი ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართულში
- ნ. ს უ რ მ ა ვ ა, **თავით, თავეთ/თავიეთ** უკუქცევითი ნაცვალსახელების შესახებ
- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, დალის ხეობის ონომასტიკის რამდენიმე ასპექტი (ახალი კოდორული მასალების მიხედვით)
- ი. კ ე კ ე ლ ი ა, ძიებანი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ოიკონიმიდან. I (გარახა, სარაქონი)
- დ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნებისათვის წოვათუ-შურ ენაში

26 აპრილი, 11 საათი

- მ. ჩ უ ხ უ ა, ზოგი ქართველური სიტყვის ისტორიიდან
- ვ. მ ა დ რ ა ძ ე, უცხოური ტოპონიმების დაწერილობისათვის
- მ. ს ა დ ლ ი ა ნ ი, კვლავ რამდენიმე არაიდენტური ხმოვანთკომპლექსის ელიზიისათვის სვანურში
- ლ. გ უ ლ ე დ ა ნ ი, თ. ლ ო მ თ ა ძ ე, იერუსალიმში/ისრაელში ასვლა
- მ. ბ უ კ ი ა, ქართველურ-აფხაზური ენობრივი შეხვედრები. ზედსართავი სახელი
- მ. ს ა დ ლ ი ა ნ ი, ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ეკონომიურობის პრინციპისათვის ჩოლურულ მეტყველებაში
- ც. ჯ ა ნ ჯ დ ა ვ ა, რამდენიმე სიტყვა „ვით“ თანდებულის ფუნქციით მეგრულში
- ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, რიცხვით სახელთა ჯგუფებისათვის სვანურში
- ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, კვლავ წმინდა გიორგის ქართველური სახელებისა და მუხის კულტის ურთიერთმიმართებისათვის
- მ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, აღმოსავლური ლექსიკა ლადო ასათიანის შემოქმედებაში

27 აპრილი, 11 საათი

- მ. დ ლ ო ნ ტ ი, ქართ. **კედ-/კიდ-** მორფემათა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფისათვის
- ს. ო მ ი ა ძ ე, პლენასტური კომპოზიტების შესახებ თანამედროვე მედიადისკურსში
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, **უდებება** სიტყვის სემანტიკისათვის
- ხ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, კვლავ მრავალგზისობის გამოხატვისთვის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით

საგრანტო პროექტი „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები...“ (№AR/243/2–132/14)

- რ. ლ ო ლ უ ა, პროექტზე მუშაობის შესახებ
- ლ. ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი, პარემიული ტიპის ატრიბუტივების შესახებ ხუნძურში
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, ბეჟიტური ანთროპონიმები და მათი წარმოების ძირითადი პრინციპები
- რ. ლ ო ლ უ ა, უდიური ლექსიკოგრაფიის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა
- ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, უქონლობის სუფიქსიან სახელთა ასახვის შესახებ აფხაზურ ლექსიკონში
- რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, ი. გიულდენშტედტი – ინგუშური ლექსიკის პირველი შემგროვებელი
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ჩერქეზული ენის სტრუქტურის ძირითადი საკითხები

28 აპრილი, 11 საათი

- ნ. მაჭავარიანი, ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში. 4. **აქეიდშაა** „ნადირთ ღვთაება“
- თ. ვაშაკიძე, თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი – აგების პრინციპებისათვის (სახელები)
- თ. მახაროზიძე, ქართული ზმნისწინი და პოლიპერსონალიზმი
- ე. შენგელია, ზოგი ზმნიზედის წარმომავლობისათვის
- თ. ტეტელოშვილი, „**და**“ ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში
- მ. ჯღარკავა, **ვარა** ელემენტის შესახებ მეგრულ-ლაზურში
- მ. ლაბარტყავა, **-ვე** და **-ც(ა)** ნაწილაკდართულ -ზედა, -ზედ, -ზე თანდებულისან სახელთა მართლწერისათვის
- ნ. ფონიავა, ლექსემა „**სულს**“ შემცველი ქართველური და აფხაზური იდიომების შედარებითი ანალიზი
- ლ. კოჭლამაზაშვილი, ერთი კომპოზიტის შედგენილობის თაობაზე ხათურში
- ს. ბერულავა, **-შეულე** // **-შქულე** თანდებულის შესახებ ლაზურში (საკითხის დასმის წესით)

**-შკულე // -შქულე თანდებულის შესახებ ლაზურში
(საკითხის დასმის წესით)**

-შკულე თანდებულის არაერთი ვარიანტი გვხვდება ლაზურში. ესენია: **შკულე // შქულე // ჭკულე // შიკულე**.

„**-შკულე// -შქულე**“ თანდებული წარმოადგენს ბრუნვის ნიშნისა (-იშ// -შ// -ში) და საკუთრივ **-კულე** თანდებულის კონტამინაციის შედეგს. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მკვლევრები მას წერენ ხან სიტყვისგან განცალკევებით (როგორც ცალკე მდგომ თანდებულს: ოხორიშ კულე), ხან- დეფისით (ბრუნვის ნიშნის გამოყოფილად: ოხორიშ-კულე; ბრუნვის ნიშნის გამოყოფით: ოხორი-შ-კულე), ხან – შერწყმულად (ოხორიშკულე).

-შკულე თანდებულის შერწყმულად ან ცალკე დაწერილობას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ეს უშუალოდ უკავშირდება ამ თანდებულის კვალიფიკაციის საკითხსაც, კერძოდ, მივიჩნევთ მას ცალკე მდგომ თანდებულად, თუ ბრუნვის ნიშანთან შერწყმულ ვარიანტად. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას აქვს მნიშვნელობა ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავებისათვის.

საკითხში ობიექტურად გარკვევისათვის მიზანშეწონილად მივიჩნით არსებული მდგომარეობა შეგვესწავლა დღემდე გამოცემული ლაზური ტექსტებისა და თანამედროვე ლაზური ჟურნალ-გაზეთების მასალის გათვალისწინებით. მოხსენებაში განვიხილავთ როგორც სამეცნიერო კვლევის შედეგებს, ასევე პერიოდული გამოცემების შესწავლისას გამოვლენილ ტენდენციას.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

**ქართველურ-აფხაზური ენობრივი შეხვედრები.
ზედსართავი სახელი**

ქართველურსა და აფხაზურში მოიპოვება ზედსართავი სახელები, რომლებიც ურთიერთნასესხობის გზითაა გაჩენილი.

ა) ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებული ზედსართავი სახელები:

ქართ. **ამო** „საამო, სასიამოვნო“, მეგრ. **ჰამო** „ტკბილი, სასიამოვნო“ – აფხ. **ა-ხაა** „ტკბილი“.

ქართ. **ბაქია** „მკვებარა, ტრაბახა“, სვან. **ბჰქ / ბაქ** „სიცრუე, ტყუილი“ – აფხ. **ა-ბაქჯგ** „ტრაბახა“.

ქართ. **დამპალი** „ლპობით წამხდარი, გახრწნილი“ – აფხ. **ა-ბაა** „დამპალი“. პ. ჭარაია ერთმანეთს უდარებს ქართულ ლპ (< პლ) და აფხაზურ ბა = ბ-ა და მიიჩნევს საერთო წარმომავლობის სიტყვებად.

ქართ. **თაკარა** „1. მხურვალე, მცხუნვარე, მწველი, ვარვარა; 2. დიდი სიცხე“, მეგრ. **თაკარი** „თაკარა; ალი; მცხუნვარე, მწველი“ – აფხ. **ა-თაკარ** „სიცხე, პაპანაქება“.

მეგრ. **ლოგო / ლუგა** „სულელი, ჩლუნგი“, **ლეგ** (სვან.) „ცუდი“ – აფხ. **ა-ლუგა** (აბჟ.) / **ა-ლეგ** (ბზ.) „სულელი, ბოთე, უგერგილო ადამიანი“, შრდ. აბაზ. **ლაგა** „სულელი“.

ქართ. **მძაღე** „1. წამხდარი, მომწკლარტო, მომწარო გემოსი“, მეგრ. **ძაღე** „მძაღე“ – აფხ. **ა-ძაღ-ა** „მძაღე“.

მეგრ. **ტარიელი** „ძლიერი“ – აფხ. **ა-ტარიალ** „წარმოსადეგი, ძლიერი“.

მეგრ. **წკონდა** „წმინდა, ანკარა (წყალი)“ – აფხ. **ა-წკანდა** „წმინდა, გამჭვირვალე (წყალი)“...

აფხაზურიდან ქართველურში შეთვისებულია შემდეგი ზედსართავი სახელები:

ბ) აფხ. **არგამა** „ღია, ნათელი“, აბაზ. **არგამ** „ამკარა, ღია, დაუფარავი“ – მეგრ. **არგამა** „ამკარა“.

აფხ. **მაჩხგმა** „ბლომად, ბლომადაა“ – მეგრ. **მაჩხომა** „საკმარისი“.

საერთო ქართველურ-აფხაზური წარმოშობის ძირებად მიიჩნევა: ქართ. **მწარე** „სპეციფიკური არასასიამოვნო პირის დამწველი გემო“, მეგრ. **მწარე / ნწარე / წარე** „მწარე“ – აფხ. **ა-წაა** „მლაშე“.

ქართ. **მწვანე** „ნედლი ბალახის, ფოთლის და მისთ. ფერი“, მეგრ. **რწვანე** – აფხ. **ა-ეწა / აიაწა** „მწვანე“.

ქართ. **ყვითელი** „ერთ-ერთი შვიდ ფერთაგან; ოქროსა და ქრვის ფერი“, მეგრ. **ყვინთელი** „ყვითელი“, მეგრ. **ყვიჟალი** „მოლურჯო“, სვან. **ყუთიჟე** „ღვიძლი“ – აფხ. **ა-ღეჟ** „ყვითელი“, ადიღ. **ღჷჟ** „ყვითელი“.

ზედსართავთა ერთი ნაწილი ნასესხებია ორსავე ენობრივ ერთეულში, მაგრამ სესხების შუალედურ რგოლზე საუბარი ძნელია, შესაძლოა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჰქონდეს ნასესხები ქართველურს და აფხაზურს:

ალალი „1. მართალი, პატიოსანი, უცოდველი. 2. ღვიძლი, მკვიდრი, საკუთარი“ (ქეგლ I: 264). არაბული წარმოშობის სიტყვა ჯერ კიდევ ძველ ქართულში გვხვდება: **ჰალალი** განუმარტავია (აბულაძე 1973: 575), **ალალი** „არაბ. ზედ. სამართლიანი, რჯულიერი“ (ჩუბინაშვილი 1887: 18); სალიტერატურო ქართულიდან შესულა მეგრულ-ლაზურსა და სვანურში: **ალალი** / **ჰალალი** (მეგრ.) „id.“ (ციფშიძე 1914: 193, 417), **ალალი** / **ჰალალი** / **ჰელალი** (ლაზ.) „id.“ (ქუთელია 1982: 103); **ალალ** / **ჰალწლ** (სვან.) „ალალი“ (თოფურია 2000: 40). იგივე სიტყვა გვაქვს აფხაზურ-აბაზურში: აფხ. **ა-ჰალალ** „ალალი, ხელგაშლილი“ (უსლარი 1887: 138), აბაზ. **ჰალწალ** „ალალი“ (აბრლ 1967: 410). ამოსავალია არაბ.-სპ. **ჰალწლ** (შაგიროვი 1977-ა: 118). არაბული **ჰალწლ** „ნებადართული“, „წმინდა“, „შეუბღალავი“ გვხვდება ოსურ-შიც: **ხწლარ** „სიკეთე“, „მეგობარი“ (აბაევი 1989: 166). არ არის გამორიცხული, რომ სიტყვა ქართულისგან დამოუკიდებლად იყოს შესული აფხაზურში თურქულიდან (გვანცელაძე 2011: 70):

ქართ. **არამი** „1. რაც არ ეკუთვნის, რაც არ ერგება. 2. ადამიანი, ვისთვისაც რამე არმად მიაჩნიათ“, მეგრ. **ჰარამი** „1. არამი, არაწესიერი. 2. შურიანი, გაუმადლარი“, ლაზ. **ხარამი** „არამი“ – აფხ. **ა-ჰარამ** „ბოროტი, არაკეთილმოსურნე“. შდრ. აბაზ. **ჰარამ** „ძუნწი“, უბიხ. **ჰარამ** „აკრძალვა“, ადიღ. **ხწრწმ** / **ხწრამ** „აკრძალული“.

ქართ. **აჯამი** „უჭკუო, რეგენი, ბრიყვი“, მეგრ. **აჯამი** „წარმართი“, „გაუგებარი, უგუნური, ჯიუტი“, ლაზ. **აჯამი** „უცხო, უცნობი“ – აფხ. **ა-ჯამ** „სპარსი, ირანელი“.

ქართ. **თამამი** „ლალი; გამბედავი ადამიანი“, მეგრ. **თამამი** „თამამი, მამაყი“, სვან. **თამამ** „თამამი“ – აფხ. **ა-თამამ** „თამამი“.

ქართ. **დინჯი** „დარბაისელი, დაფიქრებული, მშვიდი, წყნარი“ – აფხ. **ა-თენწ** „დინჯი, წყნარი“.

კვლავ შესიტყვებათა გამოყოფის საკითხის თაობაზე

საენათმეცნიერო ლიტერატურაში შესიტყვებათა გამოყოფის საკითხის გადაჭრას ყველა ავტორი სხვადასხვანაირად ცდილობს. ამის გარკვევა სინტაქსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. ქართულ ენაში სპეციფიკურია სიტყვათშეკავშირება, რადგანაც აგებულების მიხედვით სხვადასხვა სახის წინადადებები გვაქვს.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში სხვა კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი შესიტყვება არ იქმნება, რადგან აქ დაქვემდებარება (დამოკიდებული წინადადებისა მთავრისადმი) და მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა საშუალებებითაა დაკავშირებული მთავარი წინადადება დამოკიდებულზე.

ჩვენი ინტერესის სფეროა შესიტყვებათა გამოყოფის საკითხი ისეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელშიც მოგვეპოვება **ნეტა/ნეტავ, ოღონდ, კიდევ/კიდევაც, იქნებ, კინაღამ, მაინც, ბარემ** ნაწილაკები. ზოგ შემთხვევაში ისინი კავშირის ფუნქციითაც ჩნდება. კითხვა ასე დაისმის – აღნიშნული ნაწილაკები ქმნიან თუ არა შესიტყვებას შესაბამის წევრთან ერთად? მაგ.: „გულში გაიფიქრა, **ნეტავ** ჩემთან არ მოვიდესო“; „ყველანი თანახმანი იყვნენ, **ოღონდ** რამე შეცვლილიყო“; „**კიდევ** დააპირა ფრთხილად სიტყვა გაეტარებინა: სიტკბო და სიყვარული არ მომიკლია, შრომა და გულისმოდგინებაო“; „რაც უნდა ბნელი ღამე იყოს, **მაინც** განთიადს ველით“; „**იქნებ** საქმე ისე მოაწყოს, ვერავინ ვერაფერი გაიგოს?“; „ისე ავად გახდა, რომ **კინაღამ** ბავშვი თან გადაიტანა“.

მიუთითებენ, რომ ცალკე აღებული ნაწილაკები და თანდებულები არ შედიან შესიტყვებაში, თუმცა ამის საილუსტრაციოდ ძირითადად განიხილავენ მიგებით ან უარყოფით ნაწილაკებს: ნუ წახვალ; არ გააფუჭო; დიახ, მოვალ...არ ჩანს მსჯელობა ისეთ შემთხვევებზე, როცა წინადადებაში ნეტა/ნეტავ, ოღონდ, კიდევ/კიდევაც, იქნებ, კინაღამ, მაინც, ბარემ ნაწილაკებია.

ვფიქრობთ, აქ ისეთივე ვითარებაა, როგორც ცალკე მდგომი თანდებულების შემთხვევაში – აღნიშნული ნაწილაკები შესაბამის წევრთან ერთად შევლენ შესიტყვებაში. ცხადია, ნაწილაკი ცალკე არ

გამოიყოფა, თუმცა მთლიანი წინადადებიდან მისი უგულებელყოფა შესიტყვების გამოყოფის დროს არ შეიძლება. ნაწილაკი მიემართება ზმნა-შემასმენელს. ამიტომ ის მასთან ერთად ქმნის სიტყვათშეკავ-შირებას შესიტყვებაში მყოფ მეორე წევრთან. როგორც უარყოფითი და მიგებითი ნაწილაკები (**არ მოვა, ვერ გააკეთა**) ზმნა-შემასმენელბ-თან ერთად შედიან შესიტყვებაში, ასევეა აღნიშნული ნაწილაკები: **მაინც განთიადს ველით; ნეტავ ჩემთან არ მოვიდესო; ოღონდ რამე შეცვლილიყო; კიდევ დააპირა გაეტარებინა**. ესე იგი, გამოიყოფა შე-სიტყვებათა სამწევრა ფორმები.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, თუ რა წევრს ახლავს **უნ-და** ნაწილაკი – ზმნა-შემასმენელს თუ სახელზმნას: მას **უნდა, რომ წავიდეს** / მას **უნდა წასვლა**. ეს ნაწილაკი სპეციფიკურია, რადგან წარმოშობით ზმნაა. თუ ის შემასმენელთან კავშირითაა გამოყოფი-ლი (უნდა, რომ წავიდეს), არ ქმნის შესიტყვებას, ხოლო, თუ სახელ-ზმნას (მას უნდა წასვლა) ახლავს, მაშინ ის, როგორც ზმნა, შევა შესი-ტყვებაში – **უნდა წასვლა; მას უნდა**. შესაძლებელია, **უნდა** ნაწილაკი ახლდეს სახელსაც – მას **უნდა სახლი**. აქაც ის შემასმენლის ფუნქცი-ითაა, ცალკე სახით შევა შესიტყვებაში – **მას უნდა; უნდა სახლი**. გამოიკვეთა, რომ კავშირებითისა და ბრძანებითის მწკრივებთან ის ნაწილაკია (უნდა შეძლოს; უნდა იმღეროს) და მაშინ სამწევრა შესი-ტყვებებს მივიღებთ – **მან უნდა შეძლოს; მას უნდოდა შეეყვარებოდა**.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

რიცხვით სახელთა ჯგუფებისათვის სვანურში

სამეცნიერო ლიტერატურაში სვანურ რიცხვით სახელთა ტრა-დიციულად განხილული ჯგუფების (რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი) გვერდით შეიძლება გამოვყოთ დაახლოებითი, დანა-წევრებითი და შემკრებლობითი რიცხვითი სახელები. ამჯერად ჩვენ ორ უკანასკნელს შევხებით.

ა) დაახლოებითი რიცხვითი სახელები მიუთითებენ საგანთა არა ზუსტ რაოდენობაზე, არამედ რეალურ რაოდენობასთან ახლოს მყოფზე.

ამ ჯგუფის რიცხვითი სახელები კომპოზიტიური შედგენილობისაა, რომლებიც შეიძლება იწარმოებოდეს თვლისას ერთმანეთის მომდევნო რიცხვით სახელთა შეერთებით: **რშთხტ-ოხტიშდ**, „ოთხი-ხუთი“, **უსგტა-იშგტიდ** „ექვსი-შვიდი“...

კომპოზიტში შემავალი რიცხვითი სახელები შესაძლებელია ერთმანეთის მომდევნო არ იყოს: **ემდ-ემდოხტიშდ** „ათი-თხუთმეტი“, **უსგვა-იშგტიდემდ** „ექვსი-ჩვიდმეტი“...

ბ) დანაწევრებითია რიცხვითი სახელი, რომელიც საგანთა თანაბარ ნაწილებად დაყოფას აღნიშნავს, და სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, რედუპლიკაციის საშუალებით იწარმოება, ამასთან, სვანურისთვის (ქართულის მსგავსად) ფუძეუცვლელი გაორკვეებაა დამახასიათებელი: **სემი-სემი** „სამ-სამი“, **ოხტიშდ-ოხტიშდ** „ხუთ-ხუთი“ **იშგტიდ-იშგტიდ** „შვიდ-შვიდი“.... მეგრულ რიცხვით სახელებში კი გაორკვეებისას (სვანურისაგან განსხვავებით) გარვეულ ფონეტიკური ცვლილებები ხდება (ც. ჯანჯღავა).

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას პოზიციის ივანე ჯავახიშვილის „სამსჯავროზე“ 1930 წელს

თბილისის უნივერსიტეტის ეროვნული პოზიციები ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის საშიში გახდა. ამიტომაც 1925 წელს იერიში მიიტანეს უნივერსიტეტის ავტონომიაზე; 1926 წლის ივნისში ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და ფაქტობრივ ჩამოაშორეს უნივერსიტეტს. მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის ავტორიტეტი ვერ შელახეს. ამიტომაც 1930 წელს უნივერსიტეტი პედაგოგიკული ფაკულტეტის დაარსებით, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ივანე ჯავახიშვილისა და მის მომხრეებს სამსჯავრო მოუწყვეს. ხელისუფლების მიზანი იყო ი. ჯავახიშვილისა და მისი სკოლის იდეური განადგურება. მათ ბრალი ედებოდათ ანტიმარქსისტული, ნაციტური, არამეცნიერული შეხედულებების წამოყენებასა და პროპაგანდაში. პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ წინასწარ განსაზღვრა „დამნაშავეთა“ სია... სხვა გამოჩენილ მეცნიერთა გვერდით დასახელდნენ ახალგაზრდა მეცნიერები არნოლდ ჩიქობავა

და ვარლამ თოფურია... „ექვმიტანილებისაგან“ ითხოვდნენ უარე-
ყოთ ივანე ჯავახიშვილი და ელიარებინათ თავიანთი დანაშაული...
ბევრმა შეაქცია ზურგი დიდ მასწავლებელს. არნოლდ ჩიქობავამ და
ვარლამ თოფურიათ ეს გამოცდა ღირსეულად ჩააბარეს...

მოხსენებაში წარმოვადგენთ ამ სამარცხვინო სამსჯავროს მასა-
ლებს.

ლ ა ლ ი გ უ ლ ე დ ა ნ ი , თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე

იერუსალიმში/ისრაელში ასვლა

ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი თანაცხოვ-
რება საქართველოში მეგობრული და ჰარმონიული იყო. თუმცა მათ
არასოდეს დავიწყებიათ თავიანთი ისტორიული სამშობლო, სადაც
დაბრუნება საუკუნეების ოცნებად ითვლებოდა. ამიტომ ყოველი
ახალი წელი ებრაელისთვის იწყებოდა გამოთქმით: ...

, (be Shana haba'a biruShalaim...), რაც ქართულად ნიშნავს
„მომავალ წელს იერუსალიმში“, ხოლო ყოველი ებრაელი ხშირ-ხში-
რად იმეორებდა ფრაზას :... ('im eshqaxex
ierushalaim tishqax iamini), რაც ქართულად ასე ითარგმნება: „თუ და-
გივიწყო იერუსალიმ, დამივიწყოს ჩემმა მარჯვენამ“.

მე-20 საუკუნეში, 1947 წელს, ისრაელის სახელმწიფოს დაარ-
სების შემდეგ, მიუხედავად საბჭოური, კომუნისტური რეჟიმისა, ებ-
რაელებს გაუჩნდათ დიდი იმედი საუკუნოვანი ნატვრის ასრულებ-
ბისა. მათ მეტყველებაში გაჩნდა გამოთქმა „იერუსალიმის ალია“ და
იმედს გამოთქვამდნენ, რომ ღმერთი მათაც მისცემდა ძალას, რომ
შეერთებოდნენ ამ „ალიას“. მაშინ ბევრი იმ ებრაელისთვის, რომ-
ლებმაც არ იცოდნენ ენა (ასეთები კი უმრავლესობას წარმოადგენ-
დნენ) და მით უფრო, ქართველი ებრაელისათვის გაუგებარი იყო,
რას ნიშნავდა ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული სიტყვა
„ალია“. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ცნობილია, რომ რჯულის
კანონების ერთგულად მიმდევარი ქართველი ებრაელობა მუდმივად
კითხულობდა სინაგოგებში წმინდა წიგნებსა და ლოცვებს, თუმცა უმე-
ტესობამ წაკითხული სიტყვების მნიშვნელობა არ იცოდა.

1967 წელს 18 ოჯახმა მოახერხა პირველები დაბრუნებულიყვნენ საცხოვრებლად თავიანთ სამშობლოში, რასაც 70-იან და მოგვიანებით 90-იან წლებში მასობრივი „ალია“ მოჰყვა.

როგორც აღინიშნა, საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა ებრაული არ იცოდნენ. შედარებით მცირე რაოდენობა, განსაკუთრებით რაბინები და მათი ოჯახის წევრები ფლობდნენ ივრითს. სწორედ ებრაულის მცოდნეებისაგან გავრცელდა თავდაპირველად საქართველოში სიტყვა „ალია“. ისრაელში დაბრუნების შემდეგ ებრაელებმა შეისწავლეს ივრითი, თუმცა ენის ფლობის კომპეტენცია თაობებს შორის საკმაოდ განსხვავებული იყო. განსხვავებული იყო ასევე სოციალურ-კულტურული დონეც და ინფორმაციის წვდომის შესაძლებლობები. სწორედ ამის გამო და სხვადასხვა გადმოცემების ზეგავლენით ისრაელში „ასვლას“ საქართველოდან წასული ებრაელები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. მაგალითად, 1) იერუსალიმი მაღალზეა და იქ ადიხარ და არა ჩადიხარ 2) ისრაელი წმინდა მიწაა, ღმერთთან სიახლოვე იგრძნობა და ამიტომ ამბობ ასვლას 3) ვინც მუდმივ საცხოვრებლად მოვიდა, მასზე ვამბობთ ასვლას, ხოლო ვინც ტურისტულად მოდის (თუნდაც ებრაელი იყოს), მასზე ვამბობთ ჩამოვიდა.

ებრაულში -'ალა(3)“ ორი ძირითადი მნიშვნელობით გვხვდება: 1. ავიდა (სიმაღლეზე): 2. ღირდა. სიტყვა „ალია“ ასევე ნიშნავს რეპატრაციას - 'ალა(3) ძირიდან მომდინარეობს, აქედანაა სიტყვა რეპატრიანტი - ('ოლე(3)), რომელსაც ივრითში სიტყვა (ხდაშ) ახლავს ხოლმე, რაც ერთად ისრაელში ახალი ასულის ანუ ახალი რეპატრიანტის გამოსახატავად გამოიყენება. ზემოაღნიშნული განმარტებები ზმნის პირველ მნიშვნელობასთან მჭიდრო კავშირშია, ვინაიდან ამ სიტყვით გამოიხატება როგორც სულიერი (წმინდა ქვეყანაში), ისე ფიზიკური ამაღლება (იერუსალიმი ხომ 7 ბორცვზე მდებარეობს, მაღლობი ადგილია).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ებრაელი ქართულად მეტყველებისას მხოლოდ ისრაელში დაბრუნების/გადასვლის/ჩასვლის აღსანიშნავად იყენებს ალიას/ასვლას, ანუ ისრაელში/იერუსალიმში ადიან, მაგრამ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, სხვა ქვეყანაზე იტყვიან ჩასვლას, ანუ სხვა ქვეყნებში ჩადიან. ამ აზრის გამოსახატავად ებრაულში უკვე სხვა ზმნა გამოიყენება (ებრაული ზმნა: -higia'-ნიშნავს ჩავიდა, ჩააღწია).

ებრაული სიტყვა „ალია“ დასტურდება სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელებთანაც, რომლებიც რუსულ, ინგლისურ, გერმანულ

თუ სხვა ენებზე მეტყველებისას, ჩვეულებრივ, უთარგმნელად იყენებენ აღნიშნულ სიტყვას. ეს ტერმინი დასტურდება ებრაისტიკის დარგის მკვლევარ-მეცნიერთა ლექსიკაშიც. ამდენად, იგი საერთაშორისო დატვირთვის მქონეა.

ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ და მანამდეც (XIXს.-ის ბოლო XXს.-ის პირველი ნახევარი) ებრაელთა სამშობლოში „ალიამ“ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ეს პროცესი პერიოდებად დაიყო: პირველი „ალია“ ... მეორე „ალია“ და ა. შ. შეიქმნა „ალიების“ ისტორია... ყველა თაობას თავისი ფუნქცია და დატვირთვა ჰქონდა, რაზეც მოხსენებაში დაწვრილებით ვისაუბრებთ.

ამდენად, ებრაელთა ქართულ მეტყველებაში დადასტურებული ფორმები იერუსალიმში/ისრაელში ასვლა გახლავთ ებრაული სიტყვის „ალიას“ პირდაპირი თარგმანი, ანუ ის ამ ებრაულისიტყვის კალკია.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი – აგების პრინციპებისათვის (სახელები)

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ მუშაობა დაიწყო **თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონზე**, შესაბამისად, გამოიკვეთა აგების პრინციპებთან დაკავშირებული თვალსაზრისები.

სახელები:

- სახელებს ნათ. ბრუნვის ფორმა მიეწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფუძე იკუმშება ან იკვეცება: **მეგობარი** (მეგობრისა), **დღე** (დღისა)...

- ორთოგრაამას ნათ. ბრუნვის ფორმა უნდა ახლდეს მაშინაც, თუ ცვლილება გვაქვს კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით, მაგალითად, იყო კუმშვადი სახელი (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით) და გადაინაცვლა უკუმშველების რიგში: **ხელოვანი** (ხელოვანისა) – ან კიდევ: იყო უკვეცელი, მაგრამ დღეს კვეცად სახელებს განეკუთვნება: **ძრავეა** (ძრავისა)...

- თუ სახელის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით, ორთოგრამას მიეწერება როგორც მხოლოდითი რიცხვის ნათ. ბრუნვის, ისე მრავლობითი რიცხვის (სახ. ბრუნვის) ფორმები: **მრჩეველი** (მრჩეველისა), მაგრამ: **მრჩეველები**...

- **ა**-სა და **ე**-ზე დაბოლოებულ უკვეცელ სახელებს, ტრადიციონალურად, ფრჩხილებში მიეთითება ნათ. ბრუნვის ფორმა: **ნაცარქექია** (ნაცარქექიასი), **კაფე** (კაფესი)...

- **ო**-ზე ფუძედაბოლოებული სახელები, როგორც წესი, წარმოდგენილი იქნება მოთხრ., მიც. და ნათ. ბრუნვის ფორმათა მითითებით: **რაგბი** (მოთხრ. რაგბიმ, მიც., ნათ. რაგბის)...

- თუ სახელი კუმშვადია ან კვეცადი, ხოლო მისგან ნაწარმოები ამა თუ იმ ფორმის ფუძე უკუმშველია ან უკვეცელი, ეს უკანასკნელნი ორთოგრამას მიეწერება ფრჩხილებში, მაგ.: **ჰოსპიტალი** (ჰოსპიტლისა, მაგრამ: **ჰოსპიტალური**); **პროზა** (პროზისა, მაგრამ: **პროზაული**)...

- თუ სახელი იკუმშება მხოლოდ ზმნისართად მოქცევისას, მას მიეთითება როგორც ნათესაობითი, ისე ვითარებითი ბრუნვის ფორმები. ეს უკანასკნელნი (ვითარებითბრუნვისფორმიანი ერთეულები) წარმოდგენილი იქნება შესიტყვებით, მაგალითად, **მშვენიერი** (მშვენიერისა): **მშვენიერად გადაიქცა**, მაგრამ: **მშვენიერად ცეკვავს**...

- ახლად დაშვებული პარალელური ვარიანტები ორთოგრამას მიეწერება მრგვალ ფრჩხილებში პარალელური ხაზებით, მაგ.: **დაანახვებს** (// **დაანახვებს**)...

- თუ ახლად დაშვებული ლექსიკური ერთეული და უკვე არსებული მართებული ფორმა (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით) თანაბარი მნიშვნელობისა და ფუნქციის მქონეა (თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში), ისინი წარმოდგენილი იქნება პარალელური ხაზებით – უფრჩხილებოდ: **ღვაწლმოსილობა** // **ღვაწლმოსილება** (ახლად დაშვებულია ეს უკანასკნელი – **ღვაწლმოსილება**)...

- გაქრობის გზაზე მდგომი ფორმა ორთოგრამას მიეწერება კვადრატულ ფრჩხილებში – პარალელური ხაზებით, მაგ.: **დავდე** [// **დავდევი**]...

- თუ ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის დაწერილობა შეიცვალა, ლექსიკონში აისახება მხოლოდ ეს უკანასკნელი, მაგ.: **არაუგვიანეს** (**არა უგვიანეს** ვარიანტი აღარ იქნება გათვალისწინებული)...

- დახრილი ხაზით გამიჯნება სიტყვათშეხამების ცვალებადი წევრები, მაგალითად: პოემა **„გამზრდელი“ / „გამზრდელმა“ / „გამზრდელს“ / „გამზრდელის“ / გამზრდელით“...**; **„გამზრდელში“**, მაგრამ: **პოემა / პოემამ / პოემას / პოემის / პოემით...**; **პოემაში** „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“...

- პარონიმები ერთმანეთს გამოეყოფა ტირეთი, მაგ.: **რეალური** (ვითარება...) – **რეალისტური** (ხედვა...)...

- თანხმოვანფუძიან ზედსართავ სახელებს (საჭიროების შემთხვევაში რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებსაც) ფრჩხილებში მიეწერება ნათ. ბრუნვის ფორმა არსებით სახელთან (საზღვრულთან) ერთად, მაგ.: **ლამაზი** (ლამაზზე) (**ლამაზი ქალის**)...

- რიცხვითი სახელები წარმოდგენილი იქნება ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული ორთოგრაფიის გათვალისწინებით, მაგ.: **მეცხრე, მე-9, IX**; ან კიდევ: **ცხრა** (ცხრისა): **9-იდან 20-ამდე...**; საჭიროების შემთხვევაში რაოდენობით რიცხვით სახელს ფრჩხილებში მიეწერება რიგობითის ფორმაც: **ას ერთი (ასმეერთე)**...

- ორთოგრაფიის გათვალისწინებით აისახება ლექსიკონში ნაცვალსახელებიც, მაგ.: **ჩემი** (**ჩემს მეგზარს/წიგნს**, მაგრამ: **ჩემ გამო/შესახებ/გვერდით/წინ...**)...

- ახალი ლექსიკური ერთეულებიც, ბუნებრივია, გათვალისწინებული იქნება შესაბამისი ორთოგრაფიით, მაგ.: **პენიტენციური** [და არა პენიტენციული]...

- ბარბარიზმები წარმოდგენილი იქნება აკრძალვით: [ვალიდური კი არა] **სარწმუნო, სანდო** და სხვ.

დი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი

საკუთარ სახელთა ბრუნებისათვის წოვათუშურ ენაში

არსებით სახელთა ბრუნება ერთ-ერთი რთული, მრავალმხრივი და საინტერესო საკითხია ნახური ჯგუფის ენებში, განსაკუთრებით კი წოვათუშურში.

საკუთარ სახელთა ბრუნება წოვათუშურში განსხვავებულია დანარჩენ ნახურ ენებში არსებული ვითარებისაგან, სადაც ანთროპონიმების ბრუნება უფრო მარტივია და მკვეთრად განსხვავებული

საზოგადო სახელებისაგან. შედარებითი სიმარტივე ამ საკითხში ახასიათებს წოვათუშურსაც, თუმცა არა ჩეჩურ-ინგუშურის მსგავსი.

მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება ანთროპონიმთა ბრუნების სახეობათა დადგენის ცდა წოვათუშურ ენაში.

წოვათუშურის საკუთარ სახელთა ბრუნებაში ორი ძირითადი ტიპი უნდა გამოიყოს – ე.წ. „**ე** ტიპი“ და „**ო** ტიპი“. პირველ ჯგუფში ერთიანდება ქართულიდან ნასესხები თანხმოვანფუძიანი სახელები, მეორეში – **ა, ი, ო** ხმოვანფუძიანი სახელები. ცალკე ჯგუფს ქმნის **ე** ხმოვანზე დაბოლოებული სახელები.

წოვათუშურში საკუთარი სახელების ბრუნება ძირითადად მისდევს საზოგადო სახელთა ბრუნების წესს, განსხვავებით მისი ახლომონათესავე ჩეჩური და ინგუშური ენებისაგან.

გარდა ამისა, ჩეჩურისა და ინგუშურისაგან წოვათუშური ანთროპონიმები იმითაც სხვაობს, რომ აქ ხშირია ფუძის შეკუმშვის შემთხვევები. ენა ცდილობს თავიდან აიცილოს მრავალმარცვლიანობა. ამის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ქართულიდან ნასესხებ ხმოვანფუძიან სახელებს წოვათუშურში ჩამოსცილებათ ბოლოკიდური ხმოვანი, მიუხედავად იმისა, რომ ის ფუძისეულია.

ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა

ძიებანი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ოიკონიმიიდან.

I (გარახა, სარაქონი)

გარახა ეწოდება დაბა ჩხოროწყუსში შემავალ სოფელს. იგი მდებარეობს მდ. ოჩხომურის მარცხენა მხარეს. სოფელი ორ დიდ ნაწილად იყოფა. ოჩხომურის მარცხენა ნაპირზე **ქვედა გარახა//თუდოლენი გარახა** მდებარეობს, ხოლო **ზედა გარახა//ჩიმოლენი გარახა** ჩელალის ხეობაში მდებარე უბნების – **ლესორდიესა** და **ლეფირცხელეს** საერთო სახელია.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გარახა გარამი ხა „ქვიან ფლატეს“ ნიშნავს (მ. კვირტია). ჩვენი აზრით, გარახა პრეპოზიციური წყობის კომპოზიტური სახელწოდებაა. **გა** მეგრულში ეწოდება სერს, ქედს, თხემს, ხოლო **რახა** იგივეა, რაც რეხი, ქვიანი ნიადაგი. ამასთანავე, რახას სამეგრელოში ემახიან მაღალ, ციცაბო კლდეს. მა-

შასადამე, **გარახა** უნდა გავიაზროთ როგორც „ქვიანი, გორმახიანი სერი, კლდეღრებიანი ქედი; მთის კლდოვანი, ქვიანი კალთა“.

სარაქონი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის ტერიტორიულ ერთეულში შემავალი სოფელია, რომელიც ხობისწყალსა და ჭანისწყალს შუა მდებარეობს და მუნიციპალიტეტის ცენტრს – დაბა ჩხოროწყუს 6 კმ-ით არის დაშორებული. „ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმის კატალოგში“ მოცემულია სოფლის სახელწოდების რამდენიმე ხალხური ეტიმოლოგია: 1. ამ მაღალ ადგილზე ცხოვრობდნენ სარა ჩიტაის მემკვიდრეები. მაშასადამე, სარაშ განი სარაქონი; 2. სარა კაცის სახელია. ქონი იგივეა, რაც ქონება, ე. ი. სარას ქონება, სარას კარ-მიდამო; 3. სირი ჩიტს ჰქვია, ქონი - ბევრს, ე. ი. ბევრი ჩიტი. სარაქონი - სადაც ბევრი ჩიტია. სირი სარად გადაკეთდა; 4. ნი-ადაგი სალაქონია, ოღროჩოღროა, ამიტომ დარქმევია სალაქონი, სარაქონი (ელიავა, ფარულავა, შენგელია, 1983: 28-29).

სოფლის სახელწოდების მოტივაციაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია და საყურადღებოდ გვეჩვენება **სარაქო** სიტყვის მერგულის სალექსიკონო მასალებში დამოწმებული მნიშვნელობა: „ჭორომი, მეჩეჩი, სარაქი, თავთხელი ადგილი მდინარეში“. სარაქონს სამეგრელოში ეძახიან აგრეთვე მდინარის ფსკერზე ამალღებულ ქვიმიან მასივს, რაც ქმნის სწრაფ დინებას, ჭორომებიან ადგილს.

გ უ ჩ ა კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

მელანქოლიის სემიოტიკა ბარათაშვილთან

(„გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს“)

ბარათაშვილის მელანქოლია მისი ფილოსოფიის ფარული მხარე და მისი სიყვარულის მუდმივი თანამგზავრია. ფსიქოანალიზის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მელანქოლიისადმი მიდრეკილების გარეშე არ არსებობს ფსიქიკა; აღნიშნავენ აგრეთვე, რომ შავი ნაღველი დიდ ადამიანებს ახასიათებთ.

იონა მეუნარგია თავის ნარკვევს – „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ – ასეთნაირად ამთავრებს: „მე რომ დავსწრებოდი იმ რჩევას, საცა გადაწყდა, რა უნდა დაეწერათ ნ. ბარათაშვილის საფლავის ქვაზე, აზრს შევიტანდი დაეწერათ ჩაილდ-ჰა-

როლდიდან სიტყვები: „დამარხვის მერეც ჩემს სევდასთან ერთად ვიცხოვრებდი“.

ბარათაშვილის სევდაც, ისევე როგორც ბაირონისა, ე. წ. მსოფლიო სევდის ნაწილია; მათ საერთო გამამჟღავნებელი ნიშნები აქვთ, რომლებიც, აღნიშნული მსგავსების მიუხედავად, მაინც ინდივიდუალურად ქმნიან პოეტთა სემიოტიკურ სისტემებს. შეიძლება სევდამელანქოლია სწორედ ის ერთადერთი რამ იყოს, რაზეც ლექსის წერა ღირს.

მელანქოლია, რომელიც დეპრესიის ფუნდამენტური განწყობილებაა, დეპრესიის მსგავსად, ნეგატიური განცდების სხვადასხვა ფორმითა და კომპონენტით ვლინდება. პოეტის სევდა მისი მეტყველების, მისი კულტურის სარჩულია. ადვილი წარმოსადგენია ამგვარი „კულტურულობის“ მაზოხისტური რისკები. ავტორს კი შეუძლია აქედან ამოკრიბოს საზეიმო მომენტები. ემყარება რა საკუთარ ტანჯვას, იგი მანიპულირებს საგნებითა და ნიშნებით.

ამ ნიშანთა მთლიანობა მთელი სამყარო, რომლის შეცნობას ადამიანი დაბადებისთანავე იწყებს. ამიტომაც ნიშნების ამოცნობა, შესწავლა და შექმნა მთელ მის ცხოვრებას გასდევს.

ნ. ბარათაშვილის სააზროვნო სივრცე დატვირთულია სხვადასხვა სემიოტიკური სამყაროებით, რომლებსაც მოხსენებაში შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვადგენთ, აქ კი ზოგიერთ მათგანს დავასახელებთ ამა თუ იმ დომინანტური ნიშნის მიხედვით:

- წუხილი;
- ტანჯვა;
- მარტოობა;
- ნოსტალგიური კავშირი ბავშვობასთან;
- საკუთარი ხვედრის ძიება;
- მაღალი საზოგადოების ფუჭი ცხოვრება;
- ფილოსოფიური განსჯანი;
- წუთისოფლის ამოება და წუთისოფლის საზღვრებს იქით გასვლის წადილი;
- პოეტის პიროვნება;
- ქალებთან ურთიერთობის წარუმატებლობა;
- მამის ფაქტორი;
- ბიძის ფაქტორი.

... დაბოლოს, ციტატა ი. კრისტევას ნაშრომიდან: „არისტოტელეს მიხედვით, მელანქოლია დიად ადამიანებს ახასიათებთ. მე-

ლანქოლია, გაწონასწორებული გენით, ხდება „ყოფიერებაში ჩავარდნილი“ ადამიანის შფოთვის ტოლფარდი. მასში შეიძლება დავინახოთ ჰაიდეგერის წინასწარმეტყველური „აზრისგანგაში“, ასევე, შელინგის „ადამიანური ბუნებისარსი“, ნიშანი ადამიანის სიმჰათიისა ბუნების მიმართ. ამდენად, ადამიანურობის სიჭარბის გამო, ფილოსოფოსი მეღანქოლიკი უნდა იყოს“.

აღბათ ამითვე აიხსნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური აზროვნებისკენ მიდრეკილებაც.

ლ ე ვ ა ნ კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

ერთი კომპოზიტის შედგენილობის თაობაზე ხათურში¹

ენობრივ ძეგლთა სიმწირიდან გამომდინარე ხათურ ლექსიკაზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა დღეისათვის რთულია, თუმცა არსებული მასალა მეტ-ნაკლებად იძლევა სიტყვათა აგებულებასა და ფუძეთა ნაირგვარობაზე მსჯელობის საშუალებას.

წინამდებარე მოხსენების განხილვის საგანია ხეთურ ტექსტებში დამოწმებული დღეობა, ზეიმის აღმნიშვნელი ხათური სიტყვა **izzištanu**. იგი კომპოზიტთა კლასს განეკუთვნება, კერძოდ, კარმად-ჰარადას სახეობებს, სადაც გამოიყოფა ზედსართაული განსაზღვრებითი ნაწილი **izzi**-„კარგი“ და სახელური ფუძე **stan-u**„დღე“.

ო. სოდსალი მის აგებულებაში გამოყოფს *izzi štanu* ელემენტებს და უკანასკნელს, ე. ლაროშზე დაყრდნობით (Laroche 1947, 26, 106), უკავშირებს მზის ღვთაების აღმნიშვნელ სახელს *eštan* (Soysal 2004, 284). იქვე წარმოდგენილია შუმეროგრამით გადმოცემის შესაძლებლობაც ^DUD.SIGs, რომელიც განიმარტება „სასიკეთო დღე“ (ტატიშვილი 2013, 120).

ვგიქრობ, *štanu* და *eštan* ფუძეთა დაკავშირება ამ შემთხვევაში უსაფუძვლო არ უნდა იყოს, თუმცა გაიგივება უმართებულო იქნებოდა. ორივე მათგანი ერთი ძირიდან ნაწარმოები ჩანს, რომელთაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. სავარაუდოდ, ამ კომპოზიტში

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (ს/პ: DO/224/1-30/14).

შენახულია დღის აღმნიშვნელი ხათური ძირი **tan-**, რომლისაგანაც, თავის მხრივ, მზის ღვთაების სახელი eš-**tan** წარმოქმნილა. š-tan-u ფორმაში შენახული ჩანს მეორე გრამატიკული კლასის š- თავსართი, რაც მიგვანიშნებს სახელური ფუძის კლასობრივ დაჯგუფებაზე, ბოლოსართი -u კი ზოგადობის (resp. ცნებითობის)მაწარმოებელი ჩანს.

tan- ხათური ძირის შესატყვისები აღმოჩნდა ქართველურ ენებში:

შდრ.:

ქართ. **თენ-**ებ-ა

კოლხ. (მეგრ.) **თან-**აფ-ა „აღდგომა, დღესასწაულთა დღესასწაული“

სვან. ლი-**თნ-**ე „დაბადება, შობა“, ნა-**თჳნ** „ნაშობი“

დაკვირვება მკაფიოდ ცხადყოფს მოცემულ ძირთა შორის სტრუქტურულ-ფონეტიკურ და სემანტიკურ სიახლოვეს. ქართველურ ენათა მონაცემებში შენარჩუნებულია სწორედ ის შინაარსი, რაც განაპირობებს ამა თუ იმ დღის საზეიმოდ ქცევას: ქართული *თენება*, როგორც სასწაულებრივ მოვლენად კვალიფიცირებული მოვლენა ღვთისმეტყველებაში, კოლხური **თან-**აფ-ა „აღდგომა“ უმთავრესი დღე აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში, სვანური ლი-**თნ-**ე „დაბადება“, რაც სიხარულს განაპირობებს და საზეიმო დღის საწინდარია.

ვფიქრობ, განხილული მასალა დამატებით არგუმენტად წარმოჩნდება ხათურ-კავკასიურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხში.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

-ვე და -ც(ა) ნაწილაკდართულ -ზედა, -ზედ, -ზე თანდებულიან სახელთა მართლწერისათვის

„ის ენობრივი ნორმები, რომლებითაც დღეს ვხელმძღვანელობთ,ძირითადად ნახევარი საუკუნის წინანდელი მეცნიერული რეკომენდაციებია, ხოლო მათ საფუძვლად აღებული უმთავრესი ენობრივი მონაცემები საუკუნის ხნოვანებისაა. როცა შთამომავლობას ნორმებს სთავაზობდნენ, ჩვენი ფილოლოგიის პატრიარქები აუცილებლად მიიჩნევდნენ მიეთითებინათ, რომ ცოცხალი ენა ვითარ-

დება და დროთა ვითარებაში დასაშვებია ნორმების ცვლაც. ამიტომაც, თუ რომელიმე ნორმა მოძველდა („სოციალური სანქცია“ დაკარგა), მისი გადასინჯვა რევიზიად კი არა, სწორედ წინაპართა ნაანდერძების ერთგულებად უნდა მივიჩნიოთ – აღნიშნავს ა. არაბული მონოგრაფიაში „ენა ჩვენი არსობისა“.

სწორედ ამ მიზნით „გადასინჯა“ **-ზედა, -ზედ, -ზე** თანდებულისა სახელთა მართლწერა ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და გუგლის მონაცემთა მიხედვით. შესაბამისად, გამოიყო ორი შემთხვევა: ა) როდესაც თანდებულისა სახელს ნაწილაკი არ დაერთვის (მთაზე, მთაზედ, მთაზედა; სახლზე, სახლზედ, სახლზედა; რომელზე, რომელზედ, რომელზედა; ჩემზე, ჩემზედ, ჩემზედა) და ბ) როცა ზემოთ აღნიშნულ თანდებულისა სახელებს დაერთვის **-ც(ა)** და **-ვე** ნაწილაკები. საანალიზოდ შევარჩიეთ რამდენიმე ლექსიკური ერთეული (რომელზეც, შდრ.: რომელზედაც, იმაზეც, შდრ.: იმაზედაც, მასზეც, შდრ.: მასზედაც, მთაზეც, შდრ.: მთაზედაც, მიწაზეც, შდრ.: მიწაზედაც; თქვენზევე, შდრ.: თქვენზედვე, ჩემზევე, შდრ.: ჩემზედვე, მთაზევე, შდრ.: მთაზედვე, თავზევე, შდრ.: თავზედვე).

-ზედა, -ზედ, -ზე სახეობათაგან თანამედროვე ქართულში უდავოდ უნდა დარჩეს **-ზე** სახეობა ერთადერთ მართებულ ფორმად, როგორც აღნიშნულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში და რაზედაც მოწმობს ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და გუგლში დადასტურებულ ფორმათა სტატისტიკური მონაცემებიც. რაც შეეხება **-ვე** ნაწილაკდართულ ფორმებს, **ნორმებში** აღნიშნულია: „ვე ნაწილაკის დართვისას იხმარებოდეს ძველი სახეობის ხმოვანმოკვეცილი ვარიანტი **-ზედ (მთაზედვე, მიწაზედვე... და არა: მთაზევე, მიწაზევე...)**“. მოპოვებული მასალა ცხადყოფს, რომ **-ვე** ნაწილაკდართული **-ზე** თანდებულისანი ფორმები რიცხობრივად გაცილებით მეტია, ვიდრე **-ვე** ნაწილაკდართული **-ზედ** ვარიანტისანი ფორმები. ამდენად, მართებულად უნდა მივიჩნიოთ ორივე შემთხვევა: **-ზედვე// -ზევე (რომელზედვე // რომელზევე, ჩვენზედვე // ჩვენზევე...)**. ასევე – „**ც(ა)** ნაწილაკის დართვისას ძველი (**ზედა**) სახეობა უნდა დარჩეს უცვლელად (**მთაზედაც, მიწაზედაც... და არა: მთაზეც, მიწაზეც...)**“ – აღნიშნულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში. ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და გუგლის მონაცემების მიხედვით, **ც(ა)** ნაწილაკდართული **-ზე** ვარიანტისანი ფორმები საგრძნობლად მეტია **ც(ა)** ნაწილაკდართულ

-ზედ თანდებულის ფორმებზე. ვფიქრობთ, თანამედროვე ქართულში აკრძალვა უნდა მოეხსნას **-ზეც** ვარიანტიან ფორმებს. ამდენად, მართებულია ორივე შემთხვევა: **ზედაც // ზეც (რომელზედაც // რომელზეც, ჩვენზედაც // ჩვენზეც...)**.

მაშასადამე, **-ზედე** და **-ზევე** ვარიანტიან სახელთაგან ორივე უნდა მივიჩნიოთ მართებულად (**მთაზედე // მთაზევე**). ასევე მართებულად უნდა ჩაითვალოს **-ზედაც და -ზეც** ვარიანტიანი ფორმები (**რომელზედაც // რომელზეც**).

მოხსენებაში დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი კვლევის შედეგები, სტატისტიკური მონაცემები ქვეკისა და გუგლის გათვალისწინებით.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

დალის ხეობის ონომასტიკის რამდენიმე ასპექტი (ახალი კოდორული მასალების მიხედვით)²

2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ კოდოროლები 15-წლიანი საბრძოლო ოდისეის ამაოდ ჩავლისა და მშობლიური ხეობის დედასამშობლოსაგან დროებით მოკვეთის გამო დევნილის სტატუსით ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – იმერეთში, ქვემო ქართლში, სვანეთში... კოდორული მეტყველება საინტერესო სემანტიკა სვანურისა და, ზოგადად, ქართველური დიალექტოლოგიური სივრცისა; შესაბამისად, ჩვენ გასული საუკუნის 80–იანი წლებიდან დღემდე ვაწარმოებთ დალისხეობელებთან მუშაობას ონომასტიკური და ეთნოლინგვისტური მასალების შეკრება-სისტემატიზაციის მიზნით.

სვანურში საკმაოდ მრავალფეროვანია **-ჰა** ფორმანტით ნაწარმოები როგორც საზოგადო, ასევე საკუთარი სახელები. მრავლად გვხვდება ისინი დალის ხეობაშიც. პუბლიკაციის მიზანს სწორედ ამ ტიპის სახელთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და საკუ-

² პუბლიკაცია შესრულებულია შოთა რუსთველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში (ინტერდისციპლინური გამოკვლევა სვანურ-გერმანული ლექსიკონი-თურთ)“ ფარგლებში.

თარ სახელთა სისტემაში -**წი** აფიქსის დისტრიბუციის განსაზღვრა წარმოადგენს.

დალის ხეობის ონომასტიკონში -**წი** ფორმანტით ნაწარმოები საკუთარი სახელება – ზოონიმებია: **ტადმწი, სუნთქწი, ტიფსწი, მეშხლწი, ბიმბლწი, ზონდორწი, თეგრწი, ცხარწი, ყაფრწი, კაბწი, ბურღწი, გურწი, შხარწი, კოკწი, ბელდეგწი, ჟოფწი, საყლწი, ლამპრწი, ფალწი ... ჯგერაგწი /ჯგერგწი /გერგწი, ლამგრიწი, გჭირკწი, მაცხტარწი, ენწი, უსტწი, ბარბლწი, ფუსწი /ფუსდწი... ყარწი, ჟეგწი, ხახსწი ...** (სტატიაში წარმოდგენილი იქნება თითოეული მათგანის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი; საინტერესოა, რომ უმეტეს წილს ზანურ ზოონიმიაში ეძებნება პარალელი, როგორც ეს წინასწარი კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა).

-**წი** მაწარმოებელი სვანურში საკმაოდ ხშირი გამოყენებისაა და ფუნქციურადაც მრავალფეროვანი: -**წი** სუფიქსში საკუთრივ ქონების მაწარმოებლად შეიძლება გამოიყოს **ა**, რომელიც საერთოა ქართულთან, **ო** კი წარმოშობით სახ. ბრუნვის ნიშანია (ზ. ჭუმბურიძე).

საინტერესოა, რომ -**წი** ფორმანტით ნაწარმოებ ზოონიმებს – ჯგერაგწი /ჯგერგწი /გერგწი, ლამგრიწი, გჭირკწი, მაცხტარწი, ენწი, უსტწი, ბარბლწი, ფუსწი /ფუსდწი... სემანტიკური ასპექტების გავალისწინებით ზუსტი ანალოგი საქართველოს სხვა კუთხეებში არ ეძებნება; ეს არის ჯგერაგწი /ჯგერგწი /გერგწი, < (ჯგგწი „წმ. გიორგი“); ლამგრიწი (<ლამწია „წმ. მარიამ ღვთისმშობელი“); გჭირკწი (<ლი-გურკე „კვირიკობა“); მაცხტარწი (<მაცხტარ „მაცხოვარი“); ენწი (<იან/იან „წმ. იონა წინასწარმეტყველი“); უსტწი (<უსტ); ბარბლწი (<ბარბალ „წმ. ბარბარე“); ფუსწი / ფუსდწი (<ფუსდ „მეუფე, უფალი, ღმერთი“)... ამ ზოონიმთა სახელდების, შექმნის მოტივაცია, შეიძლება ითქვას, რელიგიურ-ეთნოლოგიურია და დაკავშირებულია უხსოვარი დროიდან სვანეთში, შესაბამისად, დალის ხეობაში არსებულ ტრადიციასთან მაღალი ღმერთის, შემოქმედის, ამა თუ იმ წმინდანის სახელზე ხარ-ძროხის შეწირვა-დაყენებისა, რაც აღინიშნება ტერმინით „ლიღგენე“ და „ლგგენე“. სვანურ ლექსიკონში აღნიშნული ლექსემა განმარტებულია შემდეგნაირად: ლგგენე (ზზ. ლშხ). ლგგენე (ლნტ.) ლგგენე (უმგ.) – შეწირული, სამსხვერპლოზე მისატანი საკლავი. ჯან ჟი ლგგენე ლი ფუსნაბუნსდამშედ (ლშხ.) – ხარი შეწირულია სამყაროს მეუფისათვის (თოფურია, ქალდანი 2000: 514-515). ჯგერაგწი / ჯგერგწი / გერგწი, ლამგრიწი, გჭირკწი, მაცხტარწი, ენწი, უსტწი, ბარბლწი,

ფუსნა / ფუსდა... სახელები უაღრესად საინტერესოა სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ შესაბამისად იმისა, რომელი წმინდანის, ღვთაების სახელზე ხდება აღთქმა და შელოცვა „ჟილიმზერი“, ზოონიმიც იწარმოება შესაბამისი თეონიმისგან სვანურში საკმაოდ პროდუქტიული -ნა ფორმანტის დამატებით.

მაშასადამე, დალის ხეობის ონომასტიკონში -ნა ფორმანტი-თაა მარკირებული **თეონიმთაგან ნაწარმოები ზოონიმები:** ჯგერაგა / ჯგერაგა / გერაგა, < (ჯგერაგ „წმ. გიორგი“); ლამერიან (<ლამერიან „წმ. მარიამ ღვთისმშობელი“); გურიკა (<ლი-გურკე „კვირიკობა“); მაცხუარ (<მაცხუარ „მაცხოვარი“); ენშან (<იან/იან „წმ. იონა წინასწარმეტყველი“); უსუნა, ბარბლა (< ბარბალ „წმ. ბარბარე“); ფუსნა / < ფუსდა;

ტოპონიმური ზოონიმები: ყარჩა, ჟეგმა, ბახსნა, რამდენა-დაც მათ არქმევდნენ ჩრდილო კავკასიიდან, კერძოდ, ყარაჩაიდან, ჟეგმიდან და ბახსანიდან გადმოყვანილ ხარებს; **მოტივაციის მქონე სახელები:** ტაღმა, სუნთქუა, ტიფსა, მეშხლა, ბიმბლა, ბონდორა, თეგრა, ცხარუა, ყაფრა, კაბა, ბურღუა, გურუნა, შხარა, კოკჩა, ბელდგა, ოფხა, საყლა, ლამპრა, ფალთა...

დალის ხეობის ონომასტიკის კვლევა სტრუქტურული, ეტიმოლოგიური თუ ლექსიკურ-სემანტიკური კუთხით იძლევა უაღრესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. ონომასტიკა ხომ მეცნიერების ის უბანია, რომელშიც ერთიანდება ინტერესები ლინგვისტთა, ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა... რამდენადაც საკუთარი სახელის კვლევა შეიძლება სხვადასხვა ასპექტით – ლინგვისტური, ქრონოლოგიური, სოციალური, სტილისტიკურ-ესთეტიკური, ექსტრალინგვისტური...

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი

ინფერენციული პერფექტული და არაპერფექტული ზმნების ნიუანსობრივი ურთიერთმიმართებისათვის

1. ინფერენცია არის ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო და, ვერბალობისგან განსხვავებით, ის გულისხმობს მხოლოდ კვალის ან ფონური ცოდნის საფუძველზე მოქმედების მიერ ლოგიკურ დასკვნას მოვლენის ან მოქმედების შესახებ.

2. მრავალ ენაში ზმნათა პერფექტულ დროებს განვითარებული აქვთ უნახაობის გამოხატვის ფუნქცია. უნახავი მოქმედების (/მოვლენის) შესახებ მთქმელის მიერ გადმოცემული ინფორმაცია კი ყოველთვის არის ან ვერბალური, ან ინფერენციული; მაგალითად, ის, რომ „პეტრე წასულა“, მთქმელმა შეიძლება ვერბალური წყაროდან შეიტყოს ან ინფერენციით (ამ შემთხვევაში კვალის მიხედვით – ვთქვათ, პეტრეს მანქანა არ დგას ადგილზე) დაადგინოს. ნებისმიერ შემთხვევაში ის მხოლოდ უნახაობას დააფიქსირებს და, იმის გამო, რომ თავად არ შეესწრო ამ ამბავს, ეჭვქვეშ არ დააყენებს მოვლენას. სანდოობის ხარისხი თურმეობითებით გადმოცემულ ინფორმაციაში მაღალია (შეიძლება ითქვას, საერთოდ არ ხდება მისი შეფასება ამ თვალსაზრისით).

3. ინფერენციული არაპერფექტული მწკრივები ქართულში არ გვაქვს (თუ არ ჩავთვლით ხოლმეობითს, რომელიც კონტექსტის მიხედვით შეიძლება აღმოჩნდეს არა მოქმედების მრავალჯერადობის, არამედ სწორედ ინფერენციულობის გამომხატველი: – პეტრე წავიდა? – წავიდოდა... (=ალბათ წავიდა); სვანურში კი საქმე სხვაგვარადაა: აქ არაერთი არაპერფექტული მწკრივია ინფერენციული. ასეთი ზმნური ფორმებით მთქმელი გამოხატავს მის მიერ უნახავი მოქმედების საეჭვოობას, სავარაუდოობას, ვინაიდან ვარაუდი ეფუძნება უკვე არა კვალს, არამედ ფონურ ცოდნას.

4. თუ პერფექტული ფორმებით გამოხატული ინფერენციული ინფორმაცია სანდოობის ხარისხით თითქმის უტოლდება პერფექციულს, რადგან მთქმელი უშუალო კვალის მიხედვით მსჯელობს, არაპერფექტული ზმნებით გამოხატული ინფერენცია აუცილებლად შეიცავს საეჭვოობას, ვინაიდან ფონური ცოდნის ნიადაგზე გამოტანილი დასკვნა უფრო მეტადაა დაშორებული ფაქტისგან, ვიდრე კვალზე დაფუძნებული. სხვაგვარად: კვალის მიხედვით გაკეთებული დასკვნა გაცილებით რეალურია, ვიდრე გამოცდილების ან ფონური ცოდნის განზოგადებით მიღებული.

5. მაშასადამე, ა) პერფექტული ფორმებით გამოხატულ ინფერენციულ ინფორმაციასა და მთქმელს შორის დისტანცია გაცილებით მცირეა, ვიდრე არაპერფექტული ფორმებით გადმოცემულ ინფორმაციასა და მთქმელს შორის; ბ) პერფექტული ფორმებით გადმოცემული ინფორმაციის შესახებ სანდოობას ან საეჭვოობას მთქმელი არ აფიქსირებს, არაპერფექტული ფორმებით გადმოცემისას კი ინფორმაციის დადასტურებულობის, ასევე მთქმელის

დარწმუნებულობის ხარისხი ნაკლებია, ის ყოველთვის გულისხმობს „ალბათ“-ს და ამგვარი ზმნების პერიფრასტულად გადმოცემისას აუცილებელი ხდება რომელიმე საექჟოვობის გამომხატველი ნაწილაკის ან ლექსემის ჩართვა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ლ რ ა ძ ე

უცხოური ტოპონიმების დაწერილობისათვის

უცხოური გეოგრაფიული სახელების გადმოსაცემად თანამედროვე ქართულში დგება პრაქტიკული საკითხი მათი დაწერილობისა.

განიხილება უთარგმნელი გეოგრაფიული სახელები (სხვა რიგის საკითხია ცისფერი ნილოსი, წითელი ზღვა, შავი მთები, ყვითელი მდინარე... თუმცა აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული სახელები არ უნდა ითარგმნებოდეს).

ვინაიდან ტოპონიმები მომდინარეობს სხვადასხვა ენიდან, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ენებზე მათი დაწერილობა (ზოგ შემთხვევაში ერთგვარობა დარღვეულია: ტოპონიმი (ნიუ-იორკი) ძველად იწერებოდა დეფისით, ამჟამად ცალ-ცალკე – ნიუ იორკი. თუ ტრადიციას ამოსავალი, მაშინ არ უნდა შევცვალოთ ფორმა. თუმცა ტენდენცია ერთად დაწერილობას (და მართებულადაც) უჭერს მხარს და მასობრივად ასეც გვხვდება: ნიუიორკი. უცხოური ენების დაწერილობის პრინციპები ხშირად მიუღებელია ქართული ორთოგრაფიისათვის.

მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურის მქონე ტოპონიმები ქართულად სამი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ცალ-ცალკე, დეფისით და ერთად. **ტოპონიმები იწერება ერთად:** *ნიუპორტი, ნიუკასლო, ნიულანდი, ჩერნოგორია, ხუანხაი, ხუანხე, ტიანძინი, ყიზილთაუ...* **ტოპონიმები დეფისითაა:** *სან-ფრანცისკო, ბუენოს-აირესი, სანტა-კრუსი, ლაჯო-მაჯორე, ხუან-დე-ფუკა...* **ტოპონიმები ცალ-ცალკეა –** *ნიუ იორკი, ნიუ მექსიკო...*

თუ კანონზომიერებას მივდევთ, თუ მართლწერის პრინციპი მოქმედებს, არ უნდა იყოს ერთი და იმავე ძირებით შედგენილი კომპოზიტები სხვადასხვაგვარად გაფორმებული: **ნიუ-იორკი – ნიუპორტი; ზღევ-ჰილზი – ზღეკბერნი; ზლუ-რაჯი – ზლუვილდზი;**

ტიან-შანი (ციური მთები), **ტიანძინი** (ციური კარი – მდ.); **ხუანხაი** (ყვითელი ზღვა), **ხუანხე** (ყვითელი მდინარე); **ყიზილთაუ** (წითელი ქედი), **ყიზილ**-ირმაკი (წითელი მდინარე); **ყარა**-ირტიში (შავი მდინარე), **ყარაყული** (შავი ტბა)...

ორი და მეტი სიტყვისაგან შემდგარი უცხოური გეოგრაფიული სახელი დედანში ცალ-ცალკეა, ქართულად კი იწერებოდა და ზოგი ახლაც იწერება დეფისით: New York State Barge Canal – ნიუ-იორკ-სტეიტ-ბარჯ-კანალი, Buenos aires – ბუენოს-აირესი, bam-bai – ბომბეი, მანმადი – man-mād...

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები, ანუ ტოპონიმები – მხოლოდ და მხოლოდ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი, მისათითებელი, მათორინტირებელი ფუნქციითაა დატვირთული.

ქართული ორთოგრაფიის პრინციპებით კი, თუ (უცხოური) კომპოზიტი ერთცნებიანია, იგი ერთად უნდა დაიწეროს. ეს წესი უნდა მოქმედებდეს იმ ტოპონიმებზეც, რომლებიც არ არის ნათარგმნი. ისინი ერთად უნდა დაიწეროს, მიუხედავად იმისა, როგორაა დედაენაში გაფორმებული. უგამონაკლისოდ უნდა შეეხოს ყველა ტოპონიმს, არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს ეტიმოლოგიურად გამჭვირვალე (**ნიუპორტი** (ახალი), **სანტაბარბარა** (წმინდა), **ყარაყული** (შავი), **ყიზილთაუ** (წითელი)... თუ ბუნდოვანი (ანანდაპური [ānanda-pur], ანანტაპური [ānanta-pur]; ადილაბადი [ādil-ābād], ალა-ზაბადი [alāh-ābād] – ქალაქები ინდოეთში).

ნ ა ნ ა მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში. 4. აჟ ემფშა „ნადირთ ღვთაება“

აფხაზურში ნადირთ ღვთაების სახელწოდებაა **აჟემფშა**, ეს სახელი კომპოზიციით მიღებულის შთაბეჭდილებას ტოვებს: **აჟ⁺ემ⁺ფშ⁺აა**. ვფიქრობთ, რომ ჩვენს წინაშე ოთხკომპონენტური კომპოზიტია:

სიტყვის პირველი ელემენტი **-აჟ** „მველი“ ლექსემაა, მეორე **-ემ** > **ემ**, საურთიერთო მიმართების პრეფიქსი, მესამე-**ფშ** < **აყაფშ** „წითელი“, ხოლო მეოთხე **-აა** ელემენტი (კრებითი) მრავლობითის

გამომხატველი ჩანს. სიტყვასიტყვით: „მველი (>მოხუცი, ბებერი) + ურთიერთ + წითურ+(ნი)... „მოხუცი წითური“...(შდრ.: აჟაკ აფშ „კაცი წითური“, აბგაფშ „მგელი წითური“)..


კომპოზიციის სტრუქტურა შეესაბამება აფხაზური ენისათვის დამახასიათებელ საზღვრულ-მსაზღვრელის განლაგებას: ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავს სახელებს აფხაზურში ახასიათებს ტაბუირება, სიტყვის ასეთი გააზრება არ უნდა იყოს მოულოდნელი. რაც შეეხება მრავლობითის ფორმანტს, იგი ჩვეულებრივია აფხაზურ ანთროპომორფულ სახელთათვის და მრავალდმერთიანობის პერიოდიდან მომდინარეობს (შდრ. ანცა „დმერთი“ = დედები (ქ. ლომთათიძე) აშააცა „გამჩენი, დამბადებელი“)

თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე

ქართული ზმნისწინი და პოლიპერსონალიზმი

წარმოდგენილ მოხსენებაში საუბარი იქნება ზმნისწინის ფუნქციებზე ტიპოლოგიური კუთხით ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში. საერთოდ, ზმნისწინს აქვს განსხვავებული მორფოსემანტიკური დატვირთვა სხვადასხვა ენებში. ქართველურ ზმნისწინთა ფუნქციური სქემა ასე გამოიყურება:



სივრცითი, დროითი და ლექსიკური ფუნქციები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ტრადიციული ქართველური სკოლის მიერ. რაც შეეხება ზმნისწინის ობიექტურ ფუნქციას, ეს ფუნქცია პირველად განიხილება ამ ფორმატით.

ზმნისწინთა ობიექტურ ფუნქციას აქვს დერივაციული ეფექტი, კერძოდ, ის გავლენას ახდენს ზმნის პირიანობაზე. ამ ფუნქციას ვუწოდებთ „ობიექტური“, რადგანაც ობიექტურია პირი, რომელიც (ზმნისწინის გამო) განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. ინდოევროპულ ენებში ფართოდაა შესწავლილი და აღწერილი ტრანზიტივიზაციის ისეთი მოდელი, სადაც ზმნისწინი გავლენას ახდენს ზმნის ვალენტობაზე. მეცნიერთა ნაწილი ამ მოვლენას განიხილავს, როგორც სინტაქსურ მოვლენას, ნაწილი კი საუბრობს მორფოლოგიაზე. ზეღერმა წამოაყენა ჰიბრიდული თეორიაც.

ამ ფონზე, ცხადია, ქართველური ენების მონაცემებს ფასდაუდებელი წვლილის შეტანა შეუძლიათ ამ საკითხის ტიპოლოგიურ კვლევებში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ენათა მასალა არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული ასეთი ტიპოლოგიური მივების დროს.

მოხსენებაში ასევე განხილული იქნება ობიექტის ალტერნაციის საკითხიც. ეს თემაც ამომწურავადაა დამუშავებული ინდოევროპულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში და, როგორც ყოველთვის, არც აქ არის გათვალისწინებული ქართველური ენების მონაცემები. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ანალოგიური ტიპის ინდოევროპული, სინტაქსური მოვლენისაგან განსხვავებით, ქართველურ ზმნისწინს აღმოაჩნდა ობიექტის ცვლილების უნარი და თანაც ამ ენებში ეს მოვლენა დასტურდება მორფოსემანტიკურ დონეზე. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ახლად გამოვლენილი ობიექტის როლთა ცვლილებანი – გამოწვეული ზმნისწინის დართვით და, რა თქმა უნდა, საკითხის თეორიულ ნაწილს საილუსტრაციოდ ექნება შესაბამისი დამადასტურებელი ემპირიული მასალაც.

პლეონასტური კომპოზიტების შესახებ თანამედროვე მედიადისკურსში

კომპოზიციის ერთ-ერთი პროდუქტიული მოდელია რთულ სიტყვათა პირველ შემადგენელ ნაწილად უკუქცევითი ნაცვალსახელის – „ურთიერთის“ – ფუძის გამოყენება (ურთიერთგაგება, ურთიერთკავშირი, ურთიერთსიყვარული, ურთიერთდახმარება და სხვ.). აღნიშნული ნაცვალსახელის მონაწილეობით კომპოზიტი იძენს ერთმანეთთან რაიმე დამოკიდებულების, ერთმანეთთან კავშირის გამოხატვის შესაძლებლობას.

ბოლო დროის მედიადისკურსში სულ უფრო ხშირად გვხვდება ახალგაჩენილი კომპოზიტები, რომლებსაც პლეონასტური შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ნაცვალსახელი „ურთიერთ“ ისეთ ფუძეებს უძღვის, რომლებიც თავისთავად გამოხატავენ საურთიერთო გრძნობებსა თუ მოქმედებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარად ნაწარმოები ფორმები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის ძველ რედაქციამდე არის შეტანილი: ურთიერთმეგობრობა, ურთიერთგაწონასწორება, ურთიერთშეთანხმება, ურთიერთშედარება. მათი პლეონასტურობის შესამოწმებლად საკმარისია, იმავე ლექსიკონის მიხედვით, ამოსავალ და თხზულ ფორმათა დეფინიციების შედარება, რომელთა შორის სემანტიკურ დონეზე არსებითი განსხვავება არ იკვეთება.

ახალგაჩენილ რთულ სიტყვათაგან მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი ერთეულები: **ურთიერთთანაცხოვრება, ურთიერთთანაარსებობა, ურთიერთთანასწორობა** და მისთ. (**ურთიერთთანამშრომლობა** ამავე ყალიბის ერთადერთი კომპოზიტია, რომელიც ქველის ძველ რედაქციასა და მართლწერის ახალ ლექსიკონებში გვხვდება). დასახელებულ მაგალითებში საურთიერთო შინაარსის ჭარბად გამოხატვა მეტად თვალსაჩინოა, რადგან „ურთიერთ-“ გამოიყენება ისეთ რთულ ფუძეებთან, რომელთა პირველი ნაწილი „თანა-“ ვინმესთან ან რამესთან ერთად ყოფნას აღნიშნავს.

აღმოსავლური ლექსიკა ლადო ასათიანის შემოქმედებაში

ლადო ასათიანის შემოქმედებაში მრავლადაა ხალხის წიაღში (დიალექტში) შემორჩენილი ძველი ლექსიკა, პოეტი თითქოს საგანგებოდ ეძებს მას... მაგრამ ხშირად ეს სიტყვები ძველ ქართულშიცაა სხვა ენებიდან შემოსული:

„მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა, **შლეგი** ჩანჩქერების ნაპრალებზე ხლტომა („ქართული ენა“). **შლეგი** <თურქ. „გიჟი, გადარეული, ფეთიანი...“

„მერე ავენთე, ვით ნეკერჩხალი, და **ნარიყალას** კედელთან დავდექ...“ („წვიმაში“). ლადო ასათიანის ჩანაწერებიდან: **ნარიყალა** <ნარიგ-ყალა „მიუვალი ციხე“ სპარს. **სოლოლაკი** „სარწყავი არხი“ (იმავე ენაზე...)“.

„გარეული კამეჩების დევნით დაილაღნენ, დახოცეს **უშტი** და **უშქარი** ნადირი, და როცა მთვარემ ტყეზე გადაიარა, სასმური ასწია ლევან დადიანმა...“ („ნადირობის შემდეგ“). **უშტი**, **უშქარი** ძვ. გადატ. მრავალი [უშტი <თურქ.ძვ]

„ათჯერ უშქარი არს უშტი. (საბა), – ათი მილიონი... **უშქარი** ძვ. – „ათჯერ ბევრის-ბევრი არს უშქარი“ (საბა), – ერთი მილიონი... (ქეგლ.)

„უნდა იმგვარად დავლენოთ თქვენთა ციხეთა ბურჯები, რომ ხორნაბუჯში **ხორნაბუჯს** ეძებდეს ხორნაბუჯელი... **სულთნის** ბანაკში კაცი აყვირდა: წამოდექითო, მხედრებო, **სბა** დაგვესხაო ურიცხვი...“ („ბასიანის ბრძოლა“)

განსაკუთრებით, აღსანიშნავია აღმოსავლური ლექსიკა თბილისური ყოფის ამსახველ ლექსებში:

„**დარდი**“ ვარ მარტო, დავდივარ მარტო და ეთიმ გურჯის **ბაიათს** ვმღერი...“ („ოთხი უსათაურო“)

„მე ვეტრფი ძლიერ თბილისელ ხაბაზს, დილით ადრე რომ ააფრენს **ლაფაშს**. („ა. ვ-ს“)

„აქ, ამ ქუჩებში დადიოდა, როგორც სიზმარი... ჩამოხეული, ტანმაღალი, **მარად ხიზანი**...მივალ, მხედებიან საზანდრები, ქუჩის **მგოსნები**, ბნელთან მებრძოლი უსინათლო **მეთარეები**...“ („ფიროს-მანის დუქანი“)... და სხვ.

ენა ყველაზე კარგად ასახავს ერის ისტორიას, ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ რა გზა გამოიარა ქართულმა ენამ, როდის და რა გზით დამკვიდრდა ენაში აღმოსავლური ლექსიკა.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

კვლავ რამდენიმე არაიდენტური ხმოვანთკომპლექსის ელიზიისათვის სვანურში

ამჯერად ჩვენი მოხსენების ძირითადი მიზანია მარტივ ელიზიურ პროცესებში მონაწილე რამდენიმე არაიდენტური **ჰ+ე, ა+ო** და **ა+უ** ხმოვანთკომბინაციის შესახებ მსჯელობა.

ჰ+ე. როგორც მრავალფეროვანი საანალიზო მასალის ანალიზმა აჩვენა, **ჰ+ე** ხმოვანთკომპლექსი ელიზირდება სვანური ენის სამ დიალექტში: ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში. რაც შეეხება ლაშხურს, რომელიც სვანური ენის სხვა დიალექტებისაგან უმულაუტობით გამოირჩევა, რასაკვირველია, **ჰ+ე** ხმოვანთკომპლექსის შემცველი ფორმებიც არ გამოვლინდებოდა.

როგორც სვანურ პუბლიკაციებში, ასევე თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაშიც ელიზირებულ ფორმათა (**მწ'ნსყე, მწ'ნმეგრე, მწ'სერ, სგწ'სერ...**) პარალელურად უელიზიო ფორმებიც დადასტურდა (**მწ ენთხე, მწ ენმეგრე, მწ ესერ, შომწ'ერე...**)

ჰ+ე კომპლექსის შეხვედრისას ელიზიას ადგილი აქვს არა მხოლოდ ნაცვალსახელისა და ზმნის პირიანი ფორმის შეხვედრისას, არამედ ნაცვალსახელისა და სხვათა სიტყვის ნაწილაკის, ასევე ზმნისართისა და კავშირის შეხვედრის შემთხვევაშიც (მაგ.: **მწ'ნწიდე ← მწ ენწიდე, მწ'ნსყე ← მწ ენსყე, მწ'სერ ← მწ ესერ, ნწ'სერ ← ნწ ესერ, სგწ'სერ ← სგწ ესერ, შომწ'რე...**).

ჰ+ე ხმოვანთკომპლექსის შემთხვევაში უმეტესად კომპლექსის წინა კომპონენტი ხდება მიზეზი მომდევნო კომპონენტის ჩავარდნისა, თუმცა სვანურში შეიძინევა საწინააღმდეგო ტენდენციაც, კერძოდ, როცა მომდევნო ხმოვანია დამძლევი, წინა კი დასამძლევი (მაგ.: **მ'ესერ ← მწ ესერ, ნ'ესერ ← ნწ ესერ, სგ'ესერ ← სგწ ესერ, შომ'ერე ←**

ზომწ ერე...) ე. ი. გვაქვს როგორც რეგრესულ, ასევე პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზიის ნიმუშები.

ა+ო. ა+ო ხმოვანთკომპლექსი, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ელიზიურია იმ შემთხვევაში, თუ **ქა-** და **სგა-||ისგა-** პრევერბები ერთვის **ო** ხმოვნით დაწყებულ ზმნას. ეს წესი, მ. ქალდანის აზრით, მტკიცედ არის გატარებული ბალსქვემოურ კილოში (მაგ.: **ქ'ოთბაჟა ← ქა ოთბაჟა, ქ'ოთკერნა ← ქა ოთკერნა, სგ'ოსდა ← სგა ოსდა** და ა. შ.), ხოლო ბალსზემოურსა და ლაშხურში კომპლექსის წინა კომპონენტის შერწყმა ხდება მომდევნოსთან, რაც **ო** ხმოვნის დაგრძელებას იწვევს (მაგ.: **სგ'ოდერ ← სგა ოდერ, სგ'ოთნახა ← სგა ოთნახა, სგ'ოთშგაბ ← სგა ოთშგაბ, სგ'ოჰახ ← სგა ოჰახ** და სხვ.).

ელიზირებულ ფორმათა პარალელურად სვანური ენის დიალექტებში, ცხადია, ადგილი აქვს უელიზიო ფორმათა ხმარებასაც (მაგ.: **ლეჟა ოხკერნა, ქა ოხფიშუდა, ქა ომჩედელი, ქა ოხსაბ...**), რასაც ხშირად მეტყველების ნელი ტემპი განაპირობებს.

ა+ო ხმოვანთკომპლექსი უმეტესწილად პრევერბიან ზმნებთან იძლევა ერთ **ო**ს, თუმცა იგი სხვა შემთხვევაშიც ელიზირდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში, კერძოდ, მაშინ, როდესაც გვაქვს: **ზმნისართი + ზმნის პირიანი ფორმა, არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, თანდებულიანი არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა** და ა. შ. ბალსზემოურსა და ლაშხურში ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ელიზიის ნაცვლად ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე, რომელიც ხორციელდება არა მხოლოდ პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის პირიანი ფორმის ანლაუტი-სეულ ხმოვანს შორის, არამედ სხვა შემთხვევებშიც.

ა+უ. ა+უ კომპლექსისათვის, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, უცხოა ელიზია (მაგ.: **ამთეისგა უზად, ზუღღა უშხუარნენსგა, მიჩა უწადდ, ქა უზად, ყორქა უყუზა** და სხვ.), თუმცა თანამედროვე სვანურ მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც აღნიშნულ ხმოვანთკომპლექსსაც შესწევს უნარი ელიზიისა (მაგ.: **ამთეისგ'უზად, ზუღღ'უშხუარნენსგა, ეშთეისგ'უნკრინად, ყორქ'უყუზა** და მისთ.).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება უფრო დაწვრილებითი ანალიზი ა+ე, ა+ო და ა+უ ხმოვანთკომბინაციების შესახებ.

ეკონომიურობის პრინციპისათვის ჩოლურულ მეტყველებაში

ჩოლურული, რომლის ცალკე დიალექტად გამოყოფას ჯერ კიდევ აკად. ნ. მარი უჭერდა მხარს, მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, გარდამავალი დიალექტია (ქვემოსვანურ დიალექტთა შერწყმის შედეგად მიღებული). ქვემო სვანეთში, რომელიც მოქცეულია ლაშხურსა და ლენტეხურს შორის და ამის გამო ორივეს ძირითად გრამატიკულ მოვლენებს იზიარებს, თუმცა უკანასკნელ ხანს მოპოვებული მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება ჩოლურულიც ცალკე ერთეულად (და არა ლაშხურ-ლენტეხურ კილოთა გარდამავალ ზონად – ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. ქალდანი) გამოყოფით (ალ. ონიანი). ალ. ონიანის აზრით, „ჩოლურული ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი – ერთმანეთისაგან. ეს კი ჩოლურულის ცალკე დიალექტად გამოყოფის საფუძველს იძლევა“.

მიუხედავად ალ. ონიანის ამ მოსაზრებისა, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საცილობლადია ქცეული სვანური ენის დიალექტთა რაოდენობის საკითხი. სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილის საბოლოო განსაზღვრისათვის კი, როგორც არაერთგზის ითქვა, აუცილებელია მისი სპეციალური შესწავლა ენათმეცნიერული თვალსაზრისით, რისთვისაც, რასაკვირველია, ასევე აუცილებელი და ძალზე მნიშვნელოვანია ჩოლურის ხეობის 13-ივე სოფელში (**ფანაგა, ლეუშერი, თეკალი, ჭველიერი, საყდარი, მამი, უკვლეში, ქუნში, ლესიერი, ბულეში, დურაში, ჭველფი, ტვიბი**) სავლეთ პირობებში მოძიებულ-მოპოვებული მასალების ფონეტიკა-ფონოლოგიური, მორფოსინტაქსური და ლექსიკური თვალსაზრისით დამუშავება.

აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეული ენათმეცნიერული მოვლენების ახსნისას უნდა გავითვალისწინოთ ექსტრალინგვისტური ასპექტებიც:

- დიალექტ-კილოკავთა ურთიერთკონტაქტები;
- ინდივიდთა მეტყველების ასაკობრივი თავისებურებანი;

- სოციალური ვითარება (გენდერული პრობლემები, მეტყველების ტემპი და ა. შ.).

ცხადია, ნებისმიერ ჩოლურულ საკითხზე მუშაობისას ყველა ეს ასპექტი გათვალისწინებულია, რაც აადვილებს დასკვნების გამოტანას.

ამჯერად ჩვენი მოხსენების ძირითადი მიზანია სიტყვათა ცვლის (კუმშვა-კვეცის) საკითხი ჩოლურულ მეტყველებაში.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ჩოლურულ მეტყველებაში ხშირია სიტყვის სხვადასხვა პოზიციაში, კერძოდ: ანლაუტში, ინლაუტში და აუსლაუტში როგორც ცალი თანხმოვნის ან ხმოვნის, ისე ერთი, ორი ან მეტი მარცვლის მოკვეცის შემთხვევები, რაც შესაძლოა ე. წ. „ეკონომიურობის პრინციპით“ აიხსნას.

რამდენადაც ცნობილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა დღემდე არ ყოფილა საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩოლურული ტექსტების უქონლობის გამო.

მასალა, რომელიც ძირითადად ამოღებულია ჩვენ მიერ საველე პირობებში მოძიებული ტექსტებიდან, ცხადია, შედარებული იქნა როგორც ლაშხურ-ლენტეხურ, ასევე ზემოსვანურ დიალექტოლოგიურ შესაბამის მასალასთან, რის საფუძველზეც ჩოლურულმა აღნიშნული დიალექტებისაგან საკმაოდ განსხვავებული და მეტად საინტერესო სურათი აჩვენა.

ნაშრომში ხმოვანთა და თანხმოვანთა დაკარგვის რამდენიმე შემთხვევა გამოვყავით:

1. ანლაუტში თანხმოვან ან ხმოვანმოკვეცილი ძირები

ა) სახელები, რომელთაც ანლაუტში ცალი თანხმოვანი ან ხმოვანი აქვთ მოკვეცილი. მაგ.: **იმწრე** **სიმწრე** „შე კაცო“; **ეკუტეს ხეკუტეს** „უნდა“; **აკუტერ ხაკუტერ** „უნდა“; **ოქ ლოქ** „სხვათა სიტყვის ნაწილაკი“; **იტლერ** ქართ. ჰიტლერ-ი და ა. შ.

ბ) სახელები, რომელთაც ანლაუტში ერთი, ორი ან მეტი მარცვალი აქვთ მოკვეცილი. მაგ.: **საბედ** ქართ. ელისაბედ-ი...

2. ინლაუტში თანხმოვან ან ხმოვანმოკვეცილი ძირები

ა) სახელები, რომელთაც ინლაუტში ცალი თანხმოვანი ან ხმოვანი აქვთ მოკვეცილი. მაგ.: **თაჭმსაფარ** ქართ. თავმესაფარ-ი; **ჯერან** ქართ. ჯეირან-ი; **ჯგრანგ** სვან. **ჯგგრაგ/ჯგგგრანგ** „წმინდა გი-

ორგი“; **ფაცავ ფარცავ** ქართ. ფარსავ-ი; **ქა კენრლ ქა კედნრლ** „გამოდოდა“; **ლესხენ ლესგხენ** „გვერდიდან“; **დანელ/დანილ** ქართ. დანიელ-ი; **მახლტაჟ მახელტაჟ/მახელტაჟ** „ვაჟკაცი“; **მაქანა** ქართ. მანქანა; **ჯადაბა** ქართ. ჯანდაბა; **მილციამ/მელციამ** ქართ. მილიცია; **კომნისტ** ქართ. კომუნისტი-ი; **ზურბიანლ ზურბიანლ** „ზურბიანები“ და სხვ.

ბ) სახელები, რომელთაც ინლაუტში ერთი, ორი ან მეტი მარცვალი აქვთ მოკეცილი. მაგ.: **თაჟსფარ** ქართ. თავშესაფარ-ი; **შეზა/შეზა/შელებ** ქართ. შეიძლება; **პეტერგ** ქართ. პეტერბურგ-ი; **მარგობ** ქართ. მორიგეობა; **სამარგობსა** ქართ. სამორიგეობი; **ერტო/ერლო/ერტო/ერტო** ერქვანდნო „მერე, მას შემდეგ“; **ადნე ადრენე** „წავა“ და ა. შ.

3. აუსლაუტში თანხმოვან ან ხმოვანმოკეცილი ძირები

ა) სახელები, რომელთაც აუსლაუტში ცალი თანხმოვანი ან ხმოვანი აქვთ მოკეცილი. მაგ.: **ადიალ** ქართ. ადიალა; **ლექერთ ლექერთე** „შემოღობილი“; **ისგტეცახა ისგტეცახან** „თქვენთან ერთად“; **ლგგე ლგგედ** (მდრ. **ლგგად/ლგგად**) „ღვთის სახელზე შეწირული; აღთქმული“; **ცარდე ცარდელ** ქართ. ცარიელ-ი; **ჩუქ ემიკტ ემიკტ** „ჩამომიგდე“; **ირტი ირტინ** „ორჯერ“; **ტიითო** ქართ. ვითომ; **უბრალ** ქართ. უბრალი; **კაპიტო** ქართ. კაპიტონ-ი; **ტალოდი** ქართ. ვალოდია; **ბესარიო** ქართ. ბესარიონ-ი; **ჩტორტო ჩტორტო** „იქნებოდა“; **ჟიბო ჟიბოტ** „ზემოთ“; **ლადიმე სვან. ლადიმერ** ქართ. ვლადიმერ-ი და მისთ.

ბ) სახელები, რომელთაც აუსლაუტში ერთი, ორი ან მეტი მარცვალი აქვთ მოკეცილი. მაგ.: **დერმი** ქართ. ერმინე; **ტოლღაცახ ტოლღაცახან** „ოღლასთან ერთად“; **მგრტნბ მგრტნბირ** „[ბალს]ქვემოელი“; **იფროს** ქართ. ეფროსინე; **მაგრავ** ქართ. მაგრაფინა; **მეწ მეწარ** ქართ. ზეწარ-ი; **ჯი ჯრნა** „მუხა“; **ირმიც** ქართ. აღმაცერ-ი; **მა მარე** „მაგრამ“; **ბაწ ბაწარ** ქართ. ბაწარ-ი და ა. შ.

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ჩოლურული მეტყველება აღნიშნულ მოვლენის თვალსაზრისითაც ბევრ თავისებურებას ავლენს, რაც მას საგრძნობლად განასხვავებს სვანურის სხვა (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური) დიალექტებისაგან.

ნ ა რ გ ი ზ ა ს უ რ მ ა ვ ა

თავით, თავეთ/თავიეთ უკუქცევით

ნაცვალსახელების შესახებ

(შავშურ-იმერხელისა და სამცხურ-ჯავახურის მონაცემებით)

ძველ ქართულში ცნობილია უკუქცევით-განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: **თვთ**, **თავად/თავადი**, გარდა ამისა, ძველ ქართულშივე იმავე ფუნქციას ასრულებს შესიტყვება, შედგენილი თავი ნაცვალსახელის მოქმედებითის ფორმისა და მასთან შეთანხმებული კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან: **თავით თვსით** (შესაძლებელია სხვა კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც: ჩემით, შენით, მისით). **თავით** ძველ ქართულში დამოუკიდებლადაც დასტურდება, მაგრამ შედარებით იშვიათად (ი. იმნაიშვილი). **თვითონ** ნაცვალსახელი ჩნდება საშუალო ქართულში.

რა სურათია ამ მხრივ თურქეთის ქართულ კილო-თქმებში, რომლებშიც ხშირ შემთხვევაში კარგად არის შემონახული საშუალო ქართულის ვითარების ამსახველი მოვლენები?

რეფლექსურ-კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენების მხრივ გურჯულ კილო-თქმებს შორის ცალკე დგას შავშურ-იმერხელი, რომელიც სიახლოვეს ავლენს სამცხურ-ჯავახურთან.

შავშურ-იმერხელის მიხედვით **თავით** წარმოგვიდგება როგორც უკუქცევით-განსაზღვრებითი ძირითადი ნაცვალსახელი მნიშვნელობით „თვითონ“. მაგ.:

წასხა მეგერ ძალით სამი შვილი, ერთიც **თავით** – ოთხი (ქდვ, ზაქიეთი);

თავით არ წაჰყოლია, ზორით („ძალით“) სახლიდამ გეიყუანეს (ქდვ, ჭილაური).

თავით ფორმის პარალელურად გვხვდება **თავეთ**, რომელიც იმავე პოზიციაში დასტურდება, როგორშიც **თავით** და, ერთი შეხედვით, მისი ფონეტიკური ვარიანტის შთაბეჭდილებას ქმნის: „ერთი ბაკალა ახლა გავათხუე, **თავეთ** აირჩია, უწინ სხვა იყო (ქდვ, მანატბა)“.

გვხვდება მაგალითები, სადაც **თავეთ**-ს მრავლობითის გაგება აქვს, მაგალ.: „**თავეთ** ჩამაგვიყუანეს ცხუარი (ქდვ, მანატბა)“; „დედამთილები არ უყვარან, ამა **თავეთაც** 'ნა გახდნენ დედამთილი (ქდვ, ხევწრული)“.

თავით, თავეთ, თავიეთ ფორმები დასტურდება სამცხურ-ჯავახურში, ოღონდ შეცვლილი ფუნქციით: არა როგორც სუბსტანტიური ნაცვალსახელი („თვითონ“), არამედ როგორც ატრიბუტული რეფლექსური ნაცვალსახელების **თავითი** და **თავეთი/თავიეთი** ბრუნვის ფორმები. ისინი ყველაზე ხშირად რეალიზდება ადგილის სახელის განსაზღვრების როლში მიცემითი ბრუნვის ფორმით: რო წამოვიდა **თავით** სოფელში..., იმათ განაგრძეს **თავით** გზა..., იქვე **თავით** ეზოში...

ფორმები **თავითი, თავეთი/თავიეთი** სამცხურ-ჯავახურში სიმრავლეს გულისხმობს („თავიანთი“), მათი საპირისპირო ცალია მხოლოდობითში: **თავისი**. შეინიშნება ამ მრავლობითის ფორმათა გადანაწილება კილო-თქმათა დონეზე.

შავშურ-იმერხეულისა და სამცხურ-ჯავახურის მონაცემთა შეჯერება გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა:

ა) **თავით** ფორმის თავდაპირველი ფუნქცია უნდა იყოს უკუქცევით-განსაზღვრებითი ფუნქცია „თვითონ“. იგი წინ უსწრებს **თვითონ** ნაცვალსახელს. შავშურ-იმერხეულში **თავით** ნაცვალსახელის აღნიშნული ფუნქციით შემონახვა განაპირობა იმან, რომ ამ ქვესისტემაში ვერ მოასწრო დამკვიდრება **თვითონ** ნაცვალსახელმა.

ბ) **თავეთ/თავიეთ** მრავლობითის ფორმაა, **-ეთ** სუფიქსი ასოცირდება კოლექტიურ საკუთარ სახელთა, შტო-გვარის სახელებისა და გეოგრაფიულ სახელთა კრებითობის გამომხატველ **-ეთ** სუფიქსთან.

გ) **თავითი** ფორმა წარმოშობით მხოლოდობითისაა – მოქმედებით-სახელობითი, რომელიც სამცხურ-ჯავახურში მრავლობითად იქნა აღქმული **თავისი** ფორმის საპირისპირო ცალად გადააზრების შედეგად. შდრ: *იმისი – იმითი, მამამისი – მამამითი, სხვისი – სხვითა* (ა. მარტიროსოვი).

დ) სამცხურ-ჯავახურში **თავით** და **თავეთ/თავიეთ** განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ფუნქციის ცვლა და ატრიბუტივთა კლასში გადასვლა გამოწვეული უნდა იყოს ამ ქვესისტემებში (იგულისხმება სამცხური და ჯავახური) **თვითონ/თვითან** განსაზღვრებითი ნაცვალსახელის მიერ ჰეგემონიის მოპოვებით.

თე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

„-ღა“ ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

ენაში მუდმივად მიმდინარე ცვლილებების გამო შესაძლოა ამა თუ იმ ფორმამ დროთა განმავლობაში გამოყენების არეალი გაიფართოოს ან, პირიქით, მოქმედების ასპარეზი დათმოს. სწორედ ამიტომ პერიოდულად წარმოიშობა სალიტერატურო ენის ნორმათა გადახედვის საჭიროება. ამ თვალსაზრისით ჩვენ უკვე შევხებით „-მე“ ნაწილაკიანი ნაცვალსახელების მართლწერის საკითხებს („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი XVI), ამჯერად კი ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა „-ღა“ ნაწილაკიანი ნაცვალსახელების ბრუნება ქართული სალიტერატურო ენის მოქმედ ნორმებთან მიმართებით.

-ღა ნაწილაკი დაერთვის ვინ და რა ნაცვალსახელებს და ვიღებთ ვიღა//ვინღა, რაღა ფორმებს. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, ძირითადად მიჩნეულია შეხორცებული ბრუნვის ფორმები, დასაშვებად შეუხორცებელი, ნარევი კი უგულებელყოფილია (ნორმები 1986: 92).

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ -ღა ნაწილაკიანი ვინ და რა ნაცვალსახელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვიღა [//ვინღა]: მოთხ. **ვიღამ**, მიც. **ვიღას** [// ვისღა], ვითარ. **ვიღად**, ნათ. **ვიღას**, მოქ. **ვიღათი** (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი 1998: 277).

რაღა: მოთხ. **რაღამ**, მიც. **რაღას** [//რასღა], ვითარ. **რაღად** [//რადღა], ნათ. **რაღას** [//რისღა], მოქმ. **რაღათი** (//რითღა) (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი 1998: 426).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან მიმართებით ზემოხსენებული ნაცვალსახელების ბრუნების შესწავლისა თუ მოქმედი ტენდენციის გამოვლენის მიზნით მივმართეთ გუგლის საძიებო სისტემასა და ქართული ენის ეროვნულ კორპუსს. მოხსენებაში დაწვრილებით წარმოვადგენთ მონაცემების სტატისტიკურ ანალიზსა და კვლევის შედეგებს.

ლექსემა „სულის“ შემცველი ქართველური და აფხაზური იდიომების შედარებითი ანალიზი

მონათესავე ენებს მსოფლხედვა ძირითადად საერთო აქვთ, რაც საკმაოდ ნათლად აისახება იდიომებში. ეს განსაკუთრებით იტყმის ისეთ იდიომებზე, რომელთა საყრდენად სომატური ლექსიკური ერთეულები გვევლინება.

სული როგორც ქართველურ ენებში, ისე აფხაზურში ერთ-ერთი აქტიური ლექსემაა ფრაზეოლოგიზმებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ლექსემა **სულის** შემცველი ქართველური (კერძოდ, ქართული და მეგრულ-ლაზური) და აფხაზური იდიომების ნაწილი სტრუქტურულ-სემანტიკურ მსგავსებას ავლენს.

ქართ. **წმინდა სულისაა**, ზან. (მეგრ.) **წმინდა || წკონდა შური-შიე**, აფხ. **იფსგ ცქოჭპ** (ზედმიწ. „მისი სული სუფთაა, წმინდაა“) „პატიოსანია, წესიერია (ადამიანი)“.

ქართ. (მისთვის) **სულს მისცემს**, ზან. (ლაზ.) (ემუშენი) **შიე მეჩაფს || მეჩამს** (ზედმიწ. „მისთვის სული მისცემს), აფხ. (ჭი იზე) **იფსგ ითიუბიტ** (ზედმიწ. „(მისთვის) თავისი სული აძლევს“) „თავს არ დაზოგავს, მზადაა მოკვდეს (მისთვის)“.

ქართ. **სული ამოუღო**, ზან. (მეგრ.) **შური(ი) გეშულუ**, ლაზ. **შიე || შური ქაულუ**, აფხ. **ლფფსგ თიხიტ** (ზედმიწ. „მისი (ქალის) სული მან (კაცმა) ამოიღო“) „გააწვალა, გატანჯა“.

ქართ. **სული ამოხდა**, ზან. (მეგრ.) **შურქ გეშალგ** (ზედმიწ. „სულმა ამოუვარდა“), (ლაზ.) **შიე ქაუხთუ** (ზედმიწ. „სული ქე ამოუვიდა), აფხ. **იფსგ იხეწიტ** (ზედმიწ. „მისი სული ამოძვრა“) „გარდაიცვალა“.

ქართ. **სული უდგას**, ზან. (მეგრ.) **შური(ი) უდგგ**, ლაზ. **შიე || შური გედგან** (|| **ჯედგინ**), აფხ. **იფსგ თოჭპ** (ზედმიწ. „მისი სული შიგ (სხეულში) არის, დგას“) „ცოცხალია“.

ქართ. **სული მოიდგა**, ზან. (მეგრ.) **შური მიდგგ**, ლაზ. **შიე ქომულუ** (ზედმიწ. „სული ქე მოიტანა), აფხ. **იფსგ ილაღეიტ** (ზედმიწ. „მისი სული შიგ (სხეულში) შევიდა“) „გამოკეთდა; გაიუმჯობესა ცხოვრების პირობები“.

მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება წარმოდგენილი ქართველურსა და აფხაზურ ენებში დადასტურებული ლექსემა **სულის** შემცველი იდიომების შედარებითი ანალიზი.

**ქართ. კედ-/კიდ- მორფემათა ლექსიკურ-სემანტიკური
ჯგუფისათვის**

(კედელი და კიდე; დამოკიდებული და დამოკიდებულება)

I. ქართ. **კედელ**-ის სემანტიკური მოტივი – „გარემემოსა-ზღვრულობა რაიმესი (შენობისა და მისი ნაწილებისა, ეზო-მიდამოსი, ადგილმდებარეობისა და მისთანათა)“ მოინიშნება **კიდეს** და **კიდურის** სემანტიკაშიც, კერძოდ: „საგნისა თუ ადგილმდებარეობის შემოსაზღვრულობა, განაპირებულობა“, და აქედან გამომდინარე – „მისი გამოცალკეება“, შდრ.:

ერთი მხრივ: **კედელი** – «ზღუდე», **„ზღუდე** – «კედელი», «ღობე», „გარსშემოვლებული სიმაგრე“ [ილია აბულაძე]; „გალავანი – არს არა ზღუდე, არამედ **კედელი** მაგარი გრძლად ნაგები“, „ეზო – არს არა გარე ზღუდედ მოვლებული, არამედ წინათ კერძო ანუ გვერდით მოხრილი **კედელი**“ (**ზღუდის** ქვეშ), „ყორე – არს ქვითა უკიროდ აღნაგები ზღუდე, გინა **კედელი**“ (**ყორეს** ქვეშ) [სულხან-საბა]; „**კედელი** – ნაგები ზღუდე სახლთა და მისთანათა“; „ზღუდე – გარემოვლებული **კედელი**, ანუ სხვა რამ სიმაგრე“ [ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.]; ქართლ., გურ., იმერ. **კედარო** – „ქვეყანა; მხარე; გვერდი“; ლეჩხ. **კედერო** – „ნაპირი, გარეთა ნაწილი; მხარე“; გურ. **კედრით** – „მხრით“; „**კედელი** – სხვადასხვა დანიშნულების მყარი და მაღალი ზღუდე (ქვისა, აგურისა...), გადატ.: გამთიშავი დაბრკოლება, გამყოფი ზღუდე, ურთიერთობის დამაბრკოლებელი რამ“; **კედლავს** – კედლით ჰყოფს, კედლით ტიხრავს; **ზღუდე** – რისამე დასაცავად გარშემოვლებული რამ (**კედელი**, ღობე...), გადატ.: დაბრკოლება, საზღვარი, ფარგალი; **ზღუდარი** – ტექნ. წყლის შემკავებელი საგანგებო **კედელი**“ [ქეგლი].

მეორე მხრივ: „**კიდე** – კიდური; ნაპირი, პირი, განაპირა ნაწილი; კუთხე, მხარე; კალთა; ცალკე; განზე; ბოლო; დასალიერი; აშია; გარდა; კიდევე; გარდა; «ბაგე», «საკიდური»“, **კიდება** – „საზღვრება; ტვირთვა; ჩამოკიდება“, **კიდეგან(ი)** – „განაპირებული; განაპირას, ცალკე“, „**კიდეგანობა** – განკიდურება, განწირულება, **განკიდება** – გა(ნ)შორება, მოშორება, გაცლა; გაკიდება; გაშლა“; **განკიდებული** –

მოშორებული“; „**კიდური** – ყოველთათვის ნაპირად ითქმისკე; ნაპირი, კიდე“; „**წაკიდებული** – გარდაკიდებული; წინ წარზიდული“; „**ცისკიდე** – სამყაროს მხარე, მწვერვალი“, „**კედი** – საკუთხი ქვა; საკუთხე ქვა“ [ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე; ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.]. მოხ. **კიდურა** – „ყუა პურისა“; ხევს. **კიდ** – „ცალკე, გამორჩევით“; ხევს. **კიდელი** – „ჰორიზონტი, ტატნობი; კიდე“; „**კიდე** – რაიმე ბრტყელი საგნის ნაპირი; მხარე, კუთხე, განაპირა ნაწილი, ბოლო (ქალაქისა, სოფლისა, მინდვრისა...), პირი (ჭურჭლისა)“; „**კიდის-კიდობა** – ძვ. ცალკე ყოფნა, გაშორება, მოცილება“; „**კიდით-კიდე/კიდის-კიდე** – კიდიდან კიდემდე, ერთი მხრიდან მეორემდე, სულ ერთიანად“ [ქეგლი].

II. კედ-/კიდ- მორფემათა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში ყურადღებას იქცევს ძვ. ქართ. **დამოკიდებული** „ჩამოკიდებული“: „იყვნეს იგინი **დამოკიდებულ** ძელსა ზედა...“ (ისუ ნავესი 10,27); „უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ქვაჲ ფქვისაჲ **დამოეკიდა** ყელსა მისსა, ვიდრე არა დაბრკოლებად ერთსა ამას მცირეთაგანსა“ (ლუკა 17,2); შდრ.: ძვ.ქართ. **დამოკიდება** – „ჩამოკიდება“, **კიდება** – „ტვირთვა; ჩამოკიდება; საზღვრება“ და სხვა.

საკუთრივ ქართ. **დამოკიდებული**, დღევანდელი სემანტიკით: „სხვა რამით შეპირობებული; სხვას დამორჩილებული, სხვას დაქვემდებარებული; ვისაც რაიმეს მიმართ დაუძლეველი ჩვევა, მიჯაჭვულობა გასჩენია“ [ქეგლ-ი], ისევე როგორც ქართ. **დამოკიდებულება**, მნიშვნელობით: „როდესაც ვინმე ან რამე დამოკიდებულია ვინმეზე ან რამეზე; ურთიერთობა, მიმართება; შეხედულება, აზრი რაიმე მოვლენის შესახებ; რაიმე დაუძლეველი ჩვევა, მიჯაჭვულობა“ [ქეგლ-ი], შდრ.: „**დამოკიდებული** – повысший, зависящий. отношение, **დამოკიდებულება** – зависимость. **დამოკიდებულ-ვარ** – быть в зависимости“ [დ. ჩუბ.] – უწინარესად ფიქსირდება დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანციულ ლექსიკონში“ (1840 წ.).

ქართ. **დამოკიდებულება** იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ ძველქართულ ლექსიკურ მარაგში ეს ლექსემა არ მოიძიება. უფრო მეტიც, გარდა **დამოკიდებულებისა**, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ასევე არ იპოვება ლექსემები: **დამოკიდება**, **შთამოკიდება**, **ჩამოკიდება**...

კვლავ მრავალგზისობის გამოხატვისთვის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით

არამ მარტივოსოვი გამოკვლევაში „დიალექტიზმები XV – XVI საუკუნეების კახურ ისტორიულ საბუთებში“ საინტერესო დასკვნას გვთავაზობს იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა იმდროინდელ კახურ დიალექტში ხოლმეობითის ორგანული წარმოების თვალსაზრისით, რომ იშვიათად „გვხვდება II ხოლმეობითის ფორმები; მაგ: კაცმა ცოლი **გაყიდის** და თავი **დარჩის**“. აქ მხოლოდ ერთი მაგალითია დასახელებული. როგორც ჩანს, ავტორის მიერ შესწავლილ საბუთებში სხვა მაგალითი არ დასტურდება. დასკვნა ის არის, რომ XV–XVI საუკუნეების კახურ დიალექტში ხოლმეობითის ორგანული წარმოება გაქრობის გზაზეა. ეს დასკვნა კითხვას აჩენს: თუ XX საუკუნის კახურ დიალექტში ხოლმეობითის ორგანული წარმოება ფაქტია, 4-5 საუკუნით ადრინდელ მასალაში ეს ფაქტი ხომ უფრო მეტად უნდა იჩენდეს თავს.

ჩვენ ეს საკითხი შევისწავლეთ 1812 წლის კახეთის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით, დადასტურდა ხოლმეობითის ფორმათა გამოყენების უამრავი შემთხვევა. თავად ტექსტი იმგვარი შინაარსისაა, რომ იგი მოითხოვს წარსულში მრავალგზისობის მოქმედების გადმოცემას, დიალექტში კი ამ დროს ხოლმეობითის მწკრივები ჩვეულებისამებრ გამოიყენება.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ხოლმეობითის ფორმები გამოიყენება არა მხოლოდ თავისი ფუნქციით, მრავალგზისობის გადმოსაცემად, არამედ მოსალოდნელ სხვა მწკრივის ფორმებსაც ენაცვლება, მაგალითად, უწყვეტელს:

„ამას გარდა, როცა აღარ გვექონდის და ვეღარც სასყიდელში **ვიშოვნით**, გამოგვისიის იარანალმა დრაგუნები და ვაი იმ ტანჯვას“ (მირზაანი, 100).

მოცემულ საილუსტრაციო მასალაში მოსალოდნელია უწყვეტლის მწკრივი – **ვშოულობდით**, თუმცა მეორე ხოლმეობითის ფორმაა დადასტურებული. გამოვლინდა II ხოლმეობითის გამოყენების მსგავსი ფაქტი წყვეტილის ნაცვლადაც:

„ჩვენ საქონელი გვებალთებოდა შიმშილითა და მაიორმა ათი თხუთმეტი ურემი ბზე თითონ **წაგვართვის** და შვიდი თუ რვა ურემი ქალაქს **გაგზავნის**“ (ყანდაურა, 118).

შინაარსით კი ერთგზისი მოქმედებაა ნაგულისხმევი. ეს ფაქტები მიუთითებს იმას, რომ ხოლმეობითის მწკრივების გამოყენება იშვიათი მოვლენა კი არ იყო, არამედ ჩვეულებრივი. მეტიც, სხვა მწკრივის ფორმები ხოლმეობითის მწკრივებმა ჩაანაცვლა.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

ზოგი ზმნიზედის წარმომავლობისათვის (მეგრული გე/ინაწონი || გე/ინაწონს/ც, გეწონს, კარს)

მოხსენება ეხება წარმოქმნილ ზმნიზედებს:

1. აფიქსებით ნაწარმოებს: **გე/ინაწონი** (გე/ი-ნა-წონ-ი) || **გე/ინაწონც** (გე/ი-ნა-წონ-ც) || **გე/ინაწონს** (გე/ი-ნა-წონ-ს) || **გეწონს** (გე-წონ-ს) „შედარებით“ (ზმნზ.). ჯოტოში ცხენიში **გენაწონი** ბონდოში ცხენი ოშინე ვარე „ჯოტოს ცხენთან შედარებით ბონდოს ცხენი სახსენებელი არ არის“; შხვაშ **გენაწონც** ინა მეტის ირზენც „სხვასთან შედარებით ის მეტს იძლევა“; იშ **გენაწონს** ენა მორე (ი. ყიფშ.) „იმასთან შედარებით ეს რაა?“, ჩქიმ **გეწონს** თქვა ახალგაზრდეფი რეთ „ჩემთან შედარებით თქვენ ახალგაზრდები ხართ“ (ო. ქაჯაია, ა. ქობალია).

საანალიზო ფორმები, წარმოების მხრივ, ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობებია. შეიძლება გამოიყოს: **წონ-** (წონ-უა) „აწონვა“ ძირი, რომელიც საერთოქართველური ფუძეა (არნ. ჩიქობავა, გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი) (შდრ. მეგრ. **გეწონუა** „წონის დროს დამატება, - დაწონვა“ (ო. ქაჯაია). ამ განმარტებას შეიძლება დაემატოს შინაარსობრივი ნიუანსი – „წონით, თვისებით შეფარდება, შედარება, შეტოლება“), აფიქსები: **გე/ი-** (მარტივი ზმნისწინი), **ნა-** (წარსული დროის ვნებითი გვარის მაწარმოებელი თავსართი (რომელიც **გეწონს** ფორმაში დაკარგულია), **-ო** (სახელობითი ბრუნვის ნიშანი), **-ც/ს** (მიცემითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტები).

მოცემული ფორმები წარმოებითაც და შინაარსობრივადც იგივეა, რაც ქართ. **შეწონილ**-ი (მიმღ. ვნებ. ნამ.) – რაც შეუწონეს ან შეეწონა, წონა–ზომით (ერთმანეთს) შედარებული, შეფარდებული, შეტოლებული (შდრ. ქართ. **შეწონა** – წონით შეფარდება, შეთანაბრება, შედარება, შეტოლება; ძვ. ქართ. **შეწონა** – შეთანასწორება).

2. ბრუნვის ნიშნით გაფორმებულს: **კარს** „შედარებით“. ალექსიში კარს ნიკა ოქრო ორდალი რდღ „ალექსისთან შედარებით ნიკა კარგი („ოქრო“) გასაზრდელი იყო“. საანალიზო სიტყვა ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან. ის წარმოადგენს მიცემითი ბრუნვის გაქვევებულ ფორმას. გამოიყოფა **კარ**– ძირი „კარი“ და მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს**.

ზომნზ. **კარს** გვხვდება ტექსტებსა და ცოცხალ მეტყველებაში, რაც ლექსიკონებში არ დასტურდება და არც სამეცნიერო ლიტერატურაში არის განხილული.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. 82-86

82. რეგიონული სამეცნიერო სესიები იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემასა და ისტორიის საკითხებზე იმართებოდა 1965 წლიდან კავკასიის სხვადასხვა ქალაქში. მუდმივ საორგანიზაციო კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში, ქართველ და აფხაზ მეცნიერებთან ერთად, შედიოდნენ ენათმეცნიერ-კავკასიოლოგები ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრიდან და მოსკოვიდან, ხელმძღვანელობდა აკად. არნ. ჩიქობავა (მისი გარდაცვალების შემდეგ – აკად. ქ. ლომთათიძე). 1981 წელს ქ. მაჰაჩყალაში (დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა) და 1983 წელს ქ. ნალჩიკში (ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკა) გამართულ X და XI სამეცნიერო სესიებს ბ-ნი არნოლდი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ დაესწრო, მაგრამ საქართველოს დელეგაციას გაატანა მისასალმებელი წერილები და პლენარულ სხდომაზე წასაკითხი მოხსენ-

ნებები. მისასალმებელი წერილები სესიის მონაწილეებს გააცნო სა-
ორგანიზაციო კომიტეტის სწავლულმა მდივანმა პროფ. ალ. მაჰომე-
ტოვმა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, მანვე წაიკითხა არნ. ჩიქობა-
ვას მოხსენებები (შესაბამისად – დამოუკიდებელი და შემთავსებელი
ერგატივი იბერიულ-კავკასიურ ენებში; ენის სისტემაში დიალექტუ-
რი მეტყველების ადგილის შესახებ).

1984 წელს ალ. მაჰომეტოვის ინიციატივითა და არნ. ჩიქობავას
გადაწყვეტილებით დავინიშნე რეგიონალურ სამეცნიერო სესიათა
სწავლულ მდივანად (კომიტეტის შემადგენლობაში კი რამდენიმე
წლით ადრე შემიყვანეს); ამავე წელს ბ-მა არნოლდმა დამაკისრა
„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ სარედაქ-
ციო კოლეგიის სწავლული მდივნის მოვალეობა (სარედაქციო კო-
ლეგიის წევრი ვიყავი 1976 წლიდან). ბ-ნი არნოლდის წინადადებით
1984 წელს სარედაქციო კოლეგიის წევრი გახდა რამდენიმე ქართვე-
ლი მეცნიერი (ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ 80-იანი წლების და-
საწყისში სარედაქციო კოლეგიის ორი წევრი – თ. შარაძენიძე და
ბ. ფოჩხუა, გარდაიცვალა).

83. ნ. ანდლულაძემ თავის მოგონებაში აღნიშნა: არნოლდ ჩი-
ქობავა მძვინვარე ეთიკური ავტორიტეტი იყო... ეთიკური ნორმე-
ბის დარღვევას არავის აპატიებდა. შეეძლო ამ ნორმების დარღვევის
გამო ახლობელ ადამიანთან კავშირიც გაეწყვიტა. ამასვე უკავშირდე-
ბა ბ-ნი არნოლდის გამონათქვამი: მეცნიერი შეიძლება შეცდეს, მაგ-
რამ ტყუილი არ უნდა იკადროსო...

ეტიკეტის დაცვასაც დიდ ყურადღებას აქცევდა. ფამილიარო-
ბა ძალიან აღიზიანებდა. ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მახ-
სენდება: უნივერსიტეტში ერთ-ერთ სხდომაზე ქალბატონმა ე. ოსი-
ძემ, როგორც ყოველთვის, საინტერესო მოხსენება წაიკითხა. შემდეგ
იყო შეკითხვები, კამათი. ერთმა ცნობილმა პროფესორმა თავისი
გამოსვლა ასე დაიწყო: ქალბატონმა კატუნიმ საყურადღებო მოხსე-
ნება წარმოადგინა... ბ-მა არნოლდმა უკმაყოფილოდ შენიშნა: კატუ-
ნი თუა, ქალბატონი როგორ იქნება...

ერთიც უნდა აღინიშნოს: ბ-ნი არნოლდი მოხსენების შემდეგ
შეკითხვებისა და კამათის გამიჯვნას მკაცრად მოითხოვდა (ამასთან,
შეკითხვა უნდა ყოფილიყო კონკრეტული და გასაგები, კამათი –
საგნობრივი).

84. ბ-ნი არნოლდის მოთხოვნის შესაბამისად, დამკვიდრებული იყო ასეთი წესი: სამეცნიერო საბჭოსა და განყოფილების სხდომის ოქმები მომდევნო სხდომაზე იკითხებოდა (სხდომა ამით იწყებოდა). თუ იყო რაიმე უზუსტობა სხდომის მსვლელობის ან ამა თუ იმ პირის სიტყვის გადმოცემისას, სწორდებოდა...

ბ-ნი არნოლდს არ სიამოვნებდა, როცა საბჭოს წევრებს რეგალიების მიხედვით ჩამოთვლიდნენ (პირველს არნ. ჩიქობავას ასახელებდნენ) და მოითხოვდა, რომ მათი ჩამოთვლა ანბანთრიგის შესაბამისად მომხდარიყო... როცა ეს გვიან განხორციელდა, კმაყოფილება გამოხატა...

85. ინსტიტუტის სწავლულ მდივანს დიდი დატვირთვა ჰქონდა, ამიტომ, ბუნებრივია, სამეცნიერო მუშაობისათვის მცირე დრო რჩებოდა... ამის გამო გ. ბედოშვილი, რომელიც სწავლულ მდივნად წლების განმავლობაში მუშაობდა, სადისერტაციო ნაშრომის დასრულება დაუგვიანდა, რის გამოც მას ბევრს საყვედურობდნენ. ითხოვა ორი წლით გაეთავისუფლებინათ დაკავებული თანამდებობიდან. გურამის წინადადებით, ეს თანამდებობა მე შემომთავაზეს. მაშინ მეცნიერებათა კანდიდატი (ოთხი წლის დაცული მქონდა დისერტაცია) და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ვიყავი. ხელფასი დიდი არ მქონდა, მაგრამ ბ-ნი არნოლდისათვის არასოდეს მიგრძნობინებია ფინანსური გაჭირვება... უფროს მეცნიერ თანამშრომლად გადაყვანას არაერთი წელი უნდოდა, სწავლული მდივნობის შემთხვევაში კი ხელფასი მიორმაგდებოდა. ბუნებრივია, ბ-ნი არნოლდის გარეშე ვერაფერს გადავწყვეტი... მივედი და მოვახსენე შემოთავაზების შესახებ. ჩვენ შორის დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

ბ-ნი არნოლდი: ... და თქვენ დათანხმდით?

მე: ჯერ არა...

ბ-ნი არნოლდი: დირექციაში მუშაობამ გ. თოფურია დალუპა... ნიჭიერი კაცია, მაგრამ სათანადო სამეცნიერო მუშაობისათვის ველარ იცლიდა... აქამდე არ უნდა ჰქონდეს დოქტორის ხარისხი? თქვენ რატომ გადაწყვიტეთ დირექციაში მუშაობა?

მე: ხელფასის გამო. ორჯერ მეტი მექნება...

ბ-ნი არნოლდი: თქვენი გულწრფელობა დასაფასებელია. კიდევ კარგი არ თქვით, რომ გავალბენ; ასე რომ იყოს, გირჩევდით, რომ უარი გეთქვათ... რაკი ასე გინდათ, გადადით იქ სამუშაოდ, მაგრამ – მაქსიმუმ ორი წლით...

ინსტიტუტის სწავლულ მდივნად ორწელიწადნახევარს ვიმუშავე...

86. ბ-ნი არნოლდი პოეზიის დიდი მოყვარული იყო (ამავე დროს, მხატვრული ნაწარმოების არსს კარგად წვდებოდა და ანალიზებდა). ბევრი ლექსი იცოდა ზეპირად. მეოცე საუკუნის ქართველი პოეტებიდან განსაკუთრებით აფასებდა გიორგი ლეონიძეს და ანა კალანდაძეს.

1984 წელს გამოცემლობა „მერანმა“ დაბეჭდა მანანა ჩიტაშვილის ლექსების მცირე კრებული „მინდვრის ყვავილები“, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა თ. ღვინაძემ მიუტანა გასაცნობად ბ-ნ არნოლდს (თინა მ. ჩიტაშვილთან მეგობრობდა და მისი ლექსებითაც აღფრთოვანებული იყო). ერთ დღეს, კერძოდ, 1984 წლის 16 ოქტომბერს ალექსი ჭინჭარაული და მე ვესტუმრეთ ბ-ნ არნოლდს. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც დღიური დავწერე (სამწუხაროდ, ბატონ არნოლდთან შეხვედრის შესახებ დღიური ბევრი არა მაქვს). ცოტა ხნის შემდეგ ალექსი ჭინჭარაული გამოვიდა მ. ჩიტაშვილის საღამოზე, ბ-ნ არნოლდთან შეხვედრა და ის მაღალი შეფასება გაიხსენა, რომელსაც ბ-ნი არნოლდი მ. ჩიტაშვილის პოეზიას აძლევდა. ზოგი რამ დღიურში მე განსხვავებულად მაქვს წარმოდგენილი...

გვკითხა: ამ წიგნს თუ იცნობთ? მანანა ჩიტაშვილის ლექსების კრებული იყო. მე უარი ვუთხარი (ალექსი, მგონი, იცნობდა). შემდეგ ბ-მა არნოლდმა დაიწყო საუბარი ლექსებზე (მოგვყავს ფრაგმენტები).

„ზოგი ლექსი შესანიშნავია...“

„ყველა ლექსი გაცნობიანია, არცერთი – ყალბი...“

„თითქოს ანა კალანდაძეს მოგვაგონებს, მაგრამ ლექსიკა სხვაა ძალიან მდიდარი...“

„გადავცით საუკეთესო სურვილები და მთავარი სურვილი – ასე განაგრძოს...“

შემდეგ სამი ლექსი წაგვიკითხა: „ლარგვისთან“, „გულს ისევ ნაყავს დროის როდინი“, „თუთის ხე სასაფლაოზე“.

„ამას რუსთაველის პრემია ეკუთვნის, ალალი იქნება...“

ალექსი: „საცა სამართალია...“

შემდეგ წავიკითხა ლექსი „ვის ბანზეც ია დავთესე“. დაატანა: „ხალხური მეტყველება ისე მოსდგამს, როგორც გიორგი ლეონიძეს“

„არსად ნაკეთები... ნამალადევი არცერთი ლექსი არაა...“

ერთ ლექსს ეძებს და ვერ პოულობს, დანაწებით ამბობს: „...არა, როგორ არ დავინიშნე!“

კიდევ ორი ლექსი წაგვიკითხა: „წვიმის მოლოდინში“ და „საქართველოს“

„არცერთი ბანალური, გაცვეთილი ფრაზა...“

„პოეტია, მართალი პოეტი, ნიჭიერი პოეტი...“

„ვუსურვოთ, ეგრე იაროს და მეტს მიაღწევს... ეს ყველაფერი შიგნიდან არის“

შემდეგ წაგვიკითხა კიდევ ერთი ლექსი, ბოლო ორ სტრიქონზე („ქსანზე რომ ბალახს ხელს გადავუსვამ, მთელ საქართველოს ვეფერები“) ცრემლები მოერია.

„ლექსი თუ კარგი არაა, წავითხვა მიჭირს...“ „იყო ერთი პოეტი – ჯერ რითმებს წერდა, შემდეგ ლექსებს... ესაა ლექსის კეთება“

ალ. ჭინჭარაულის გამოსვლა ზემოთ უკვე ვახსენე. თ. ღვინაძემაც უამბო მანანას ბ-ნი არნოლდის შეფასების შესახებ. მეც, როცა მქონდა პატივი გამეცნო მ. ჩიტიშვილი, გადავეცი დიდი მეცნიერის ნათქვამი მისი ლექსების გამო...

იზა ჩანტლაძე

კოდორული სვანური მეტყველების კვალიფიკაციისათვის

1. ქართველოლოგთა უმრავლესობა, ჩვენში თუ უცხოეთში, სვანურ ენაში გამოყოფს ოთხ დიალექტს (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური). როგორც ზემო, ისე ქვემო სვანურში თავიანთი სპეციფიკით აშკარად გამოირჩევა კოდორული და ჩოლურული მეტყველება, რომლებიც გარდამავალი დიალექტის შთაბეჭდილებას ტოვებენ – დიახ, ჯერჯერობით მხოლოდ შთაბეჭდილებას, რადგანაც აქამდე არც ერთი მათგანი ფუნდამენტურად არავის უკვლევია. რაღა თქმა უნდა, ჩვენს დიდებულ მასწავლებლებს –

აკაკი შანიძეს, ვარლამ თოფურისას, მაქსიმე ქალდანს (და სხვებსაც; ალ. ონიანს, მ. ქურდიანს, ტ. ფუტკარაძეს, მ. გუჯეჯიანს, შ. ჩართოლანს) ცალკეულ სტატიებში აქვთ მსჯელობა ორივე მეტყველების შესახებ, ოღონდ ფრაგმენტულად.

2. ამ მხრივ გამოირჩევა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სადაც 2002 წლიდან (იხ. იზა ჩანტლაძის მიერ ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების – „დეფექტურ ზმნათა თავისებურებანი კოდორის ხეობის სვანურში“ – თეზისები) ჩამოყალიბდა სვანოლოგთა ორი ჯგუფი, რომელთაგან პირველი იკვლევს კოდორული მეტყველების ეთნოლინგვისტურ პრობლემებს, ხოლო მეორე – ჩოლურული მეტყველებისას.

ორივე ჯგუფს მეტად მძიმე ვითარებაში უწევს მუშაობა – ორსავე შემთხვევაში შესაბამისი ტერიტორიები, ძირითადად, დაცლილია მკვიდრი მოსახლეობისაგან, მაგრამ ჩვენი საქმიანობის სირთულეს ყოველთვის ამსუბუქებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული რუსთაველის ფონდის საგრანტო დაფინანსება, რაც რამდენიმეჯერ მიიღო როგორც კოდორული, ისე ჩოლურული მეტყველების შემსწავლელმა ჯგუფმა.

3. 5 წლის მანძილზე შეიქმნა ფუნდამენტური გამოკვლევა „კოდორული ქრონიკები“ (სვანური ტექსტების ქართული თარგმანებითურთ), დაცულ იქნა დისერტაცია ქვემო ქართლში ჩასახლებულ ჩოლურულ ეკომიგრანტთა მეტყველების შესახებ, სვანოლოგთა ორივე ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს არაერთი საინტერესო სტატია, რომლებიც ემყარებოდა საგრანტო თემატიკათა პრეზენტაციებსა თუ ნაირ-ნაირ (საინსტიტუტო, საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ, საერთაშორისო) კონფერენციებზე განხილულ მოხსენებებს. გარდა ამისა, ფრანკფურტელ კოლეგებთან ერთად ჩავატარეთ სვანური ენის გავრცელების ყველა ტერიტორიული მონაცემის შესაბამისი ტექსტების (მათ შორის კოდორულ-ჩოლურულისაც) გლოსარულ-ანოტირებული ანალიზი, მორფოლოგიასა და მორფო-სინტაქსის პრობლემებზე დამყარებული. სწორედ ამ მუშაობის შედეგია დიდებულ ქართველოლოგთან პროფესორ ჰაინც ფენრიხთან თანაავტორობით იენაში გამოცემული წიგნი „Tscholurswanisch-Deutsches Verbenverzeichnis“. ბატონი ჰაინცი ამჟამადაც წევრია ჩვენი საგრანტო ჯგუფისა, რომელსაც ევალება მნიშვნელოვანი პროექტის („კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში“) განხორციელება 2016-2019 წლების მანძილზე.

4. ამიტომ, ვიდრე ფუნდამენტურად არ გამოვიკვლევთ კოდორული და ჩოლურული მეტყველების ძირითად ასპექტებს, მანამდე კარგი იქნება, თუ თავს შევიკავებთ მოულოდნელი განცხადებებისაგან: ამის მაგალითები ადრეც იყო სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ ამჯერად ჩვენ შევხვებით უკანასკნელ ხანებში დასტამბულ ერთ ფართოფორმატიან წიგნს. ეს გახლავთ მ. საღლიანის „სვანური ენის სტრუქტურის საკითხები“, რომლის პუბლიკაცია, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ რატომ შემოიღო მისმა ავტორმა ზოგი ახალი ტერმინი, გაუგებარია (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც!). ვიდრე შესაბამისი მონაცემების ანალიზი მონოგრაფიულად არ დამუშავდება, ალბათ, ძალზე უხერხული იქნება სამეცნიერო მიმოქცევაში დავნერგოთ: **კოდორული დიალექტები, ჩოლურული კილოკავები** (უკვე დავადგინეთ, რომ ჩოლურის თემში შემავალი სოფლების მეტყველება დამოუკიდებელ ქვემოსვანურ დიალექტს ქმნის?!), **ლახამულური დიალექტი** და ა. შ.

5. როგორც კოდორული, ისე ჩოლურული მეტყველება ინტერფერენცირებული მეტყველებაა, ორივეში „შეჯვარებულია“ ორ-ორი დიალექტი, პირველში ზემოსვანურისა (ბალსზემოურ-ბალსქვემოური), ხოლო მეორეში – ქვემოსვანურისა (ლამხურ-ლენტეხური). სწორედ ამიტომ ვერ ვუწოდებთ მათ ვერც **კოდორულ**, ვერც **ცხენისწყლურ** (აჯობებდა ალბათ **ცენისწყლურ**, შდრ. ტოპონიმი **ცენა**, საიდანაც სათავეს იღებს ეს დიდებული მდინარე), ვერც **ენგურულ** და ა. შ. (რაც გაგვახსენდება!!!) დიალექტებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორ კონკრეტულ ფაქტს:

ჩვენი ერთ-ერთი მთქმელის, 54 წლის მარიკა დევიდარიანის აქირთავას წინაპრები 1917 წელს ბალსქვემო სოფელ ფარიდან (ლამხერიდან) საცხოვრებლად გადასულან კოდორის ხეობის სოფელ ომარშიალში, სადაც მათი მეზობლები ისტორიულად ბალსზემოელი სვანები (ჯაჭვლიანები, დადვანები, მარგიანები, გასვიანები, გულბანები, ქალდანები) იყვნენ. მართალია, ქალბატონი მარიკა მამითაც და დედითაც (მიზა არღვლიანი) ბალსქვემოური წარმომავლობისაა, მაგრამ ბებია – მათი ხოჯელანი მესტიელი იყო. ზემოაღნიშნულ გარემოცვაში დაბადებისა და აღზრდის გამო, სრულიად ბუნებრივია, რომ მშობლებისგან ნასწავლ მეტყველებაში ის არაერთხელ ურევს ბალსზემოურ ლექსემებსა თუ გრამატიკულ ფორმებს. რა ვქნათ?! რა ვუწოდოთ მის სვანურს (მ. საღლიანს რომ დავუჯეროთ) – კოდორული ბალსქვემოური თუ კოდორული ბალს-

ზემოური?! კოდორის ხეობიდან ამჟამად ლტოლვილ მოსახლეობაში მრავლადაა ანალოგიური ფაქტები, რომლებიც არ თავსდება იდიოლექტის ჩარჩოებში, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არც ამ უკანასკნელის გამორიცხვა შეიძლება. მაგალითად: ბალსქვემოელ (ისტორიულად!) გუჯგეჯიანთა რძალი, ლაშხელი ირმა კოჭიანი რომ ერთადერთხელ (იხ. „კოდორული ქრონიკები, 2007-2010: 30) გამოიყენებს უძლავუტიან ფორმას (ჭაბ – „ვაი“!) ნახევარსაათიან დიალოგში, ეს, რაღა თქმა უნდა, იდიოლექტური მოვლენაა, მაგრამ ის რომ მრავლობითობის მაწარმოებლად ხან -ელ მორფემას იხმარს და ხანაც -ოლ^ს, აქ უკვე რაღაც სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. თუ მ. სალიანის ლოგიკას მივყვებით, მაშინ ირმა კოჭიანის მეტყველება, „კოდორული ლაშხური“ გამოგვივა?!

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: **განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ინტერფერენცირებული მეტყველების კვლევას როგორც კოდორის, ისე ცხენისწყლის ხეობებში!**

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ზოგი ქართველური სიტყვის ისტორიიდან

1. ქრისტიანულ ეკლესიათა გავრცელებამდე საქართველოში არსებობდა წინარე-ქრისტიანული საკულტო სამლოცველოები, რომლებიც ადგილობრივი რელიგიის არსებობის უტყუარი საბუთია. ქრისტიანობამდელ სამლოცველოებს სხვადასხვა სახელი ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს სვანური საკულტო ტერმინი **უითინ / უთინ / აითინ / ვთინ / ლვთინ**, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „ნიში სალოცავ ადგილზე, სადაც ჯვარს ან ხატებს ასვენებდნენ“. სვანურის სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტებს შორის ამოსავალ (არქაულ) სახეობად მიჩნეულია **ლვ-თინ**. ვარაუდით, ეს უკანასკნელი ნამყო დროის მიმღეობა უნდა იყოს სვანური **თენ** – „გაჩენა“ ზმნისა (მ. სალიანი).

¹ მოგვიანებით (2016: 695) ამ ფაქტზე მ. სალიანმაც მიუთითა, თუმცა ჩვენი სტატიის დამოწმება რატომღაც დაავიწყდა!

დასახელებული ტერმინის საყურადღებო განმარტებას იძლევა პროფ. მ. ქალდან: სვან. **იგ-თინ** (ბზ.) „ობელისკი“, ლახამ. **ლგ-თინ** „ობელისკი; ღირსეული, გამოჩენილი“.

ეს ინფორმაცია ღირებულია სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, ვინაიდან მასში ჩანს სახელდების მოტივაცია, რომელიც არ უნდა იყოს სვანურ **თენ**-„გაჩენა“ ზმნასთან კავშირში. პირველი, რაც თვალში საცემია, არის განსხვავებული გახმოვანება, ანუ სხვაობა ხმოვნებში **თენ**- და **თინ**-. ამგვარი სხვაობა ახსნილი არ არის. ვერც აიხსნება, რადგანაც სხვადასხვა ძირთან გვაქვს შეხება.

ჩვენთვის საინტერესო **ლგ-თინ** დერივატში გამოყოფილი **თინ**- სვანურში ოდესღაც არსებული **თინ**- ზმნის ნაშთია. მას, თავის მხრივ, შესატყვისები უდასტურდება ახლომონათესავე ქართველურ ენა-კილოებში. ასეთი ჩანს ქართული **თნ-ევ-ა** / **თნ-ებ-ა** / **სა-თნ**-ო ფორმებში გამოყოფილი **თნ**- ზმნური ძირი, რომელსაც მეგრულ-ლა-ზურში **თინ**- ძირი შეეფარდება, შდრ. ლაზ. მ-**თინ**-ი „მართებული, მართალი“, მეგრ. **თინ**-უ „სწორი, გამართული, მართალი“, ე-**თინ**-უ-ა „აღმართვა, მო-**თინ**-უ-ა „აღმართვა, შემართვა“, გო-**თინ**-უ-ა „გასწორება“. ვფიქრობთ, სწორედ ქართ. თნ- და ზან. თინ- ფუძეებისთვის დამახასიათებელი სემანტიკა არის სვანური **ლგ-თინ** მიმღეობისთვის (საკულტო ნიშნისთვის) ამოსავალი, ანუ სვანური **ლგ-თინ** უდრის სწორად / მართლად აღმართულს, არა უბრალოდ აღმართვა / აშენება, არამედ მართლად, კეთილად, სათნოდ, სწორად აღმართვა.

2. ქართველურ მითოლოგიაში საკმაოდ კარგად არის ცნობილი ზღაპრული პერსონაჟი **ბედელ-ა**, ქორ-**ბედელ-ა**. გარკვეული თვალსაზრისით, პერსონაჟის სახელი მიჩნეულია ქართული ნაგებობა **ბედელისგან** მომდინარედ, რაც, ჩვენი დაკვირვებით, არ უნდა იყოს მართებული. ბედელ- შენობის აღმნიშვნელ ფუმესთან გმირის სახელის დამთხვევა შემთხვევითია, უბრალო ომონიმიასთან გვაქვს საქმე. ამგვარად ფიქრის მართებულობას თითქოს ამტკიცებს იგივე ბედელ- ფორმის პოვნიერება სვანურში, სადაც ამ ენის ლახამულურ კილოკავში საანალიზო ლექსემას უდასტურდება „ახმახის, დევ-გმირის, ვეებერთელას“ მნიშვნელობები. უფრო მეტიც, ქართული **ბედელა**-ს ზანური (resp. მეგრული) შესატყვისიც სვანურში უნდა იყოს დაცული, შდრ. ბზ. ბულურ „საზარელი, უშნო“. ასევე, ქართველური *ბედელ- არქეტაპის ნახური შესატყვისი, ვფიქრობთ, ნასესხობის სახით დაცული ჩანს ოსურ სიტყვაში **ზოდოლა**, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „ბუა, საზარელი, შემზარავი“ (რუს. буга). გარდა ამი-

სა, ქართული ბეღელა-ს ეკვივალენტი თავს იჩენს კიდევ უფრო შორს, აღმოსავლეთ კავკასიაში, კერძოდ, ხუნძებში, სადაც პოვნიერი **ზომლო** სიტყვა იმავე რუსული *рыба*-ს მნიშვნელობით. ბეღელა-სთან დაკავშირებული საბოლოო დასკვნა ასეთია: ქართულში პოვნიერი **ბეღელ-ა** (დევ-**ბეღელა**) მკაცრად უნდა გავარჩიოთ ქორ-**ბეღელა**-ში გამოყოფილი **ბეღელა-საგან**, ვინაიდან ეს უკანასკნელი (ქორ-ბეღელა) სახლის სიუხვის, საქონლის გამრავლებისა და მოსავლიანობის სიმბოლო ჩანს, ანუ ქორ-ი = სახლი, ხოლო ბეღელ-ა (= ბეღელი), შდრ. სვან. **ქორ** „სახლი“.

3. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ნათქვამია, რომ ქართ. **ძინ**- (მო-გუ-ძინ-ა „მოგვხედა“) ზმნას მეგრულში ჯინ-ა „ყურება; ლოდინი“ შეესატყვისება; ქართველური მასალა შეაპირისპირა ზ. სარჯველაძემ [ფენრიხი, სარჯველაძე 1990 : 433; 2000 : 627]. არადა, დიდი ხნით ადრე იმავე ეტიმოლოგიურ კავშირზე არნ. ჩიქობავა მიუთითებდა. ჩიქობავასეული ანალიზი გამორჩენილია გ. კლიმოვის 1964 წელს გამოცემულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, ხოლო 1998 წლის ინგლისურენოვან ვერსიაში ავტორი ფენრიხი, სარჯველაძეს [1990 : 433] იმოწმებს, ანუ იმეორებს იმავე უზუსტობას. ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ მეგრული **ჯინ**- ზმნა ლაზური დიალექტისთვისაც ბუნებრივია, შდრ. ლაზ. მეკო-**ჯინ**-ავ-ა „დანახვება“ მეკო-**ჯინ**-ამ-ან „დაანახვებენ“, თუმცა ლაზურის გამოცემულ ლექსიკონებში **ჯინ**- ზმნა ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით არ ფიქსირდება, გამორჩენილია.

ნ ი ნ ე ლ ი ქ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ღვინის გემოს აღმნიშვნელი ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართულში

გემოს მიხედვით ღვინო ტკბილი, მჟავე, ან მწარეა. მაგრამ ღვინის გემოს ნიუანსების აღსანიშნავად ქართული სალიტერატურო ენა და მის დიალექტები მდიდარ ლექსიკას წარმოგვიდგენს.

1. მჭახე (ღვინო) – ქეგლ. **მჭახედ** ითქმის ღვინო მომძარებული, ანუ ისრიმი წამხდარი – საბა.

ზემო იმერული: მიყვარდა, მარა წახთა ვენახი, *ჭახხა* (ვახანი). || იგივეა, რაც ჭვანგი (ზემოიმერული, ქ. მოწენიძე).

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სიტყვისათვის ქართულ – ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია ***მჟახ**- არქეტიპი (ზ. სარჯველაძე, პ. ფენრიხი).

2. **ჭანგი:** ამათ აქთ აი, კაი ღვინო! – კაი არა ისა, *ჭანკი* იყო, აბა, რა დასალევი იყო ისა?! (საკორ., ქართლური, ბეროზაშვილი და სხვ.).

ჭვანგი: *ჭვანკის* გემო აქ ღვინოს (იმერული, პ. გაჩეჩილაძე).

ქართლურში ამავე შინაარსით იხმარება ასევე **ჭლანკ** – ფუძია-ნი სიტყვა **მოჭლანკებული** მომბალი; შეჭანგებული (ღვინო); არც ძმრი გემო აქ, ეგრე ყრალია (= ცუდია), ის არი *მოჭლანკებული* (ომ., ქართლური ლექსიკონი, თ. ბეროზაშვილი და სხვ.).

ვფიქრობთ, რომ **წანგი** „მჟავე“, გადატ. „უხეირო, უვარგისი“ > **ჭანგი** > **ჭვანგი**. შდრ. სვან. **წავ, წაკარაი, წაკორია** „ძლიერ მჟავე“, „უმწიფარი“ (სვანურ – ქართული ლექსიკონი, ა. ლიპარტელიანი).

ზემოაღნიშნული **ჭანკ**- სიტყვის ფონეტიკური ცვლილებით კი უნდა მიგველო **ჭანგი** // **ჭვანგი** : ღვინოს *ჭვანგი* აქ (შრომა, ზემოიმერული, ქ. მოწენიძე).

3. **კანჭი** „ჭანგი ღვინო“ – საბა.

კანჭი (ღვინისა) „მომძარება“. ე ღვინუკა კაი ქვე იყო, მარა ახლა *კანჭი* შეპარვია (რაჭული, კობახიძე). **კანჭი** წარმომავლობით იგივე უნდა იყოს, რაც **კანწარი** // **კონწარი** „მჟავე“ (ხევსურული, ჭინჭარაული). შდრ. **კონწარი** „მწარე“ (მეგრული, კილანავა). **კონწორიან** ფიცხი, ჯავრიანი (სვანური, ა. ლიპარტელიანი). შდრ. ს.- ქართვ. **კაწ*- „გაბრაზება, კაპასობა“ > ქართ. *კაწ-არ-*: *ზან. კონწარ-ი* < **კოჭ-არ-ი*: სვან. *კანჭ*-*კანჭ* (მ. ჩუხუა).

4. **ყიშხა:** ნაკლებმწარე ღვინოს „მომწაროს“ უწოდებენ, ხოლო ძალიან მწარეს „ყიშხას“, *ყიშხასავითაა*, მამალს თვალს მოთხრისო – იტყვიან (რაჭული, ლ. ფრუიძე).

ზემოიმერულსა და ქართლურში სიმწარის აღსანიშნავად დასტურდება ასევე **ზისხა**. ვვარაუდობთ, რომ **ყიშხა** < **ზისხა**; ხოლო **ზისხა** იგივეა, რაც ს.- ქართვ. ***ზისხ-ა** „ნივეზის კაკლის გარეკანის წვენი“ > ქართ. **ზისხა** : *ზან. ყეშქ-ილ-ა* < **ყიშხ-ილ-ა*: სვან. *ყიშხა* (მ. ჩუხუა).

5. **მხე** (ქართლ.) „მოტკბო-მჟავე; მომჟავო“. *მხე* ღვინო. – ქეგლ. ოკრიბაში – ვენახი მაღლარი, ღვინო მსუბუქი, *მხე*-გემოიანი (ვახუშტი ბატონიშვილი). ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა დასტურდება მესხურში, ქართლურში, ...მწარის შინაარსით კი ჯავახურში.

ს.- ქართველურისათვის აღდგენილია***მახე** „მეჟე“ (მ. ჩუხუა).

6. ჭყაპურტა წყალ-წყალა, უღონო – ქეგლ. ამ მნიშვნელობით გარეკახურში **ჭყიპურტი/ა**, ხოლო ზემოიმერულში კი **ჭყლიპურტა** დასტურდება. არც ძმრის გემო აქვს, არც ღვინის, **ჭყლიპურტა** არი ისი, პირშიც ვერ გამეივლეფ (ზემოიმერული, ტაბაკინი, ძოწენიძე).

ჩვენი აზრით, **ჭყაპურტა** < **ჭყაპი**. შდრ. **ჭყაპი** „წყალწყალა“ (ქართლური, ბეროზაშვილი და სხვ.), **ჭყაპი** კი შესატყვისი უნდა იყოს სვანურ „ჭაობის“ აღმნიშვნელ **ჭუიპ//ჭიპ//ჭყიპ//ჭყეპ** სიტყვის (სვანური, ვ.თოფურია, მ. ქალდან).

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

უდებება სიტყვის სემანტიკისათვის

უდებება ლექსიკონების განმარტებით არის:

„**უდებება**, **უდებება** სიზარმაცე, სიზანტე, „მოცალეობა“: „რაჲ სიტყუჲა მიუგოთ **უდებებისათჳს** ჩუენისა ცხორებისაჲ?“ **საკ. წიგ. II 53, 7**. „რომელნი **უდებებით** ცხონდებიან სოფელსა შინა“ **ლიმ. 60, 13**. „რომელი სდევნიდეს **უდებებასა**, აღივსოს სიგლახაკითა“ **პხ.**, – „რომელი შეუდგეს **მოცალეობასა**, აღივსოს იგი სიგლახაკითა“ **O იგ. სოლ. 28, 19**; „განიღვძენით სულნი თქუენნი ძილისა მისგან მცონარებისა და მოწყინებისა და **უდებებისა**“ **მ. სწ. 97, 29**. იხ. უდები“... (ილია აბულაძე, ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი 1973); **უდები** ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც: „ზარმაცი, არაგულმოდგინე, დაუდევარი, უნაღვლეელი, გულდაუდებელი, უქმი: ... „ყოველნი მოძილ ვართ, ყოველნი მედგარ ვართ და **უდებ**“ **საკ. წიგ. II 52, 1**. „მცირედ შემდგომად ვიხილე ძმა იგი **უდები** ფრიად მოსწრაფედ“ **ლიმ. 4, 5**... იხ. სიუდბე, უუდბესი.

სიუდბე სიზარმაცე: „ოდეს მესმის **სიუდბე** ძმისაჲ, მძულს იგი“ **მ. ცხ. 106v**.

უდბესი უზანტესი, უზარმაცესი: „ძალსა მიიღებს და უფროჲს-ლა **უდბესთა**-რე შორის“ **მ. ცხ. 35v**. **უუდბესი** ფრიად ზარმაცი, დაუდევარი: „შემთხვია მას ძმაჲ ვინმე **უუდბესი**“ **საკ. წიგ. II 105, 28**. „**უუდბეს** ყოფს კაცსა“ **მ. ცხ. 14r**.

უდბობა სიზარმაცე, დაუდევრობა: „და ესე არა თუ უდბობით განწყუნილებასა შინა რამე წარაგო“ **ლიმ. 77,18**; „ვაი არს მისა, რომელმან უდბობით წარჰხადნეს დღენი მისნი ცხორებასა თვისსა“ **მ. სწ. 220, 2ა**.

უდებ-ყოფა დაზარება, მოშვება, ზარმაცობა: „მათ უდებ-ყვეს და წარვიდეს“ **მთ. 22, 5**. „რომელი უდებ-იყოს გზათა თვისთა, იგი წარწყმდეს“ **ო იგ. სოლ. 19, 16**; „ნუ უდებ-ხარ მარხვასა“ **მრთ. S, ოქრ.-მარხ. და იონ. 109, 20...** (ილია აბულაძე, ძვ. ქართ. ლექს. 1973).

უდებად, უდბად (ზზ.) ცუდად, ამოდ, განურჩევლად, დაუდევრად, სიზანტით: „არა უდებად რას მიგცემ თქუენ მარადის სწავლასა ამას“ **მრთ. S, ოქრ.-მარხ. და იონ. 109, 38**. „უკუეთუ კუალად უდებად შეიწყნარო ზრახვა იგი გულის-თქუმისა“ **მრთ. A, კ. იერ.-სინან. 65**; „რომელი იქმოდის საქმესა უფლისასა უდებად“ **I, იერემ. 48, 10**; „უდბად ტიროდა“ **მრთ. S, ოქრ.-მარხ. და იონ. 103, 16...** (ილია აბულაძე, ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი 1973).

სულხან-საბა ასე განმარტავს: **უდებება** იგივე უდებებაა ZAB... **უდებება** არს მოქმედება ვიდრემე გარნა მცონარებით, გინა თუ დამწყებელისა მოლბობა CD... **უდბი** (უდბი, უდები, უდებება CD) უდები ZAB... **უდები** (+ 3 ეზრა 6, 32 ZAa) ესე არს მცონარებით, გინა თუ დამწყებელისა მოლბობა, (+გინა დაუდებელი ZAa) ZA... (სულხან-საბა II, 1993).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი **უდები** არის: „უდებ-ი¹ ძვ. ზარმაცი, მცონარი... **უდებება** ძვ. მოხელის მიერ თავისი მოვალეობის უგულოდ შესრულება (ივ. ჯავახ.), – დაუდევრობა... (ქეგლ).

ვფიქრობთ, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის, კერძოდ კი ივანე ჯავახიშვილის განმარტება, **უდებება** სიტყვის თავდაპირველი შინაარსის წვდომის საშუალებას გვამლევს: „მოვალეობის უგულებელყოფა; თავისი მოვალეობის უგულოდ შესრულება, – დაუდევრობა“... (მდრ.: **თანანადები** „ვისაც თავს ვალი ედვას“, **თანამდეები** „მოვალე“ (საბა)...

კვლავ წმინდა გიორგის ქართველური სახელებისა და მუხის კულტის ურთიერთმიმართებისათვის

1. წმინდა გიორგის მეგრული და სვანური სახელების მრავალფეროვანი ვარიანტები (მეგრ. **ჯგაგა/ჯგარგა/ჯეგა, გეგა**; სვანური: **ჯგირზ/ჯგერზ/ ჯგერზ/ჯგერზ**), მათი წარმომავლობის საკითხი სამართლიანად აღძრავს მკვლევართა ინტერესს (ისევე, როგორც, საზოგადოდ, წმ. გიორგის კულტის წარმოშობა და მისი მნიშვნელობა ქართულ კულტურაში). უდაოა, რომ საკითხი მრავალი მიმართულებითაა საკვლევი, რაც აისახება კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა კვლავ პასუხგაუცემელი რჩება არა ერთი კითხვა. ამასთან, ახალი გამოკვლევების გათვალისწინებით, შესაძლებელია მთელი რიგი საკითხების განსხვავებულად დანახვა. ვფიქრობთ, მათ შორისაა აღნიშნულ სახელთა მუხის კულტთან მიმართება.

2. ცნობილია, რომ ნ. მარი მეგრ. **ჯგაგესა** და სვან. **ჯგერზ-ს** საკულტო ტერმინებად მიიჩნევადა – სათაყვანო, წმინდა მუხის (მუხის ტყის) სახელებად მოიაზრებდა – და წარმომავლობის თვალსაზრისით გამიჯნავდა წმ. გიორგისაგან (მარის მიხედვით, სვან. **ჯგერზ** იშლება **ჯგერ-ზ**, სადაც **რაგ** შერწყმული, ორმაგი მრავლობითი რიცხვის ნიშანია – სვანურ-ადიღეური (**რა-აგ**). ამგვარი ეტიმოლოგია უარყოფილია ენათმეცნიერთა მიერ, თუმცა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება ხელშესახებად წარმოაჩენს მუხის კულტისა და წმინდა გიორგის ქართველურ სახელთა ურთიერთკავშირს (რაც აღიარებულია კიდევ სპეც. ლიტერატურაში). ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ კავშირის ახსნა ენობრივი მონაცემებითაც.

3. ჩვენი ვარაუდის წარმოსადგენად ვყვრდნობით ენათმეცნიერთა იმ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით წმინდა გიორგის აღნიშნული ქართველური სახელები მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთებისა და შემდგომი ფონეტიკური პროცესების განვითარების შედეგადაა მიღებული: **ჯგირი/ჯგერი გიორგი > ჯგერგე, ჯეგე...** (ზან); **ჯგერზ...** (სვან).

4. ჩვენთვის გადამწყვეტია მსაზღვრელი კომპონენტის, **ჯგერი-ს**, საკითხი. ვვარაუდობთ, რომ **ჯგერი/ჯგირი** არის ქართული ძეგლის შესატყვისი. შდრ.: ქართ. **ძგ-ლ-ი** „კერპი, საკრალური ნი-

შანსვეტი სხვადასხვა დანიშნულებით...“; ზან. **ჯგ-ირ/ერ**- (<***ჯაგ-ორ/ერ**) „კერპი“, „სალოცავი“, „სათაყვანო“ > „წმინდა“, „კარგი“, „კეთილი“, „ძლიერი...“; სვან. ***ლგ-ჯგ-ორ**- (<***ჯაგ-ორ**) „სალოცავი“, „კერპი“ > „კურთხეული“, „ნაკურთხი“, „ჯვარდაწერილი...“; (იხ. ჩვენნი: „მეგლი“-სა და წმინდა გიორგის ქართველური სახელების ურთიერთმიმართებისათვის – იხეჟდება).

5. მაგრამ როგორ შეიძლება აიხსნას სემანტიკური გადასვლები: „კერპი“, „სალოცავი“, „სათაყვანო“ > „წმინდა“, „კარგი“, „კეთილი“, „ძლიერი...“; „კურთხეული“, „ნაკურთხი“, „ჯვარდაწერილი...“? აქ გასათვალისწინებელია გარეენობრივი ფაქტორები.

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებისა და გავრცელების ხანაში ქვეყნის ცენტრალური ნაწილებიდან პერიფერიებისაკენ განხორციელდა სივრცის ე. წ. ქრისტიანიზაცია-საკრალიზაცია, რომელიც დროში განგრძობადი პროცესი გახლდათ: ხდება ადგილობრივი (არა მხოლოდ) სალოცავების, კულტების განწმენდა-კურთხევა (ისტ., ეთნ., არქ., ლიტ. წყაროები ამას ადასტურებს); ესა თუ ის კერპი-სალოცავი (**მეგლი**, ***ჯაგერი/ჯეგირი**) „იძლევა“ არა მხოლოდ მსხვერვეა-განადგურებით და მის სანაცვლოდ ჯვრის აღმართვით, არამედ მასზევე ჯვრის დადგმით ან გამოსახვით („ჯვრის წერით“), რის შედეგადაც ის შეიქნება „წმინდა, კურთხეული, ჯვარდაწერილი...“ სალოცავი. დაკვირვება ცხადყოფს, რომ ამ ეპოქალური მოვლენის წარმმართველად იკვეთება წმ. გიორგის სახე, მისი სახელი და ავტორიტეტი. ეს გარდამტეხი მეტამორფოზა აისახება ენაშიც, მაგ., მეგრულსა და სვანურში **ჯგირი** (<***ჯაგერი/ჯეგირი**) გვევლინება ქრისტიანი წმინდანის ეპითეტად და შემდგომ მისი სახელის ერთ-ერთ ნაწილად, შდრ.: **ჯგირი/ჯგერი გიორგი** „კურთხეული სალოცავი გიორგი“ > **ჯაგარგი** (მეგრ.); **ჯგრაგი** (სვან.) „წმინდა გიორგი“. (მოგვიანებით მეგრულში **ჯაგარეა/ჯაგე** აღნიშნავს საზოგადოდ „წმინდას“, რაც ქრისტიანულს გულისხმობს და თავად გვევლინება მსაზღვრელად: **ჯეგეგეორგი**, **ჯეგემარამი**...).

6. ვფიქრობთ, წმ. გიორგის ქართველურ სახელთა ამგვარი წარმომავლობის დამტკიცება მკაფიოს ხდის საკულტო ხეთა, საკრალურ ადგილთა თუ ობიექტთა (ქვები, სვეტები, ცეცხლთაყვანისცემის საკურთხეველები...) მიმართებას წმინდა გიორგის სახელთან (მათ ადგილას ძირითადად სწორედ ამ წმინდანის სახელობის

ეკლესია შენდება), რაც, საზოგადოდ, ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს, ხოლო **მუხას**, გამოკვეთს, როგორც განსაკუთრებული სიძლიერისა და მნიშვნელობის მქონე საკულტო ობიექტს, რომლის ძლიერ-განწმენდა მხოლოდ წმინდა გიორგის სახელით უნდა მომხდარიყო.

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა

რამდენიმე სიტყვა „ვით“ თანდებულის ფუნქციით მეგრულში

მეგრულ-ლაზური თანდებულების სიმცირით გამოირჩევა. მათ ფუნქციას ხშირად სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმა (უთანდებულოდ ან ზმნასთან ერთად) ან ზმნის პრევერბიანი ფორმები ასრულებს (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა...)

ქართული **-ვით** თანდებულის ფონეტიკური შესატყვისი მეგრულ-ლაზურში არ დასტურდება, მაგრამ მისი ფუნქციით მეგრულში რამდენიმე სიტყვა გამოიყენება, მაგალითად: **გვარი, ცალი, შორი...** პირველი ორის კავშირი სათანადო ქართულ არსებით სახელებთან ცხადია და მეგრულში ნასესხები ლექსიკური ერთეულებია, თანდებულის ფუნქციით გამოყენებული, **შორი** კი თანდებულია, რომელსაც სვანურ -შალს-ს უკავშირებენ (ვ. თოფურია, გ. კარტოზია, მ. ლომია...)

-ვით თანდებულის მნიშვნელობით მეგრულში შეიძლება შეგვხვდეს ქართული **ცალი, გვარი, ნერი** (ქართ. **ნაირი**) სიტყვების გარდაქცევითი ბრუნვის ფორმები – **ცალო, გვარო, ნერო**:

ჯოდორცალო ლალუა ქიდიჭყ „ძალივით ყეფა დაიწყო“.

ათეგვარო ვეშილეზე ცხოვრება „ამასავით (ამნაირად) არ შეიძლება ცხოვრება“.

კოჩიშნერო თის ხოლო ოკო ჭკომუა „კაცივით მასაც უნდა ჭამა“.

- **ნერო** შეიძლება დაერთოს ჩვენებითი ნაცვალსახელის როგორც ნათესაობითი ბრუნვის **-შ** ნიშნთან, ისე მის გარეშე ფორმას: **თეშნერო//თენერო** „ამასავით“, **თიშნერო//თინერო** „იმასავით“.

ვფიქრობთ, **-ნერო** უკვე ჩამოყალიბებულ თანდებულად უნდა მივიჩნიოთ.

ვარა ელემენტის შესახებ მეგრულ-ლაზურში

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია მეგრულ-ლაზურში გავრცელებული არსებით სახელებთან გამოყენებული შემდეგი ნაწილაკები:

1. კითხვითი – მეგრულში **-ო//ვო** (ლაზურის **-ო** ერთვის მხოლოდ ზმნას);
2. გაძლიერებითი – ქართული **-ც**-ს მნიშვნელობით გამოყენებული **-თი**; **ხოლო** (ლაზურში რედუცირებული სახით **ხოლ//ხოლო**);
3. სხვათა სიტყვის – პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ლაზურში **მა**, მეგრულში **მაქ//მაქი// მაქგ//მაქუ**; მეორე პირის **-შო**; მესამე პირის: მეგრულში **-ა** (//**-ია**) , ლაზურში **-ა//**-აა****;
4. მაკონსტრუირებელი – **ო**;
5. პირობით წინადადებაში – მეგრულში **-და**, ლაზურში **-ნა**;
6. მოდალური ნაწილაკები : მეგრულში **-გი//**-გაე**** და **-მე//**-მეე****, ლაზურში **თო**.

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნაწილაკის სახით მეგრულში გვხვდება **ვარა** ელემენტიც. ცნობილია, რომ ის მრავალფუნქციური ფორმალური დამხმარე მეტყველების ნაწილია, რომელიც გამოიყენება როგორც: 1. კავშირი: მაპირისპირებელი (ქართ. **თორემ**), მაცალკავებელი (ქართ. **ან**), 2. ზმნიზედა (ქართ. **მაინც**) და 3. მიახლოებითი ნაწილაკი რიცხვით სახელებთან (ქართ.-**ოდენ**).

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის აღნიშნული, რომ **ვარა** ნაწილაკის ფუნქციით გვხვდება არსებით სახელებთან. მისი შესატყვისია ქართული „**მაინც**“, რომელიც გაძლიერებით ნაწილაკიცაა (ლ. კვაჭაძე).

მეგრულში **ვარა** სურვილის გადმოცემის, არჩევითობის სემანტიკურ ნიუნსსაც ატარებს (**ვარა** = „ეს თუ არა, ის მაინც“). მაგ.:

ქობალი ვარა ოჭკუმით („**პური მაინც** ჭამეთ“).

კოჩის ვარა ქუმურთუმუდუკო („**კაცი მაინც** მოსულიყო“).

ლაზურში **ვარა// ვანა** ნაწილაკის ფუნქციით არსებით სახელებთან არ გვხვდება. ის წინადადებაში ძირითადად ქართული **თორემ, თუ, ან, მაგრამ** კავშირების ფარდია.

ამრიგად, **ვარა** მეგრულში არსებით სახელთან ითავსებს ნაწილაკის ფუნქციასაც.

**საგრანტო პროექტი „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები
ლინგვისტური კომენტარებით, ინდექსითა და
გრამატიკული ნარკვევებით“
(პროექტი № AR/243/2-132/14)**

რომან ლოლუა

პროექტზე მუშაობის შესახებ

აღნიშნულმა საგრანტო პროექტმა გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში. ამ პროექტის ფარგლებში მომზადდა ექვსი ლექსიკონი: აფხაზურ-ქართული (ავტორ-შემდგენელი – ნ. მაჭავარიანი), ჩერქეზულ-ქართული (ვ. შენგელია), ინგუშურ-ქართული (რ. ფარეულიძე), ხუნძურ-ქართული (ლ. აზმაიფარაშვილი), ბეჟიტურ-ქართული (ნ. არდოტელი) და უდიურ-ქართული (რ. ლოლუა). თითოეულ ლექსიკონს ერთვის ონომასტიკური მასალა, მოკლე გრამატიკული მიმოხილვა და ინდექსი. ამ ექვსი ლექსიკონიდან დღემდე არ მოგვეპოვებოდა ჩერქეზულ-ქართული, ინგუშურ-ქართული, ხუნძურ-ქართული, ბეჟიტურ-ქართული და უდიურ-ქართული ლექსიკონები (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ევვ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიას დართულ მცირე თემატურ-ბუდობრივ სიტყვათკრებულს).

პროექტის განხორციელება დაიწყო 2015 წლის აპრილში. პირველ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა ლექსიკონთა შედგენის ერთიანი პრინციპები, დამუშავდა არსებული სპეციალური ლიტერატურა თითოეული ენის მიხედვით, შედგა იმ ნაშრომთა სია (ბიბლიოგრაფია), რომელთა გათვალისწინება იყო საჭირო. შემდეგ დაიწყო ამ ნაშრომების ანალიზი როგორც შინაარსობრივი, ასევე მასში წარმოდგენილი ერთეულების სიზუსტის თვალსაზრისით (იგულისხმება როგორც თარგმანის სიზუსტე, ისე ფონეტიკური სიზუსტე). სისტემატიზებულ იქნა და კრიტიკულად გაანალიზდა ის ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც უშუალოდ ან რაიმე თვალსაზრისით საკვლევ ენებს ეხება. კრიტიკული ანალიზისას ყურადღება გამახვილდა არსებულ ნაშრომთა როგორც დადებით მხარეებზე, ისე აღნიშნულ იქნა ის ნაკლიც, რაც

დღემდე შედგენილ ლექსიკონებსა და ლექსიკის შესახებ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ ნაშრომებს ახასიათებს. მეტ-ნაკლები სისრულით გათვალისწინებულ და გაანალიზებულ იქნა საენათმეცნიერო ნაშრომებიც, რომლებიც ამა თუ იმ ასპექტით ლექსიკის თეორიულ საკითხებს უკავშირდება.

პროექტის მეორე საანგარიშო პერიოდი მთლიანად დაეთმო სალექსიკონო მასალის შერჩევა-მოდირებას (სიტყვანის შედგენას). ლექსიკონებში პირველ რიგში აისახა აქტიური ლექსიკური ფონდი, ფუძემდებელი და ადრეული ნასესხობები, ისეთი ნეოლოგიზმები, რომელთაც მეტ-ნაკლები ფონეტიკური ადაპტაცია განიცადეს. ამას გარდა, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიისათვის „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXVII“ პროექტის თითოეულმა ძირითადმა მონაწილემ მოამზადა საგრანტო მუშაობის ამსახველი მოხსენება, რომლის თეზისებიც გამოყვეყნებულ იქნა აღნიშნული სამეცნიერო სესიის მასალების კრებულში.

მესამე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროექტის ძირითადმა მონაწილეებმა დაამთავრეს შერჩეული სალექსიკონო მასალის ქართული შესატყვისების მოძიება, ლინგვისტური კომენტირება და საილუსტრაციო მასალის შერჩევა. ლინგვისტური კომენტირება, ისევე როგორც სხვა ამოცანების გადაწყვეტა, მოხდა საკვლევ ენათა სპეციფიკის მაქსიმალური გათვალისწინებით.

მეოთხე საანგარიშო პერიოდი დაეთმო ონომასტიკური მასალის შერჩევა-მოდირებასა და მის ქართულად ტრანლიტერაციას, მოკლე გრამატიკული ნარკვევების მომზადებას, მასალის რედაქტირებას.

შედეგად, ნ. მაჭავარიანმა დაასრულა აფხაზურ-ქართული ლექსიკონის შედგენა (აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში შესულია 7000-მდე სიტყვა), ვ. შენგელიამ – ჩერქეზულ-ქართული (7000-მდე სიტყვა), რ. ფარულიძემ – ინგუშურ-ქართული (5300-ზე მეტი სიტყვა), ლ. აზმაიფარაშვილმა – ხუნძურ-ქართული (დაახლ. 5000 სიტყვა), ნ. არდოტელმა – ბეჭიტურ-ქართული (7000-მდე სიტყვა), ხოლო რ. ლოლუამ – უდიურ-ქართული (7000-მდე სიტყვა). პროექტი ითვალისწინებს ლექსიკონების ელექტრონული ვერსიის განთავსებას არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვებგვერდზე (www.ice.ge). მომავალში ივარაუდება ლექსიკონების დაბეჭვდაც.

პარემიული ტიპის ატრიბუტივების შესახებ ხუნძურში

ხუნძურ ენაში, როგორც ცნობილია, გამოიყოფა მარტივი და რთული (შედგენილი) ზედსართავები.

მარტივია, მაგ., ლზიკ-აბ „კარგი“, ქუმეშ-აბ „ცუდი“, კუდი-მ-აბ „დიდი“, ჰიტინ-აბ „პატარა“, ჯაჰ-აბ „თეთრი“, ჭეჭერ-აბ „შავი“, ტარი-მ-აბ „მსუქანი“, ჰალაყ-აბ „გამხდარი“ და სხვა მრავ.

რთული (შედგენილი, კომპოზიტური) ზედსართავები: შაზუ-ჯაჰაბ „ქათქათა“ (ზედმიწ. „თოვლ-თეთრი“), რას-ჯაჰაბ „რძესავით თეთრი“ (ზედმიწ. „რძე-თეთრი“), „ლაჰ-ჭეჭერაბ „ჭკარტლივით შავი“ (ზედმიწ. „ჭკარტლ-შავი“), რას-ტერენაბ „ბეწვივით წვრილი“ (ზედმიწ. „თმა-წვრილი“), რაკ-ბაწადაჟ „გულწრფელი“ (ზედმიწ. „გულ-სუფთა“), ტულალ-ტერაბ „ყავისფერი“ (ზედმიწ. „ღვიძლის ფერი“), კუდი-კუდიამაბ „დიდ-დიდი“, ტერ-ტერაბ „ფერად-ფერადი“ და სხვ.

გარდა ზემოხსენებული ზედსართავებისა, რომლებიც ისედაც კარგადაა ცნობილი, ხუნძურ ენაში შეიძლება გამოიყოს უფრო რთული წარმონაქმნებიც. მათ ვუწოდებთ პარემიული ტიპის ატრიბუტივებს, რამდენადაც სიახლოვეს ავლენენ ანდაზებსა თუ მყარ გამონათქვამებთან. ამ ტიპის ატრიბუტივები გამოიყენება ადამიანის ამა თუ იმ თვისების დახასიათებისა და შეფასებისათვის. ნიშანდობლივია მკვეთრად გამოხატული ექსპრესიულობა. მოვუხმით კონკრეტულ მაგალითს:

დასატა ქეთო ტარიამა, ბოტობ ბოწი ჰალაყამ – ითქმის გაურჯელი და უყარათო ქალის შესახებ.

აქ ზედსართავებია **ტარი-მ-ამ** „მსუქანი“ და **ჰალაყ-ამ** „გამხდარი“, რომლებიც გაფორმებულია II კლასის (ქალის) -ამ ნიშნით: „მსუქანი“ [ქალი], „გამხდარი“ [ქალი], რისი მეშვეობითაც გასაგები ხდება, რომ საუბარია ქალის შესახებ; მაგრამ **ქეთო** („კატა“) და **ბოწი** („საქონელი“) ნივთის კლასის სახელებია და ხსენებული ზედსართავ-

ვები ამ სახელებთან, ერთი შეხედვით, თითქოს III კლასის (ნივთის) -**აბ** ნიშნით უნდა გვექონოდა გაფორმებული: **ტარი-მ-აბ**, **ჰალაყ-აბ**, რაც ასე არ არის.

საქმეც ისაა, რომ მთლიანად ეს გამონათქვამი წარმოადგენს, ასე ვთქვათ, წინადადება-ზედსართავს, რომელიც გვევლინება ქალის მახასიათებლად. მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება ასეთი:

„კერასთან კატა-მსუქანი [ქალი], ბოსელში-სა-ქონელ-გამხდარი [ქალი]“.

თუ ამ გამონათქვამს გადავაკეთებთ ისე, რომ ჩამოსცილდეს ზედსართაულობის გაგება, რაც მას მთლიანობაში ახლავს, მივიღებთ უბრალოდ აღწერას სიტუაციისა და არა ქალის კონკრეტული თვისების დახასიათება-შეფასებას. ამისათვის საკმარისია ზედსართავ სახელებს დაჯურთოთ III კლასის (ნივთის) ნიშანი -**აბ**: **ტარი-მ-აბ** „მსუქანი [რამ]“, **ჰალაყ-აბ** „გამხდარი [რამ]“, ნაცვლად II კლასის (ქალის) -**ამ** ნიშნისა და, აგრეთვე, დავამატოთ მეშველი ზმნა **ზუგო** „არის“ (შეიძლება მის გარეშეც). მივიღებთ ასეთ სურათს:

დასატა ქეთო ტარიამბ [ზუგო], ბოტაობ ბოწი ჰალაყაბ [ზუგო]

„კერასთან კატა მსუქანი [არის], ბოსელში სა-ქონელი გამხდარი [არის]“.

ამ შემთხვევაში გამოგვივიდა თხრობითი წინადადება უბრალოდ, რომელშიც ადამიანი (ქალი) სულაც არ ფიგურირებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხუნძურ პარემიებში ანტონიმია „მსუქანი“ ~ „გამხდარი“, „მკლე“ რეგულარული ხასიათისაა; შდრ. მაგ., *ჭაქა ხახარაღულ – ბეჩე ჰალაყაბ, ქეთო ტარიამაღულ – ჰამა ჰალაყაბ*, ზედმიწე. „ძროხა-გამომწოვლის [ქალის] – ხბო გამხდარი, კატა-მსუქნის [ქალის] – ვირი გამხდარი“. ამ ანდაზაში გვხვდება ატრიბუტივები **ჭაქა-ხახარამ**, ზედმიწე. „ძროხა-გამომწოველი [ქალი]“, რომელშიც ხახარ-ამ არის ნამყოს მიმღეობის ფორმა (II კლ.) ზმნისა ხახ-ი-ზე „წოვა“ და **ქეთო-ტარიამამ**, ზედმიწე. „კატა-მსუქანი [ქალი]“, ნათესაობითი ბრუნვის ფორმებით: **ჭაქა-ხახარაღულ**, ზედმიწე. „ძროხა-გამომწოვლისა [ქალისა]“, **ქეთო-ტარიამაღულ**, ზედმიწე. „კატა-მსუქნისა [ქალისა]“. ანტონიმის ანალოგიური მაგალითებია ანდაზებში: *ჭემერ ქეერ – ტარიამბ, ცო ქეერ – ჰალაყაბ*, ზედმიწე. „ბევრი ხელი – მსუქანი, ერთი ხელი – გამხდარი“;

რიცი ტარიდაბ, ტინ ჰალაყაბ „ზაფხული მსუქანი, ზამთარი გამხდა-რი“; საჭუ ტარიდაბ, ტაჭუ ჰალაყაბ „თრთვილი მსუქანი, ჟანგი მჭლე“; შდრ., აგრეთვე: რიციდალ ტიჟარაბ ტარა ჭაშურა, ტინდალ ჭაქა ხოლებ რაჭიჭიმ დუდა? „ზაფხულში მიმინარე მსუქანო აშურა [ქალის სახელია], ზამთარში ძროხა რომ კვდება არ გაგიგონია?“... (მაგალითები აქ და ქვემოთაც მოხმობილია ზ. ალიხანოვისა და ს. ალიხანოვის მიერ შედგენილი ანდაზების კრებულიდან).

ანალოგიურია დახასიათება მამაკაცისა:

ქანამ ტარიდაჭ, ჰალტი ჰალაყაჭ, ზედმიწ. „ჭამა-მსუქანი [მა-მაკ.], საქმე-მჭლე [მამაკ.]“. ქალის მიმართ რომ ყოფილიყო იგივე თქმული, მაშინ იქნებოდა: ქანამ ტარიდად, ჰალტი ჰალაყად.

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ტიპის ზედსართავები ხშირად თავს იჩენენ სწორედ ანდაზებსა და გამონათქვამებში, გვევლინებიან მათ ორგანულ ნაწილად; მაგალითად:

ცადურ ლიკამ – ჩენ ლიკამ, როს ლიკამ – ყიფო ლიკამ, ზედ-მიწ. „განჯინა-კარგი [ქალი] – მუცელ-კარგი [ქალი], ქმარ-კარგი [ქალი] – თვითონაც კარგი [ქალი]“.

განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მიმღეობათაგან ნაწარმოე-ბი ატრიბუტივები პარემიული ტიპისა. მაგალითად:

ტარიდაბ ყინცაგო ქუნემ, ჰალაყაბ როსასე ტოლემ „თვითონ მსუქნის მჭამელი [ქალი], ქმრისთვის მჭლის მიმცემი [ქალი]“;

ჭაქაიდან ქუნ, ჰამა ზეჭარამ, ზედმიწ. „ძროხა არისო, დაჩე-მებით, ვირის მწველავი [ქალი]“;

წილიწ ხტელებიდან ლტოლარემ, ლიმ ტაშინებიდან ჩერო-ლარემ, ზედმიწ. „ცოცხი გაფუჭდებაო არ დამგველი [ქალი], წყალი გათავდებაო არ გამრეცხავი [ქალი]“;

ჭაქა ქაქუნ ნახ ქტარამ, როს ქაქუნ რუე ქტარამ „ძროხის ლან-ძღვით ერბოს მჭამელი [ქალი], ქმრის ლანძღვით სახლის მჭამელი [ქალი]“;

ბოსიზე ქარაბ თარამ, თეზე ქარაბ ბოსარამ „ასალების დამტო-ვებელი [ქალი], დასატოვებლის ამღები [ქალი]“;

ბერცინალა ვამურამ, ჯაჰაზულა დიშარამ – ბიშუნ ქტეშამ დათარამ, ზედმიწ. „ლამაზებს შორის მოტაცებული, თეთრებს შორის ამორჩეული – ყველაზე ცუდი გამომდგარი [ქალი]“;

ჟამ, ბერცინამ, ბერცინამ, ბეციკოგო ხურ თარამ. ჟამ, ჭუჭარამ, ჭუჭარამ, ჭარაჭოგო ხურ თარამ „ვაი, ლამაზო, ლამაზო, მოუმკვლად ყანის დამტოვებელი [ქალო]. ვაი, მორთულ-მოკაზმელო, გაუმარგლავად ყანის დამტოვებელი [ქალო]“;

ჩენ ზორწარაჟ – ბერ ზაყარაჟ, რუყ ზეჩედაჟ – რაკ მისქინაჟ, ზედმიწ. „მუცელ-გამძლარი [მამაკ.] – თვალ-მოშიებული [მამაკ.], სახლ-მდიდარი [მამაკ.] – გულ-ღარიბი [მამაკ.]“;

ჟაყიდალ ყულარაჟ, ზორწიდალ ჟორხარაჟ „შიმშილის დროს მოხრილი [მამაკ.], სიმამლის დროს გამართული [მამაკ.]“;

შურუნყეჩერყალდასაგი ქჟას ბეტულეჟ, ზედმიწ. „კუსგანაც კი მატყლის ამომგლეჯი [მამაკ.]“ და სხვ. მსგავსი მაგალითების წარმოდგენა უხვად შეიძლება.

აღნიშნული ტიპის ატრიბუტივების გარდა, ხუნძურ ენაში ყურადღებას იქცევს ადამიანის თვისებათა მახასიათებლებად დასრულებული შინაარსის მქონე და შედარებით ვრცელი ექსპრესიული მყარი გამონათქვამებიც, რომლებიც ხასიათდებიან გამოყენების მეტ-ნაკლები რეგულარულობით. მათ ფუნქციონირებას მეტყველებაში ძირითადად უზუსი განსაზღვრავს, თუმცა მხატვრულ ლიტერატურაში ოკაზიონალური მოვლენებიც არ გამოირიცხება. ამ ტიპის გამონათქვამთა რამდენიმე ნიმუში დადასტურებული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს თავის ხუნძურ სიტყვათკრებულში. წარმოვადგენ ზოგიერთ ნიმუშს:

კალდიხე ბორთა, ზაჰარჰეჩ „პირში ჩავარდი, წითელო ვაშლო!“ – ითქმის ადამიანზე, რომელსაც სურს ყველაფერი ხელის გაუნძრევლად და მუქთად მიიღოს.

ჰან ქიხე არაბ, ჰაჰუ? „ხორცი რა იქნა, წვნიანო?“ – ითქმის ირონიითა და ნიშნის მოგებით.

ქირე არალ დოლ ქუთულ? – **აზურაბილა ზონკოცა, კოროკუნ მიკალგუნ, მეხთარაბ მეხალ** „სად წავიდნენ ის კატები? – უთქვამს თავს სიმთვრალისას, ულვაშების შერხევით“. – ამ გამონათქვამით დასცინიან მკვებარა და მშიშარა ადამიანს; შდრ. ანდაზა: *მეხთარაბ ზონკოცა ქათიდა ინსულ წარ ჩეხარაბილა* „მთვრალ თავს კატისთვის მამის სახელი უკითხავს თურმე“.

სუნდასა ჟოხარაჟ ლურდუდასა ბურუტ ჰადინ? „რამ გაგახარა, თიკანს რქების ამოსვლა რომ უხარია ისე?“; შდრ. ქართ. *ხბოს აღტაცება*, რუს.

ყუნწიზე ხუხა ჟუგო ჰაჟ „გასაკრეჭი ბატკანია ეს“. – ითქმის მიამიტი და მოსულელო კაცზე.

ჰამიდე კერთჰანგი ჟოტაულა დოლბიე დოჟ, ზედმიწ. „როგორც ვირს ჩოჩორი, ისე უყვარს მას [ქალს] იგი [კაცი]“ (დაცინვა).

ხაბალა მუსრუგი ბაცილა დოს „საფლავიდან სუდარასაც კი ამოიღებს იგი“. – ითქმის ყოველგვარ სიმდაბლესა და დანაშაულზე წამსვლელ ადამიანზე.

ჩუკიცა ჰაჟურაჟ ჩი ჟუგო ჰაჟ „ეს ჩოხის წყალობით თუ არის კაცი“, ზედმიწ. „ჩოხით გაკეთებული კაცი არის ეს“; შდრ., აგრეთვე, **ჟინიზე – ჩი, ჟათიზე – ჩუკა** „შეხედავ – კაცი, შეგრჩება ჩოხა“.

ბუსურმანლუნ ქაქ გურეჟ, ქაფურლუნ კანჩ გურეჟ, ზედმიწ. „მუსულმანობისათვის ლოცვა (ნამაზი) არა აქვს, ურჯულოობისათვის ჯვარი არა აქვს“. – ითქმის ურწმუნო ადამიანზე.

ქარშიცა კალ ბუჰანი, ხოლეჟ ჩი ჟუგო ჰაჟ „წვნიანითაც თუ დაიწვა პირი, კვდება ეგ“. – ითქმის სუსტ, უძლურ ადამიანზე, რომლისთვისაც ოდნავი გაუფრთხილებლობაც კი სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს.

ჩედ ქჰანა დოს ნუსიდე ვახინეჰან, ზედმიწ. „პური ჭამა მან ასზე ასვლამდე“, ე.ი. ხანგრძლივად იცოცხლა.

ბოჟილარო, ჰაბიჰან, ჰურულ წაურალ მიკადა „არ გენდობი, მეწისქვილე, მტვრით სავსე ულვაშებზე“. – ითქმის ცბიერ ადამიანზე, რომელსაც სურთ თავი მოარიდონ. დადასტურებული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს.

არსებობს მისი ვრცელი ვარიანტიც, დიალოგის სახით:

– **ნუწა ყირე, ყოროლამ, ყჰატიჟ ხუტულეჟ ჟუგინ; ყონო რიკე, ჰურულჰინ, ჰატალ ქჰაჩალელ რუგინ.**

– **ბოჟილარო, ჰაბიჰან, ჰურულ წაურაბ მაგვიდა.**

– **ბოჟა, ბოჟა, ყოროლამ, დურგო ყჰაჰაგი ხინინ.**

„– კარი გამიღე, ქვრივო ქალო, გარეთ ვარ დარჩენილი; ურდული გახსენი, ანგელოზო, ფეხები მეყინება.

– არ გენდობი, მეწისქვილე, მტვრით სავსე წვერზე.

– მენდე, მენდე, ქვრივო ქალო, შენი ტომარაც დაიფქვება“.

სხვათა შორის, პ. უსლარს ერთი საინტერესო ეთნოგრაფიული ცნობაც აქვს მოცემული ხუნძურ სიტყვათკრებულში, „მეწისქვილე“ (ხუნძ. **ჰაბიჰან**) სიტყვასთან დაკავშირებით. იგი შენიშნავს, რომ

მთიელები (ხუნძები) წისკვილს მოჯადოებულ ადგილად მიიჩნევენ, ხოლო მეწისკვილეს – გრძნულადო. ანალოგიურ ფაქტად ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ, აგრეთვე, სამჭედლოსა და მჭედლის საკრალიზაცია კავკასიის ხალხებში და მსოფლიოს არაერთი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ერთი მცირე ხუნძური პროზაული ტექსტიც, რომელიც ერთვის პ. უსლარის მონოგრაფიას „ხუნძური ენა“. ამ ტექსტში მოთხრობილია, რომ მარხვის თვის მეთხუთმეტე დამეს ერთი ქვრივი ქალი სწორედ წისკვილში მიდის, რათა ღმერთს სამი სურვილის ასრულება შესთხოვოს. მეწისკვილის ცბიერებას შეიძლება პარალელი დაეძგნოს ქართულ კულტურულ სივრცეშიც, თუ გავიხსენებთ, რომ ქართული ზღაპრების პერსონაჟი – ქოსატყუილა – სწორედ მეწისკვილეს ხელობით.

ნოდარ არდოტელი

ბეჟიტური ანთროპონიმები და მათი წარმოების ძირითადი პრინციპები

1. ბეჟიტურ ონომასტიკაში, კერძოდ, ანთროპონიმიაში გამოიყოფა ადამიანის სახელთა სამი ძირითადი ჯგუფი: 1) პირის სახელები; 2) მეტსახელები; 3) თოხუმთა სახელწოდებანი. წარმომავლობის მიხედვით, პირის სახელები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს: ა) ადამიანის საკუთრივ ბეჟიტური სახელები, რომელთა რიცხვიც მცირეა და ძველისძველ ფენას მიეკუთვნება: **გამო** (მდრ. გამმო „გამხდარი“), **წაფა** (მდრ. წაფო „მათხოვარი“, „მაწანწალა“), **ბილდო**, **შოხტე**, **ალუკა** ზედმიწ. „მარიამსაკმელა“ (მდრ. დიდ. ალუკა „წითელი“, „მწითური“)...; ბ) არაბული წარმოშობის ანთროპონიმები, რომლებიც დაკავშირებულია დაღესტნის მთიანეთში ისლამის ფართოდ გავრცელებასთან: **წლი**, **ღაზი**, **ჟამალ**, **ყურზან**, **ყადირ**, **მურად**, **მუხთარ**, **დავუდ**, **შარიფ**, **შამილ** (მამაკაცის სახელები); **ფატიმათ**, **მალიქათ**, **ლეილა**, **ზაჰიდათ** (ქალის სახელები)...; გ) ხუნძური ანთროპონიმები შედარებით მცირეა: მამაკაცის სახელები: **ყებედაჟ** (ზედმიწ. "მჭედელა"), **ყადალაჟ**, **ლაჩენილაჟ** (ზედმიწ. "შევარდენა"),

მუჰამადტინაჟ...; ქალის სახელები: **კილილამ, ნუცალამ, მესედო** (ზედმიწ. "ოქრუა")...; დასტურდება ისეთი სახელებიც, რომლებიც ხუნძურში ამჟამად აღარ შეინიშნება [ისაყოვი 1996 : 88]: **ქანწა** (ზედმიწ. "შუქია"), **გენულამსა** და მისთ. დ) მამაკაცის თურქული სახელები: **არსლან, აჰმედ-ხან, ჰამზათ-ბეგ, დანიელ-სულთან, არსლან-ბეგ...**; ქალის სახელები: **ფაჟხან, ბიქა, ხალუმ...**; ე) სპარსული საკუთარი სახელები შეთვისებული ჩანს ქართული და ხუნძური ენების მეშვეობით: **ხალუმხან, ბულათ, მირზა, ფარი, ანა...**; ვ) შედარებით ნაკლებად გვხვდება ქართული საკუთარი სახელები, რომლებიც ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ისლამის საყოველთაო გავრცელებამდე. მამაკაცის სახელები: **ჰერეკლი, ილიტამ, გელანი, გიამ, წულუკი...**; ქალის სახელები: **თამარო, ელენი...**; ზ) XX ს. -ში, ინდური ფილმების გავლენით, შეთვისებულ იქნა ინდური ანთროპონიმები: **რაჯუ, სურაჯ, გიტა, ზიტა...**; თ) ბოლო დროს რუსული ენის ძლიერი გავლენის პირობებში უხვად ვრცელდება რუსული და ევროპული წარმომავლობის პირთა სახელებიც [ხალილოვი 2015 : 619-622].

2. არაიშვიათად გვხვდება კომპოზიტიური წარმოების საკუთარი სახელები, რომლებიც ორი დამოუკიდებელი სახელის შეერთებით არის მიღებული, მაგ.: **ყავათ-ხან, ყამალ-უდინ, აბდულ-მუსლიმ, მუსა-დიბირ, ჰაჯი-მურად, მუსა-შამხ, მარიამ-შამსიათ...**

ორკომპონენტანი ანთროპონიმები დამახასიათებელია თურქული წარმომავლობის საკუთარ სახელთა წყებისათვის, რომელთა მეორე ნაწილი ხშირად წოდების ან თანამდებობის (**სულთანი, ხანი, ბეგი...**) გამომხატველია: **ღაიარ-ბეგ, ბათირ-ხან** და მისთ.

ჩვენი შეხედულებით, ამგვარი კომპოზიტიური სტრუქტურის პირის საკუთარი სახელები ერთ ცნებას აღნიშნავენ, მთლიან მონოლითურ ერთობას ქმნიან და მახვილი მოეპოვებათ, ამიტომ ისინი უდევისოდ უნდა იწერებოდეს, მაგ.: **ჰარუნბეგ, დელიმხან, ხანბიქა, აბდულმაჟიდ** და ა. შ.

3. იშვიათად გვხვდება ბიბლიური პერსონაჟებისა და ებრაულ-ბერძნული წარმომავლობის სახელები, რომლებიც არაბული, ხუნძური ან ქართული ენების გზით არის შეთვისებული, მაგ.: **შამილ** (< სამოელ), ისა (ქისა < იესო), ჰავა (ჰ-აჟა < ევა), ისაყ (ძვ. ებრ. ისაყ), ილიტამ (ძვ. ებრ. ელია), მაყუფ (ძვ. ებრ. იაკობ), სულეიმან (სულეიმან < სოლომონ) და მისთ.

ბოლო დროს თავი იჩინა რთული აგებულების მრავალმარ-
ცვლიან სახელთა გამარტივების ტენდენციამ, როდესაც პირის სახე-
ლები იკუმშებიან ან იკვეცებიან, მაგ.: აზუბაქარ > აზაქარ, უზლიფათ
> უზი, ზარიფათ > ზარი, აზულმუსლიმ > აზუსი...

4. ბეჟიტურ ანთროპონიმიაში ხელშესახებია მეტსახელის (თი-
კუნის) პროდუქტიულობა, რომელიც მამაკაცთა მეტად ინდივიდუა-
ლურ არაოფიციალურ სახელს წარმოადგენს. იგი მათ ახასიათებს
რაიმე ნიშან-თვისების, ხასიათის, გარეგნული იერ-სახის ან ჩადენი-
ლი საქციელის მიხედვით, მაგ.: **ჭეჭერა** (მდრ. **ჭეჭერო** „გალეული“,
„გამხდარი“), **ბილზკან** ზედმიწ. „მონადირე“, **ლამადურ** ზედმიწ.
„სტაფილო“...

საყურადღებოა ისიც, რომ არაიშვიათად ამგვარი სახელები სა-
ფუძვლად ედებოდა ჩამომავლობის (მამიშვილობის) ან გვარის ჩამო-
ყალიბებას. გვარები მეტწილად სწორედ ამგვარი სახელებისაგან
სათანადო სუფიქსის დართვით არის წარმოქმნილი, მაგ.: **აბდალ**
„აბდალი“ – **აბდალოვ**, **ბილდო** „ბილდო“ – **ბილდოვე** და ა. შ.

5. რაც შეეხება თოხუმთა სახელებს, ისინი ხშირად იწარმოება
სათანადო მეტსახელისაგან, უფრო ნაკლებად საკუთარი სახელისა-
გან და იშვიათად სხვა სახელებისაგანაც. კერძოდ, ერთი რიგის თო-
ხუმთა სახელები იწარმოება საკუთრივ ბეჟიტური წესით, როდესაც
სახელი წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი
ბრუნვის ფორმით ან **-ჭა**, **-სა** სუფიქსებით, მაგ.: **ყარბაილა-ს** „ჭაბ-
რაილათ (ჯიში)“, **აბდუზარაყლა-ს** „აბდუზარაყლათ (ჩამომავლო-
ბა)“, **თოჭაიტა-სა** „თოვაიტლასათ (მოდგმა)“...

გარდა აღნიშნული წესისა, გამოიყენება ხუნძური ეთნონიმე-
ბის წარმოების მოდელი, როდესაც ჯიმ-ჩამომავლობის გამომხატვე-
ლი სახელი დგას ნანათესაობითარ მრავლობით რიცხვში, მაგ.:
ილას-ილ-ალ ზედმიწ. „ილასისნი“, **რაჟაბ-ილ-ალ** ზედმიწ. „რაჟაბის-
ნი“ და სხვ.

უდიური ლექსიკოგრაფიის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა

უდიური ლექსიკოგრაფიის ისტორია XIX საუკუნის I ნახევრიდან იწყება. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის ფილიალის ხელნაწერთა ფონდში ინახება ხელნაწერი (№ “Armenica” C-7) რომელიც დასათაურებულია „Начальные основания грамматики на агванском языке, писанной армянскими буквами“. ხელნაწერის შედგენის თარიღი უცნობია, თუმცა ვიცით, რომ ეს ხელნაწერი სხვა ხელნაწერთან ერთად 1842 წელს რუსეთის საიმპერატორო აკადემიას გადასცა ეკმიაძინის სინოდის წევრმა, უდი ეროვნების თომა კორღანოვმა.

ხელნაწერში სულ მოცემულია დაახლ. 150 უდიური სიტყვა, ბრუნებისა და უღვლილების პარადიგმები, ფრაზეოლოგია, ცალკეული წინადადებები და ბოლოში (მე-19 გვერდზე) წარმოდგენილია 43-სიტყვიანი სომხურ ენაზე თარგმნილი სიტყვების სია. ამრიგად, ხელნაწერი, სახელწოდების მიუხედავად, ძირითადად უდიურ ლექსიკას ეთმობა.

1853 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოიცა უდიური ენის პირველი ლექსიკონი, რომელიც სულ რაღაც 322 უდიურ სიტყვას შეიცავდა. ლექსიკონი შემდეგნაირადაა დასათაურებული: „Словарь общеупотребительных терминов кавказских удинов с переводом на русский язык“.

1863 წელს ა. შიფნერმა გამოსცა თავისი „ცდა უდიური ენის შესახებ“ (Versuch über die Sprache der Uden). ამ მონოგრაფიას თან ერთვის 1650-სიტყვიანი უდიურ-გერმანული სიტყვათკრებული. როგორც თავად ა. შიფნერი აღნიშნავს, მას საშუალება არ მისცემია უდი ინფორმანტებთან ემუშავა. სიტყვაკრებულისთვის საჭირო მასალები ავტორმა სხვადასხვა გზით მიიღო. მას ხელთ ჰქონდა უდიური ენის სასაუბრო და რუსულ-უდიური დაუსრულებელი ლექსიკონი (ა-დან თ ასო-ბგერამდე), რომელიც შედგენილი იყო გიორგი ბეჟანოვის მიერ. ამას გარდა, ა. შიფნერმა გამოიყენა ვინმე არტემ ჰამაიანცის მიერ შეგროვებული ნიჯურის კილოს მასალა და ა. შეგერენის ლექსიკონი.

1891 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოქვეყნდა ა. სტარჩევსკის ვრცელი შრომა „Кавказский толмач“, რომელშიც წარმოდგენილია რუსული ლექსიკის თარგმანი 27 კავკასიურ ენაზე, რომელთა შორის უდიურიცაა. ამ ნაშრომში გვხვდება 1756 უდიური სიტყვა (გვ. 481-509). ამას გარდა, გვაქვს უდიური წინადადების ნიმუშები (გვ. 612-616) და უდიური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა (გვ. 667-669).

1895 წელს ვენაში გამოიცა რ. ერკერტის მონოგრაფია „Die Sprachen des kaukasischen Stammes“. ამ ნაშრომში განხილულია 30 კავკასიური ენა, მათ შორის – უდიურიც. რ. ერკერტი კავკასიურ ენებზე თარგმნის 545 სიტყვას, თუმცა უდიური ენის მიმოხილვაში წარმოდგენილია ოდენ 497 სიტყვა და, ამას გარდა, 194 ფრაზა და უდიური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა (იხ.: ნაწ. I, გვ. 17-204; ნაწ. II, გვ. 60-68, 222-225, 368-370, 374, 379).

XX საუკუნეში უდიური ლექსიკის კვლევა ახალ საფეხურზე ავიდა. ამ მხრივ სრულიად გამორჩეული ნაშრომია ვ. გუკასიანის „უდიურ-აზერბაიჯანულ-რუსული ლექსიკონი“ (Гукасян В. Л., Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку, 1974 – შეიცავს დაახლ. 6000 სიტყვას). ეს ლექსიკონი დღემდე ფაქტობრივად ერთადერთ პროფესიულ დონეზე შესრულებულ უდიური ენის თარგმნით ლექსიკონს წარმოადგენს. სხვა ნაშრომთაგან აღსანიშნავია ევგ. ჯეირანიშვილის აგრეთვე მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული „უდიურ-ქართული და ქართულ-უდიური მოკლე თემატურ-ბუდობრივი ლექსიკონი“, რომელიც მის მონოგრაფიას „უდიური ენა“ ერთვის (გვ. 193-267, 1971 წ.), ვ. შულცეს უდიური ოთხთავის ეტომოლოგიური ინდექსი (V. Schulze, The Udi Gospels, 2001, გვ. 233-338), მ. ნეშუმაშვილის „უდიურ-ქართული ლექსიკონი“ (თბილისი, 2009), რ. მობილის „უდიურ-აზერბაიჯანულ-რუსული ლექსიკონი“ (ბაქო, 2010), ქართულ-უდიური ელექტრონული ლექსიკონი (<http://www.ice.ge/liv/liv/udur.php>; შემდგენელი – რ. ლოლუა) და ზოგიერთი სხვა ნაშრომი.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში გაიმარჯვა საგრანტო პროექტმა „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები... რომლის ფარგლებშიც სხვა ლექსიკონებთან ერთად (ავხაზურ-ქართული, ჩერქეზულ-ქართული, ინგუშურ-ქართული, ხუნძურ-ქართული და ბეჩიტურ-ქართული) მომზადდა უდიურ-ქართული ლექსიკონიც (შემდგენელი – რ. ლოლუა). ლექსიკონი შეიცავს დაახლ. 7000 სიტყვა-სტატისას, მას ერთვის ონომასტიკური მასალა, მოკლე გრამატიკული მიმოხილვა და ინდექსი.

უქონლობის სუფიქსიან სახელთა ასახვის შესახებ აფხაზურ ლექსიკონში

აფხაზურ ენაში **უქონლობას** გამოხატავს - სუფიქსი, რომელიც სახელის ფუძეს დაერთვის: "თავი" – "უთავო", "ეცხენი" – "უცხენო", "სახლი" – "უსახლო".

უქონლობის კატეგორიის წარმოებისას, ისევე როგორც ინსტრუმენტალისის კატეგორიაში, სახელს ზოგადობა/განსაზღვრულობის - პრეფიქსი ჩამოსცილდება და მხოლოდ ამის შემდეგ ფორმდება - უქონლობის სუფიქსით. ამგვარ ფორმებს აფხაზურში ზმნისართული მნიშვნელობაც აქვს.

ასეთი ფორმები ლექსიკონში უნდა განთავსდეს შესაბამის ადგილას (ანბათრიგით) და მიეცეს მორფოლოგიური კვალიფიკაცია „ზმნისართი.“

რ ო ს ტ ო მ ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე

ი. გიულდენშტედტი – ინგუშური ლექსიკის პირველი შემგროვებელი

1767 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სწავლულთა ექსპედიციები რუსეთის იმპერიის რეგიონებისა და მოსაზღვრე ქვეყნების შესასწავლად. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის ხელმძღვანელად ბერლინიდან მოიწვიეს 23 წლის იოჰან გიულდენშტედტი, რომელიც 1763-1767 წლებში სწავლობდა ბერლინის სამდიცინო-ქირურგიულ სასწავლებელში, სპეციალობით ბუნებისმეტყველი იყო და 22 წლის ასაკში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა მოპოვებული.

ი. გიულდენშტედტი 1768 წელს ჩავიდა პეტერბურგში და იმავე წელს გამოემგზავრა სამხრეთ რუსეთისა და კავკასიისაკენ. ამ მოგზაურობაში მან დაყო დაახლოებით შვიდი წელი.

1787 და 1791 წლებში ი. გიულდენშტედტის ნაშრომების ნაწილი, ბიოგრაფიული ცნობების დართვით, ორ ტომად გამოაქვეყნა აკადემიკოსმა პეტრე სიმონის ძე პალასმა პეტერბურგში. ორივე ეს წიგნი ქართული თარგმანით დაიბეჭდა თბილისში 1962 და 1964 წლებში (მთარგნელი გ. გელაშვილი).

ი. გიულდენშტედტი კავკასიაში ჩამოვიდა 1770 წლის დასაწყისში, ექსპედიციის წევრებს ბანაკი ყიზლარში ჰქონდათ, საიდანაც მოგზაურობდნენ სხვადასხვა ადგილისა და ხალხის გასაცნობად. ი. გიულდენშტედტი მოგზაურობისას დღიურს ადგენდა (სად იყო და რა ნახა – მოსახლეობა, მათი საქმიანობა, ადგილი, ნიადაგი, წყალი, ფლორა ფაუნა...).

გარდა სხვადასხვა დავალებისა, მას ჰქონდა სიტყვათა სია, რომელთა შესატყვისებიც უნდა ჩაეწერა ადგილობრივ ხალხთა ენებზე კავკასიაში.

1770 წელს მარტში ი. გიულდენშტედტი მოზდოკიდან ჩავიდა ინგუშეთში – კავკასიის მთიელთა შორის ეს პირველი ხალხია, რომელთაც გავეცანიო, წერს იგი.

სიტყვათა სიაში, რომლის შესატყვისებიც ექსპედიციის წევრებს უნდა მოეპოვებინათ კავკასიაში, პირველ ადგილზე არის ღმერთი, რომელსაც მოსდევს ნაცვალსახელები, ზმნისართები, რიცხვითი სახელები, ვინ-ჯგუფის საზოგადო სახელები, რა-ჯგუფის სახელები (სხეულის ნაწილთა სახელები, ცხოველთა, მცენარეთა სახელები, ზედსართავი სახელები, ცოტაა ზმნა – ოციოდე ერთეული და ა. შ.). ინგუშური ლექსიკა შედგება 281 ერთეულისაგან. ინგუშურთან ერთად, მიცჯეგური ენების სახელწოდებით, წარმოდგენილია 280 ჩეჩნური და 271 თუშური (ასე უწოდებს იგი ბაცბურს) პარალელური ლექსიკა.

ლექსიკური მასალის შედარების საფუძველზე (ენათა ნათესაობის დადგენის სხვა მეთოდები მაშინ არც არსებობდა) ი. გიულდენშტედტმა კავკასიურ ენათა შორის ცალკე გამოყო ნახური ჯგუფის ენები, ამ ენათა ლექსიკური მასალაც პირველად მან დააფიქსირა.

ინგუშური (და სხვა ენების) ლექსიკის ჩაწერა ხდებოდა ლათინური ან გუთური ანბანით, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო კავკასიურ ენათა სპეციფიკური ბგერების გადმოსაცემად, ამიტომ შეცდომებიც მოსალოდნელი იყო. „გასაკვირი... შეცდომები კი არ

არის, არამედ ის, რომ მეტი უზუსტობა არ დასტურდება; ეს უთუოდ ი. გიულდენშტედტის, როგორც მეცნიერის, დაკვირვების საფუძვლიანობას მოწმობს“ (არნ. ჩიქობავა).

ი. გიულდენშტედტის მასალაში დაფიქსირებულია სიტყვები, რომლებიც ინგუშურში არ იძებნება. ასეთი სიტყვები ფონემურად სავსებით განსხვავებულია თანამედროვე შესატყვისებისაგან. მაგალითად:

| | გიულდენშტედტი | თან. ინგუშური |
|----------|------------------|---------------|
| „ძალი“ | ფოე (Poe) | ჯ ‘ალი |
| „აქლემი“ | თოია (Teua) | ინქალ |
| „კალა“ | სუხ (Such) | ღალი |
| „მწვანე“ | ჟ აშილ (Jaschil) | ბნცცარა |
| „პატარა“ | ზანგო (Zango) | ზ ‘ამიგა... |

გვხვდება სიტყვები, რომლებიც დღეს აღნუსხული არ არის არც ერთ ორენოვან (ინგუშურ-რუსულ, რუსულ-ინგუშურ ან ჩეჩნურ-რუსულ და პირიქით) ლექსიკონში, მაგრამ დაფიქსირებულია ჩვენ მიერ ქისტურში, როგორც თევზის ერთ-ერთი სახეობა. ასეთია:

ჰა[ჰა]ამ (Haam) - (ჰყარა – თევზის ზოგადი სახელი ინგუშურში)...

ირკვევა, რომ ი. გიულდენშტედტის დროს ინგუშურში „ათასი“ იყო „ით-ბა‘ა“ (ითთ „ათი“ + ბა‘ა „ასი“, ახლა: ბ‘ა). ამ სახით დასტურდება „ათასი“ ი. კლაპროთთანაც (1814). მე-19 საუკუნის 60-იან წლებში პ. უსლარი ჩეჩნურში აფიქსირებს სპარსულიდან ნასესხებ „ეზირ“-ს (დღეს: ეზარ) „ათასის“ მნიშვნელობით „ეზარ“ იმავე მნიშვნელობით გვხვდება ინგუშურში (ზ. მალსაგოვი, 1925). მაშასადამე, ჩეჩნურ-ინგუშურში „ეზარ“ სიტყვის სესხების დათარიღება შესაძლებელია – XIX საუკუნის I ნახევარი.

მოხსენებაში მოცემულია, აგრეთვე, ნაცვალსახელების, ზმნების და ზოგი სხვა სიტყვის ანალიზი ი. გიულდენშტედტის მასალიდან.

შეცდომების, უზუსტობების მიუხედავად, ი. გიულდენშტედტის ლექსიკური მასალა ფასეულია ნახური ენების ისტორიის შესასწავლად.

ჩერქეზული ენის სტრუქტურის ძირითადი საკითხები

ჩერქეზული (ადიღეური) ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ჩერქეზულ ჯგუფში შედის. ამჟამად ამ ენაზე კავკასიაში ლაპარაკობენ ადიღეს რესპუბლიკასა და კრასნოდარის მხარის ლაზარევსკისა და ტუაფსეს რაიონების შაფსულურ აულებში. ამას გარდა, ჩერქეზულად მეტყველებენ, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთში, სირიაში იორდანიაში, ერაყში) კომპაქტურად მცხოვრები ჩერქეზები (მუჰაჯირთა შთამომავლები). მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ჩერქეზები ცხოვრობენ, აგრეთვე, ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში.

ჩერქეზული ენის ფონოლოგიური სისტემა ხმოვანთა სიმცირითა და თანხმოვანთა სიმრავლით გამოირჩევა სალიტერატურო ენასა და დიალექტებში: 53-დან 70-მდე თანხმოვანი გამოიყოფა. გვაქვს დიფთონგებიც (დამახასიათებლად აღმავალი დიფთონგები მიიჩნევა).

ჩერქეზულ სალიტერატურო ენაში, ხშულთა სამეულებისა და სპირანტთა წყვილულების გვერდით, სპირანტთა სამეულებიც დასტურდება. თანხმოვანთა სისტემაში აღსანიშნავია საერთოკავკასიური მკვეთრი ხშულები, ხოლო სპეციფიკურია სისინ-შიშინა სპირანტთა სამეულები, მაგარი (ინტენსიური) და ლაბიალიზებული თანხმოვნები, ლატერალურ სპირანტთა სამეული. თანხმოვანთა სიმრავლე ჩერქეზულში თანხმოვანთკომპლექსების სიმრავლეს არ განაპირობებს (თანხმოვანთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე – ქართულში, კომპლექსები კი – გაცილებით ნაკლები); არსებული კომპლექსების მეტი წილი დეცესიურია.

ჩერქეზული ენის მორფოლოგია ძირითადად აგლუტინაციური ბუნებისაა, ამასთან სახელი შედარებით მარტივია ზმნა – რთული.

არსებით სახელს აქვს კუთვნილების, განსაზღვრულობის, ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები. კუთვნილების კატეგორია ორი სახისაა – ორგანული და ნივთიერი, რომლებიც პრეფიქსებით გამოი-

ხატება. გამოიყოფა ოთხი ბრუნვა – სახელობითი, ერგატივი, მოქმედებითი და გარდაქვევითი. გაირჩევა განსაზღვრული და განუსაზღვრელი ბრუნვა; დამახასიათებელია ორფუძიანობა: პოლიფუძიურ ერგატივს ემყარება მოქმედებითი ბრუნვა.

თვლის სისტემა ჩერქეზულში შერეულია: „ოცი“ და „ოცდაათი“ ათეულებრივი სისტემით არის ნაწარმოები, ხოლო „ორმოცა“ და შემდგომ ათეულებში („ოთხმოცდაათის“ ჩათვლით) ოცეულობითი სისტემა გვაქვს.

ნაცვალსახელების თავისებურებათაგან უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჩერქეზულს მოეპოვება მხოლოდ I და II პირის ნაცვალსახელები, ხოლო III პირის ნაცვალსახელის როლს სამი რიგის ჩვენებითი ნაცვალსახელები ასრულებს; კითხვით ნაცვალსახელში (ქართულის მსგავსად) ადამიანისა და ნივთის დაპირისპირებაა წარმოდგენილი; პირის ნაცვალსახელებში სახელობითი და ერგატივი არ არის გარჩეული; ჩვენებით ნაცვალსახელებში ერგატივის არქაული ნიშანი -მ გამოვლინდება...

ჩერქეზულში გაირჩევა პოლიპერსონალური და მონოპერსონალური გარდამავალი და გარდაუვალი, დინამიკური და სტატიკური ზმნები. გარდამავალი და გარდაუვალ ზმნებს ერთმანეთისაგან პირის ნიშანთა განლაგება განარჩევს: გარდამავალ ზმნებში პირველ ადგილზეა პირდაპირი ობიექტის ნიშანი, მას მოსდევს ირიბი ობიექტის ნიშანი შემდეგაა სუბიექტის ნიშანი; გარდაუვალში პირველ ადგილს იკავებს სუბიექტის ნიშანი, შემდეგია ირიბი ობიექტის ნიშანი (თუ ზმნა მრავალპირიანია). დინამიკურ ზმნას აწმყოში სათანადო მაწარმოებელი აქვს.

ზმნა მდიდარია სიტყვაწარმოებითი კატეგორიებით – გამოიყოფა ქცევის, კაუზატივის, თანაობის, საურთიერთო, საზიარო, პოტენციალისისა და უნებურების კატეგორიები; მათი მაწარმოებლები პრეფიქსებია (მხოლოდ პოტენციალისს პრეფიქსის გვერდით სუფიქსიც აწარმოებს).

ჩერქეზული მდიდარია დრო-კილოებით; მათგან ძირითადია: აწმყო, მყოფადი (I და II), ნამყო სრული, ნამყო უსრული, ნამყო წინარეწარსული...

ატრიბუტული სინტაგმა პოსტპოზიციურია, თუ მსაზღვრელად ზედსართავი სახელი ან რიცხვითი სახელია („ერთის“ გარდა); ჩვენებითი ნაცვალსახელები პრეპოზიციურად გამოიყენება. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმება არა გვაქვს.

მარტივი წინადადება ნომინატიურ და ერგატიულ კონსტრუქციებს წარმოგვიდგენს. ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის გარდაუვალი ზმნა და მასთან დაკავშირებული სუბიექტი სახელობით ბრუნვაში, ხოლო ერგატიულ კონსტრუქციას გარდამავალი ზმნა, სუბიექტი ერგატივში და პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაში.

რთული წინადადება საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის. სათანადო შინაარსი გადმოიცემა, როგორც წესი, ინფინიტურ ზმნათა და მასთან დაკავშირებული სახელებისა და ფინიტური ზმნის მეშვეობით.

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თ. გაბროშვილი**
რ. გრიგოლია